პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 266 (12 637) 12 ნოემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


## ფეხბურთის ფედერაციის ლოგიკა:
### რად გვინდა მწვრთნელი, თუ მომავალი წლის სექტემბრამდე არ ვთამაშობთ?

# ახალგაზრდული უმწვრთნელოდაა


ალექსანდრე კარტოზიაშვილის ფოტო

## ლოკომოტივი



## რატომ ჩაიშალა შვედეთთან მატჩი?

ინტერვიუ უჩა უგულავასთან

»»» 4



# შეიძლება თასიდან ჩახსნან

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

»»» 2-3

# კრიზისი

## რა საფრთხე ემუქრება პრემიერლიგას?

»»» 10







## მარკოიშვილის ნაღვლიანი რეკორდი

აფსუს, ერთი სამქულიანი რაღა იყო...

»»» 13

# დავით ყიფიანის სახელობის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.11. ზესტაფონი. ცენტრალური. 1500 მაყურებელი

**ზესტაფონი-დინამო 0:0**

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ბოიომო, თოდუა, ლობჟანიძე, ონიანი - გ. ხიდეშელი, დაუშვილი (61. ნ. კვასხვაძე), ბენაშვილი, ძარია (53. გელაშვილი) - გოცირიძე, ჩასემი (78. ჭელიძე).

*სათადარიგოები: ძაძამია, ღონღაძე, ლომაშვილი, იონანიძე*

დინამო: ლორია - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ელიავა - დილმელაშვილი, ხმალაძე (46. ნერგაძე), ოდიკაძე, გველესიანი (78. შ. კაშია) - მერებაშვილი, ვანაძე.

*სათადარიგოები: ლოსაბერიძე, ფირცხალავა, ჯიშკარიანი, სპასოევიჩი, ჯიუსი*

გაფრთხილება: ხმალაძე (34), ონიანი (73), კრშკო (85), ვანაძე (89), თომაშვილი (90)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# ზავი თბილისურ ბრძოლამდე

ტრადიციულ მეტოქეთა სათასო დაპირისპირებამ ადგილობრივი გულშემატკივრები ისევ მიიზიდა სტადიონზე. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ზესტაფონის მთავარი არენა სანახევროდ მაინც გაივსო. ცალკე ტრიბუნაზე დასაკრავი ინსტრუმენტებით შეიარაღებული „დინამოს" 30-მდე ფანიც იყო. ისინი თავიანთ გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში ორგანიზებულად გულშემატკივრობდნენ...

წლეულს, ამ გუნდების პირველი საჩემპიონატო შეხვედრა ზესტაფონში მასპინძელთა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. საერთოდაც, „ზესტაფონი"-"დინამოს" დაპირისპირებები უხვგოლიანობით არასდროს გამოირჩეოდა და ტრადიცია არც გუშინ დარღვეულა. გუნდებმა ძველებურად ფრთხილი ფეხბურთი ითამაშეს და აქედან გამომდინარე, 0:0 ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა საგოლე შანსები ორივე გუნდს ჰქონდა, განსაკუთრებით კი „დინამოს", რომელსაც მეორე ტაიმში რამდენჯერმე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ხან დამრტყმელებს აკლდათ სიზუსტე და ოსტატობა, ცალკეულ ეპიზოდებში კი თავი მეკარე **კვასხვაძემ** გამოიჩინა.

მატჩის საწყისი 10 წუთი გუნდებმა ერთმანეთის დაზვერვას მოანდომეს. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. მეტოქეები შეცდომების მოლოდინში იყვნენ. შემდეგ დინამოელთა მარჯვენაფლანგელები გააქტიურდნენ. **გურამ კაშიასა** და **ოდიკაძის** აქტიურობის შედეგად, სტუმრებმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვეს კუთხურის უფლება, თუმცა არც ერთ მათგანს „ზესტაფონის" კართან ხიფათი არ მოჰყოლია.

მიზნისკენ პირველი დარტყმა მე-12 წუთზე ზესტაფონელმა **ონიანმა** განახორციელა და ისიც ძალზე უზუსტოდ. 26-ე წუთზე მასპინძელთა შეტევას თბილისელთა კართან არეულობა მოჰყვა. **ბენაშვილმა** მეკარის საჯარიმოსთან სახიფათოდ ჩააწოდა, სადაც **დილმელაშვილმა** დაბალი ტრაექტორიით ნასული ბურთი ნახტომში თავით მოიგერია. ზესტაფონელები ამტკიცებდნენ, რომ ამ ეპიზოდში დილმელაშვილმა ხელით ითამაშა და შესაბამისად, პენალტს ითხოვდნენ, თუმცა **ბეუქლიშვილმა** „წესის დარღვევა" არ დააფიქსირა.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიილია. ზესტაფონელთაგან **გოცირიძე** ამწვავებდა თამაშს, სახიფათოდ დაარტყეს ბენაშვილმა და **დაუშვილმაც**, თუმცა **ლორიას** მათი მოგერიება არ გასჭირვებია. ამ მომენტებს შორის დინამოელმა **ხმალაძემ** იაქტიურა, თითქმის დაკარგულ ბურთზე ბოლომდე იბრძოლა და სახიფათო ჯარიმაც მოიპოვა, თუმც ოდიკაძის მიერ 20-ოდე მეტრიდან დარტყმული კვასხვაძემ ხელებში გააქვავა.

მეორე ნახევარი გაცილებით უკეთესი სანახავი გამოდგა, მომენტებიც მეტი შეიქმნა. ეს უპირველესად დინამოელთა დამსახურება იყო. მათ „ზესტაფონს" უფრო თამამად შეუტიეს და არაერთხელ ანერვიულეს კიდეც. მანამდე, ერთი კარგი მომენტი მასპინძლებსაც ჰქონდათ - ბენაშვილის ჩაწოდების შემდეგ გოცირიძე თავით ურტყამდა, მაგრამ ლორიას ვერ აჯობა.

ამის შემდეგ, უპირატესობა მთლიანად თბილისელთა მხარეს გადავიდა და რომ გამართლებოდათ, გოლსაც გაიტანდნენ. 61-ე წუთზე კვასხვაძემ „ზესტაფონი" აშკარა გოლისგან იხსნა - ოდიკაძის პასის შემდეგ **ვანაძემ მერებაშვილი** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მასპინძელთა ახალგაზრდა კიპერმა პატარა სასწაული მოახდინა. ამ მომენტიდან წუთიც არ იყო გასული, რომ ყურადღების ცენტრში კვლავ მერებაშვილი მოექცა - **ელიავას** ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ამჯერად ის თავით ურტყამდა, მაგრამ უზუსტოდ. მორიგ იერიშისას ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ოდიკაძესაც უმტყუნა მიზანმა. 74-ე წუთზე ზესტაფონელები კიდევ ერთხელ გადაარჩნენ - დინამოელებმა თამაშგარის ზღვარზე ითამაშეს, მეტოქის მცველები დაიბნენ და მეკარესთან პირისპირ ახლა ოდიკაძე აღმოჩნდა, რომელიც დაიბნა და ბურთი პირდაპირ მეკარეს ჩააბარა...

**თემურ მახარაძემ** თამაშის გამოსწორება ცვლილებებითა და ტაქტიკური გადაადგილებებით სცადა - ჯერ, ფეხმტკივანი **გელაშვილი** შეიყვანა მოედანზე, ხოლო შემდეგ - მარჯვენაფლანგელი **ნიკა კვასხვაძე**. მოგვიანებით, ის მარცხნივ გადაიყვანა, მარჯვენა ფლანგი კი **ჭელიძეს** ჩააბარა.

ამ ცვლილებების შემდეგ ზესტაფონელები გააქტიურდნენ, მაგრამ **ვიეირას** წასვლის შემდეგ მათი ფლანგური იერიშები ძველებურად სახიფათო რომ აღარ არის, ამ მატჩშიც კარგად გამოჩნდა... ერთადერთი, გელაშვილმა შეძლო თამაშის გამწვავება. ერთ ეპიზოდში მან თითქმის კუთხურის ალმიდან კარისკენ „მოჭრა" ბურთი და დინამოელები აანერვიულა - ძლიერმა ქარმა, სტუმართა ბედზე, ბურთს მიმართულება არ შეუცვალა, თორემ...

ამ ეპიზოდს დინამოელებმაც მწვავედ უპასუხეს - შეცვლაზე შესული **შოთა კაშიას** ფლანგური პასის შემდეგ ვანაძე თავით ურტყამდა, მაგრამ კვასხვაძემ კვლავ ზუსტად ითამაშა. მატჩის ბოლომდე გუნდებმა თითო მომენტი გაცვალეს და ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ. თასის ნახევარფინალისტის ვინაობას კი საპასუხო შეხვედრა გაარკვევს.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

11.11. თბილისი. მ. მესხი. 150 მაყურებელი

**ლოკომოტივი-სიონი 2:3**

0:1 სანიკიძე (2-პენ), 1:1 სარალიძე (20), 1:2 სვანიძე (61), 2:2 სვანიძე (84-საკ. კარში), 2:3 სანიკიძე (85)

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ბებუა, კაიშაური, ლ. ჩაგელიშვილი, სარალიძე - ფოფხაძე, მახარაძე (61. ბარბაქაძე), სამხარაძე (58. დიაკვნიშვილი), ჩირიკაშვილი, ი. გილაური (66. ალექსიძე) - დ. ჩაგელიშვილი.

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ბუდალაშვილი, ბერულავა*

სიონი: ბობლიაშვილი - ქემოკლიძე, სვანიძე, შავგულიძე, ხუბუა - სანიკიძე, დიდავა, ზ. ჭელიძე, კოშკაძე (78. ბაჯელიძე) - იაშვილი (74. რ. გოცირიძე), შენგელია (46. ალავიძე).

*სათადარიგოები: ქვაჩახია, დავითაშვილი, ჩივაძე, ჯიქია*

გაფრთხილება: ლ. ჩაგელიშვილი (62), ქემოკლიძე (80)

არბიტრი: ო. ხეცაძე

# ლიდერი ხელახლა უნდა აიწყოს

## სანიკიძის სანიმუშო სტანდარტულები

ნამატჩევს ლოკომოტიველები და მათი მეჩხერი ქომაგობა უკმაყოფილონი იყვნენ მსაჯობით. გულშემატკივარს რას გაუგებს კაცი, დამარცხებული გუნდის გონებაც, ალბათ, ისე ვერ მუშაობს, როგორც უნდა იყოს, ფაქტია - „ლოკომოტივი" ვერ არის კარგ კონდიციაში, თითქოს ხელახლა სჭირდება აწყობა და დალაგება. **გიორგი კიკნაძის** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდი ვერც ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურებში ბრწყინავს, თუმც ლიდერობას ჯერაც ინარჩუნებს. „ლოკომოტივის" ჩავარდნა არ უნდა იყოს შემთხვევითი, უიღბლობა და მსაჯობა ვერ იქნება გუნდის ცუდი თამაშის მიზეზი...

გუშინ „ლოკომოტივს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, გადახალისებული შემადგენლობით დაუხვდა ბოლნისელებს და ფეხიც დაუცდა, მაგრამ ფრეც არ იქნებოდა ალოგიკური შედეგი.

...პენალტი **სანდრო იაშვილმა** მოიპოვა და **ლევან სანიკიძემ** უნაკლოდ შეასრულა - ასეთნაირად დაწინაურებული „სიონი" ნელ-ნელა მოდუნდა, „ლოკომოტივმა" კი ფხა გამოიჩინა და ანგარიშიც გაათანაბრა - **ლევან სარალიძემ** მარცხენა ფლანგიდან შუისკენ შეიწია, ერთი მეტოქე ჩამოიცილა და **მინდია ბობლიაშვილს** ისეთი დაურტყა, ბოლნისელთა მეკარე არც განძრეულა.

ამის მერე თამაში უკვე მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა.



ამ ეპიზოდს პენალტი მოჰყვა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ბექა ბებუას** ჩაწოდებულს **ირაკლი ჩირიკაშვილმა** შეაგება ცაცია და „სიონი" ბობლიაშვილმა იხსნა. შემდეგ სარალიძემ ერთხელაც მოინდომა გატანა - ბობლიაშვილმა მუშტებით მოიგერია ძლიერი დარტყმა. ბოლნისელთა კიპერი მერე კიდევ გამოირჩა - ჩირიკაშვილის ჯარიმა კუთხურზე გადააგდო.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, შესვენების შემდეგ „სიონს" დიდი ჯაფა უნდა დასდგომოდა ანგარიშის შესანარჩუნებლად, მაგრამ ნურას უკაცრავად - მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა" თავი ველარაფრით გამოიჩინა, ბოლნისელებმა კი საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

„ლოკომოტივს" ძალიან გაუჭირდა მოედნის ცენტრში მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ფლანგებზეც ვერ მოიპოვა უპირატესობა... მოკლედ, „სიონი" სჯობნიდა მასპინძელს. **არჩილ ალავიძის** კუთხური და **დავით სვანიძის** ზუსტი თავური - ასე გავიდა მეორე გოლი „ლოკომოტივის" კარში.

მოედანზე გამოჩნდა **რატი ალექსიძე**. გრძელი გადაცემები და იქნებ, რატიმ კლასის და გამოცდილების ხარჯზე რაღაც მოახერხოს - ასეთი იყო გათვლა. ვერ ვიტყვით, რომ ამ ცვლილებამ დიდი ეფექტი მოახდინა, თუმც გამთანაბრებელ გოლში ალექსიძესაც მიუძღვის წვლილი - **დაჩი ფოფხაძის** ჩაწოდებულზე რატიმ შეცდომა დააშვებინა სვანიძეს და ავტოგოლიც „გამოცხვა".

„სიონს" ერთი წუთი დასჭირდა გამარჯვების გოლისთვის - **ლევან ბაჯელიძის** მიერ მოპოვებული ჯარიმა სანიკიძემ დაარტყა, დაბალი ბურთი **გიორგი ლომაიას** იღლიაში გაუძვრა და კარში შევარდა. მატჩის მიწურულს „ლოკომოტივი" კი გააქტიურდა, მაგრამ „სიონი" თავს კარგად იცავდა, თუმც ერთი კარგი მომენტი მაინც შეაქმნევინა მეტოქეს - **დავით ჩაგელიშვილმა** 8-9 მეტრიდან ვერ დაუმიზნა ბობლიაშვილის კარს.

„ლოკომოტივი" „სიონთან" შინ 2 ნოემბერსაც დამარცხდა (0:1), ჩემპიონატის მეცხრე ტურში. გახდება თუ არა ბოლნისი სილქროუდელთა ბუა, თასის საპასუხო მატჩში უკეთ გამოჩნდება.

**დავით თავართქილაძე**

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი. X ტური

**10 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ლიახვი-I.B.S.U. | 5:2 |
| იმედი-35-ე სკოლა | 1:1 |
| არაგველები-ნ/დინამო | 4:0 |

**11 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი 2-ამერი 2 | 3:1 |
| ალგეთი-ლოკომოტივი 2 | 0:3 |
| გარეჯი-დუშეთი | 1:0 |
| ერთობა-ბორჯომი | 3:2 |
| ალაზანი-ჰერეთი | 0:3 |
| ზოოვეტი-სამგორი | 1:2 |

IX ტურის მატჩი

| | |
|---|---|
| სამგორი-ალაზანი | 3:0 |

*ალაზანს ჩაეთვალა ტექნიკური წაგება*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დუშეთი | 10 | 7 | 0 | 3 | 22-10 | 21 |
| 2. სპარტაკი 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 26-14 | 20 |
| 3. ლოკომოტივი 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 23-11 | 20 |
| 4. ერთობა | 10 | 6 | 2 | 2 | 20-16 | 20 |
| 5. გარეჯი | 10 | 6 | 0 | 4 | 14-11 | 18 |
| 6. ბორჯომი 2 | 10 | 6 | 0 | 4 | 15-15 | 18 |
| 7. ამერი 2 | 10 | 5 | 1 | 4 | 15-10 | 16 |
| 8. არაგველები | 10 | 4 | 4 | 2 | 13-7 | 16 |
| 9. სამგორი | 10 | 4 | 3 | 3 | 18-15 | 15 |
| 10. ლიახვი | 10 | 4 | 3 | 3 | 17-16 | 15 |
| 11. იმედი | 10 | 3 | 4 | 3 | 13-16 | 13 |
| 12. ჰერეთი 2 | 10 | 4 | 0 | 6 | 21-19 | 12 |
| 13. ალგეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-18 | 11 |
| 14. I.B.S.U. | 10 | 3 | 1 | 6 | 16-23 | 10 |
| 15. 35 ს.ს. | 10 | 2 | 4 | 4 | 15-20 | 10 |
| 16. ალაზანი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-19 | 8 |
| 17. ზოოვეტი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-19 | 7 |
| 18. ნ. დინამო 2 | 10 | 0 | 3 | 7 | 5-24 | 3 |

### დასავლეთი. X ტური

**10 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| სამტრედია 2-მერცხალი | 0:0 |
| ნ/ტორპედო-ჭიათურა | 0:1 |
| მარგვეთი-მარტვილი 2 | 1:1 |
| სძური-ბაია 2 | 0:3 |
| გურია 2-ადელი | 2:0 |

**11 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ტორპედო 2-იმერეთი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერცხალი | 9 | 6 | 3 | 0 | 16-6 | 21 |
| 2. ბაია 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 23-11 | 18 |
| 3. სამტრედია 2 | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 4. გურია 2 | 8 | 5 | 1 | 2 | 19-11 | 16 |
| 5. მარტვილი 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 12-10 | 16 |
| 6. კოლხეთი 2 | 9 | 5 | 0 | 4 | 18-12 | 15 |
| 7. მარგვეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-16 | 12 |
| 8. ნ/ტორპედო | 9 | 3 | 1 | 5 | 7-10 | 10 |
| 9. ტორპედო 2 | 8 | 3 | 1 | 4 | 15-16 | 10 |
| 10. იმერეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| 11. ჭიათურა 2 | 9 | 3 | 0 | 6 | 11-20 | 9 |
| 12. ადელი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-19 | 7 |
| 13. სძური | 8 | 1 | 1 | 6 | 7-20 | 4 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# დავით ყიფიანის სახელობის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელქაძისა და ჩალაძის ორთაბრძოლა

ავტორის ფოტო

## მნიშვნელოვანი ნიუანსი

11.11. მცხეთა. არმაზი.
150 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია-მარტვილი**

**2:0**

1:0 ბეჭვაია (74. კლიმიაშვილის პასით)
2:0 ლომაია (78. ბერიაშვილის პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ლ. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - ჯანელიძე (59. ხურცილავა), რაზმაძე, გ. მელქაძე, კლიმიაშვილი - კვარაცხელია (67. ბერიაშვილი), ლიპარტია (78. ლუქაშვილი).

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ყველაშვილი, მაისაშვილი, ვასაძე*

მერანი: კოდალაევი - ფარცვანია, ჩხიკვაძე, ი. ვაშაკიძე, დ. კვიტატიანი - წონორია, პაპადოპულოსი (80. ზ. ენდელაძე), ტორაძე, დ. გოგოლაძე (60. ცაგარეიშვილი), კირკიტაძე - ლ. ჩალაძე.

*სათადარიგოები: ჯ. შეროზია, არდაშელია, ბერიშვილი*

გაფრთხილება: ბეჭვაია (49), ფარცვანია (73)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ეს მატჩი წესით გორში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში „ვიტ ჯორჯიამ" პფლ-ს თხოვნით მიმართა, თამაში მცხეთაში გაიმართა...

ამ წყვილის ფავორიტი საქართველოს ვიცე-ჩემპიონი რომ არის, ლაპარაკიც ზედმეტია. გუშინდელი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, „ვეტერინარებს" ნახევარფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ. თუმცა აქ მნიშვნელოვან ნიუანსს უნდა დავაკვირდეთ: მარტვილელებმა „ვიტ ჯორჯიას" მთელი 74 წუთი გაუძლეს. სტუმრებმა ბრძოლის ჟინი გამოავლინეს. ამასთან, დისკვალიფიკაციის გამო, მათ მთავარი მეგოლე **ციცხვაია** აკლდათ, კიდევ ერთ ფორვარდ **მუმლაძეს** კი ტრავმა აქვს. სანაცვლოდ, მარტვილის „მერანში" ორმა ცნობილმა ფეხბურთელმა ითამაშა - თბილისის „დინამოს" ყოფილმა მცველმა **ირაკლი ვაშაკიძემ** და მეკარე **ბესიკ კოდალაევმა**. პლუს ამას, სტუმართა შორის აქტიურობით გამოირჩეოდა **ლაშა ჩალაძე**. „ვიტ ჯორჯიამ" კი თავისი თამაში ვერ აჩვენა. როგორც ჩანს, **რამაზ მუმლაძის** შეგირდები იოლ გასეირნებას ელოდნენ, მაგრამ მერე დარწმუნდნენ, რომ საქმე სხვაგვარად იყო. საბოლოოდ, კლასმა და გამოცდილებამ ბრძოლის ჟინი მაინც გადაწონა...

„არმაზზე" მარტვილელმა ქომაგებმაც მოიყარეს თავი. პირველ ათ წუთში სტუმრებს გაუჭირდათ, მაგრამ გაუძლეს ვიტელთა ზეწოლას და თამაშის ეპიცენტრი თავიანთი საჯარიმოდან მოედნის შუაგულში გადაიტანეს, თუმცა შიგადაშიგ მეტოქის იერიშები მაინც ეპარებოდათ. 25-ე წუთზე კოდალაევმა **ბეჭვაიას** რთული ბურთი აუღო. ტაიმის მიწურულს კი გამოცდილმა მეკარემ **მელქაძის** დარტყმული (**ლიპარტიას** პასის შემდეგ) გაანეიტრალა.

ეტყობა, შესვენებისას „ვიტ ჯორჯია" მწვრთნელმა შეაფუცხუნა. თბილისელებმა მეორე ნახევარი მეტი მონდომებით დაიწყეს და 47-ე წუთზე **კლიმიაშვილის** დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს, 64-ე წუთზე კი **კვახაძის** თავურიც ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

მუმლაძის შეგირდები ნელ-ნელა ამწიფებდნენ გოლს და აი, 74-ე წუთიც დადგა - კლიმიაშვილის დარტყმული კოდალაევმა კი მოიგერია, მაგრამ მისგან უკუგდებული ბურთი **ბეჭვაიას** მიუგორდა და ანგარიშიც გახსნა - 1:0.

სტუმრები გატყდნენ და „ვეტერინარებმა" მალე მეორე გოლიც იზეიმეს. მელქაძის კუთხურის შემდეგ **ბერიაშვილის** თავიდან ბურთი **ლომაიამ** მიილო და 2:0. მარტვილელებმა თითქოს გაიბრძოლეს, მაგრამ მათი იერიშები თბილისელთა საჯარიმოს მისადგომებთან იფუშებოდა. მერე „ვიტ ჯორჯიას" კიდევ ერთხელ შეეძლო ანგარიშის კორექტირება, მაგრამ თამაშის ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა.

### მატჩის შემდეგ

**რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია):** *„არ ველოდი, თუ მეტოქე ასეთი მონდომებითა და მობილიზებით ითამაშებდა. მარტვილელებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მებრძოლი გუნდია და თამაში რომ გაგვიჭირდა, ეს სწორედ მათი დამსახურებაა. მატჩის ბოლოს კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. თუმც ვერ ვიტყოდი, რომ ამით ყველაფერი დასრულდა და უკვე ნახევარფინალში ვართ. პირიქით, მარტვილში უფრო რთული მატჩი გველის. ყველაფერი სწორედ იქ გადაწყდება".*

**მალხაზ ჟვანია (მერანი):** *„პირველი ლიგის გუნდი ვართ და გვინდოდა, ძალები ისეთ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში გამოგვეცადა, როგორიც „ვიტ ჯორჯიაა". ჩემს ფეხბურთელებს ჟინი და მონდომება არ აკლდათ, ამ მხრივ, მათ მიმართ საპრეტენზიო არაფერი გვაქვს. დღეს წავაგეთ, მაგრამ საპასუხო მატჩი წინაა. მარტვილში ბევრად უკეთ ვითამაშებთ. მით უმეტეს ორი თავდამსხმელი - ციცხვაია და მუმლაძე დაგვემატება".*

**დავით ცაბაძე**
მცხეთა-თბილისი

## დანავსული წარმატებულმა შეცვალა

11.11. რუსთავი. ფოლადი.
400 მაყურებელი

**ოლიმპი-ამერი**

**3:0**

1:0 მეგრელაძე (53-პენ), 2:0 ჩიკვილაძე (74), 3:0 სეთურიძე (77. ბაბუნაშვილის პასით)

ოლიმპი: ჰერლანი - თ. ღონღაძე, მაჭავარიანი, აკუასაგა, ჩიკვილაძე - გ. სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, დეკანოსიძე (46. ფეიქრიშვილი) - გ. ჩხეტიანი (69. ფიფია) მიკუჩაძე (46. მეგრელაძე).

*სათადარიგოები: სტურუა, ალადაშვილი*

ამერი: ნადირაშვილი - ხატიაშვილი, გვაძაბია, კაკაბაძე, ელბაქიძე - ლაფერაშვილი (90. ბუმბეიშვილი), ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი, ტიკურიშვილი (63. ნ. ქებაძე) - ხუციძე, ჩიმაკაძე.

*სათადარიგოები: გვენცაძე, თ. სანიკიძე, ფუტკარაძე, ჯინიკაშვილი, ბოჯგუა*

გაფრთხილება: ხატიაშვილი (28), დეკანოსიძე (42), კაკაბაძე (53), ცხოვრებაშვილი (58), დობროვოლსკი (73)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

დანავსული... წარმატებულმა სერიამ შეცვალა - „ოლიმპმა" ჩემპიონატში ზედიზედ ორ გამარჯვებას სათასო შეხვედრაში მოგებაც დაამატა! ეგ კი არა, ფაქტობრივად, გარკვეულია კიდეც, რომ რუსთაველები თასის შემდგომ ეტაპზე იასპარეზებენ. რა თქმა უნდა, წინ განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩია, მაგრამ, ვეჭვობთ, რომ ერთიანად გაახალგაზრდავებულმა „ამერმა" სამბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრას. ჰო, სამწუხაროდ, საქართველოს თასის ორგზის მფლობელს და ბოლო გათამაშების ფინალისტს, დღესდღეობით, არ შეუძლია ტოლი-ტოლზე ეპაექროს გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „ოლიმპს". თავად განსაჯეთ: მეკარე **ლადო ნადირაშვილისა** და ცენტრალური ნახევარმცველის **გიორგი ბენდელიანის** გარდა „ამერში" 18-20 წლის ბიჭები თამაშობენ. თუმცა, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ „ამერის" მიზანი ამ სეზონში უმაღლესში აღზევებაა და ვიმედოვნებთ, რომ **გიორგი ჩიხრაძის** ნამეტნავად გაახალგაზრდავებული კრებული ამას შეძლებს.

...მატჩის საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, ბურთიც, უმეტესწილად, მოედნის ცენტრში ტრიალებდა; თუმცა, მერე, მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა გამოიკვეთა და „ამერის" კართანაც სახიფათო მომენტებმა იმატა. ჯერ ყოფილმა ამერელმა **თენგიზ ჩიკვილაძემ** დაარტყა შორი მანძილიდან, მერე კი **დენის დობროვოლსკის** შეეძლო გოლის გატანა. არ დაგავიწყდეთ - დობროვოლსკიც „ამერის" ყოფილი ფეხბურთელია, ისე როგორც **გიორგი დეკანოსიძე**...

მასპინძლებს ყველაზე რეალური მომენტი 29-ე წუთზე ჰქონდათ, როცა **გიორგი სეთურიძის** აქტიურობას ლადო ნადირაშვილი აღუდგა წინ; „ამერის" მეკარემ საკუთარი გუნდი ტაიმის მიწურულსაც გადაარჩინა, როცა იმავე სეთურიძის დარტყმა მოიგერია. ერთ ეპიზოდში კი სტუმრები ძელმა იხსნა - **კოკა მიკუჩაძე** შეუჩერებლად ურტყამდა, მაგრამ ვერც ამ ჯერზე შეძლო სეზონში პირველი გოლის გატანა.

შესვენებაზე „ოლიმპის" თავკაცმა **ვარლამ კილასონიამ** შეცვლაზე ორი ახალი ფეხბურთელი შემოიყვანა და, წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამან საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა იქონია. **გიორგი ფეიქრიშვილი** ჩვეული აქტიურობით ჩაერთო თამაშში და მარცხენა ფრთიდან არაერთხელ დაემუქრა სტუმართა კარს; **გიორგი მეგრელაძემ** კი ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა მეტად საჭირო პირველი გოლი. გამოცდილი ფორვარდი მარჯვენა ფლანგიდან უტევდა და საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი სტუმართა ერთ-ერთ მცველის ხელს მოხვდა - პენალტი საკამათო არავისთვის უნდა ყოფილიყო. მეგრელაძემ დარტყმა უნაკლოდ შეასრულა და ამის მერე, დაახლოებით ათწუთიან მონაკვეთში, მასპინძლებს კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა. ერთ ეპიზოდში **შოთა ბაბუნაშვილის** დარტყმა ასცდა მიზანს, მეორედ - **გაგა ჩხეტიანმა** ააცილა; დანარჩენ შემთხვევებში კი **ლადო ნადირაშვილი** „დაფრინავდა". „ამერის" მეკარე უმაღლეს ლიგაშიც ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ კოლეგებში და სასიხარულოა, რომ ახლაც ჩვეული რეაქციით ეხმარება ახალგაზრდა თანაგუნდელებს უმთავრესი მიზნის მიღწევაში. ნადირაშვილმა ჯერ ყოფილ თანაგუნდელ დობროვოლსკის რთული დარტყმა მოიგერია, მერე კი **გოგა ფიფიას** არ დაანება გოლის გატანა. თუმცა, ასევე ყოფილი თანაგუნდელის, თენგიზ ჩიკვილაძის უძლიერესი დარტყმის წინააღმდეგ უძლური გახდა. ისე, გოლი, მართლაც, ლამაზი გამოდგა - „ოლიმპის" მარცხენა მცველმა მეტოქის საჯარიმოს კუთხიდან ბურთი შორეულ „ცხრიანში" გაგზავნა! არანაკლებ ეფექტური გახლდათ მასპინძელთა მესამე გოლიც, რომელიც გააზრებული კომბინაციის მერე ვიხილეთ: შეტევა გიორგი ფეიქრიშვილმა წამოიწყო, შოთა ბაბუნაშვილმა (აშკარად ფორმაში შედის) გააგრძელა და გიორგი სეთურიძემ ზუსტი დარტყმით დაასრულა.

მატჩის ბოლოსკენ სტუმრები რამდენჯერმე შეეცადნენ, თუნდაც პრესტიჟის გოლის გატანას; მაგრამ გუშინდელ სუსხიან დღეს **მირზა მერლანსაც** გვარიანად შესცივდებოდა: „ოლიმპის" მეკარეს, ფაქტობრივად, საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება არც დასჭირვებია...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

ბავშვთა ფეხბურთი

## დღეს ფესტივალის ორი ფინალია

### ყველა მონაწილეს მედალი და საჩუქარი ელის

8 ნოემბერს დაიწყო და დღეს დასრულდება ბავშვთა პირველი საფეხბურთო ფესტივალი, რომელიც თბილისისა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა ეგიდით ტარდება. ფესტივალს სპონსორი უხვად ჰყავს - დედაქალაქის მერია, „სპორტ სალერ ჯორჯია", „ფონდი არველაძეები", „დავით ყიფიანის ფონდი", „ფოლკსვაგენი", „ბოში"...

ფესტივალთან დაკავშირებით, გუშინ მედიას თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები - გრიგოლ ცაავა და ნიკოლოზ დოლიძე შეხვდნენ...

**ნიკოლოზ დოლიძე**

- ბავშვთა შორის ასეთი მასშტაბური გათამაშება პირველად ტარდება. მასში ათასამდე ბავშვი მონაწილეობს - ფოთის, სენაკის, სამტრედიის, ოზურგეთის, ქუთაისის, თერჯოლის, გორის, ბოლნისისა და ლაგოდეხის საფეხბურთო სკოლებიდან, აღარაფერს ვამბობ თბილისის თითქმის ყველა სკოლაზე. ფესტივალი იმდენად დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, მშობლები ზოგჯერ ზედმეტადაც კი აქტიურობენ. ფესტივალში 1999 და 2000 წელს დაბადებული ბავშვები ასპარეზობენ, პლუს ამას, 88-წლიანთა რამდენიმე გუნდიც... ფინალებზე 5 ათასამდე მაყურებელსა და კარგ სანახაობას ველით. მატჩები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. 2000 წელს დაბადებულთა ფინალი 17:30-ზე დაიწყება, 18:50-ზე კი 1999 წელს დაბადებულთა ფინალია, რომლის პირდაპირი რეპორტაჟი, სხვათა შორის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერითაც გადაიცემა. გვინდოდა, ეს ფესტივალი სექტემბერში ჩაგვეტარებინა, მაგრამ აგვისტოს მოვლენებმა შეგვიშალა ხელი. ამიერიდან, შეჯიბრება ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ, შემოდგომასა და გაზაფხულზე გაიმართება. ისევე როგორც ახლა, ფესტივალში მონაწილეობა მომავალშიც არა მარტო საფეხბურთო სკოლებს, არამედ, ნებისმიერ გუნდს შეეძლება.

**გრიგოლ ცაავა**

- გვინდა, ბავშვებს საფეხბურთო ზეიმი მოვუწყოთ, მეტი სტიმული მივცეთ, რათა კარგად დაეუფლონ ფეხბურთს. ამ ფესტივალში დამარცხებული არ არსებობს. ტურნირის ყველა მონაწილე მიიღებს საჩუქარს, ბურთს, გასასცმელ ფორმებს, წყლის მათარას, „ფიშკასა" და გერმანიაში სპეციალურად დამზადებულ მედალს, მწვრთნელებს კი სპორტული ეკიპირება დაურიგდებათ. ეს საჭირო ატრიბუტიკაა. ასე რომ, მობრძანდით მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, მოიყვანეთ ბავშვები და კარგ სანახაობას, ნამდვილ საფეხბურთო ზეიმს გპირდებით.




ნიკოლოზ დოლიძე და გრიგოლ ცაავა

ავტორის ფოტო

**დავით ცაბაძე**

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ უჩა უგულავასთან

# ახალგაზრდულ ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს!



ნერილი ორ ნაწილად გავყავით. პირველ ნაწილში მოგითხრობთ, თუ რა ხდება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თაობაზე. ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, რომ წინა პარასკევს ალმასკომის გამართვის თარიღი უნდა დადგენილიყო. სხდომაზე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის მუშაობა უნდა შეეფასებინათ. რეალურად კი დღის ნესრიგში შეგრტის გათავისუფლების საკითხი იდგა.

დადგა პარასკევი, გავიდა შაბათ-კვირაც, მაგრამ ალმასკომის გამართვაზე დღემდე არაფერი გვსმენია. რა ხდება? რჩება ხორვატი თუ არა? რაიმე ხომ არ შეიცვალა მასთან მიმართებაში? ეს კითხვები ჯერაც პასუხგაუცემელია. შეგრტმა განაცხადა - იდეალისტი უნდა იყო, რომ დარჩე სამსახურში, სადაც თვეების განმავლობაში ხელფასს ვერ იღებ. თუმცა მაინც უნდა ვიმუშაო ამ ხალხისა და ქვეყნისთვისო...

შეგრტი ომის დროს საქართველოში დარჩა, მანამდე რუსეთთან თბილისში გაგვამარჯვებინა, ჩვენე ტალანტებს სოფელ-სოფელ ეძებდა... ეს როგორ უნდა დაგვავიწყდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა პიროვნულ მომენტზე, არამედ, ახალგაზრდული ნაკრების საბოლოო და ერთობ სავალალო შედეგზე. ნესით, ასეთ დროს მწვრთნელი პოსტიდან უნდა გადადგეს, მით უფრო, მისთვის იოლი უნდა იყოს ნასვლა იმ ქვეყნიდან, სადაც ხუთი თუ შვიდი (თავად ბრძანებს ასე) თვეა ხელფასს ვერ იღებს. ესაა ყველაზე უცნაური, რომ მას თურმე საზოგადოებრივ სანყისებზე მუშაობა „აძლევს ხელს".

ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას სწორედ ამასთან დაკავშირებით დავუკავშირდით. მისგან ფრიად საინტერესო ამბები გავიგეთ...

**- ბატონო უჩა, ნინა პარასკევს ალმასკომის სხდომის თარიღი უნდა გარკვეულიყო...**

- ალმასკომი აუცილებლად გაიმართება, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. სავარაუდოდ, სხდომა 10 დეკემბრისთვის დაინიშნება. არის ვარიანტი, რომ 28 ნოემბერს გაიმართოს ან დეკემბრის პირველ კვირას. მოკლედ, დროის ამბავია და ვნახოთ...

**- საკითხის განხილვა ძალიან გაინელა. რა გახდა ამის მიზეზი?**

- უბრალოდ, ხომ გითხარით, სასურველი დრო უნდა შევარჩიოთ.

**- შეგრტის გათავისუფლებას აპირებთ?**

- მის მიმართ ჩვენი პოზიცია არც შეცვლილა.

**- ვინ განვრთნის ახალგაზრდულ ნაკრებს?**

- ჯერჯერობით, გუნდი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. თებერვალში გაიმართება კენჭისყრა, სადაც გაირკვევა ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები. ნესით, ნაკრებს სექტემბრამდე მატჩები არ უნდა ჰქონდეს. სწორედ აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მარტში უფრო უპრიანი იქნებოდა ახალი მწვრთნელის დანიშვნა.

**- ...და მანამდე ახალგაზრდულს მწვრთნელი არ სჭირდება?**

- გეტყვით, რაც ხდება. საკონტროლო შეხვედრები თითქმის არ არის და გამოდის, რომ მწვრთნელისთვის ხელფასი ტყუილად უნდა გადაგვეხადა.

**- ფეხბურთის ფედერაციას ფინანსური პრობლემებიც აქვს?**

- შეფერხებები აგვისტოს ომით იყო გამონვეული, მაგრამ ახლა ყველაფერი დალაგდა.

**- შეგრტი კი ამტკიცებს, რომ რამდენიმე თვეა, ხელფასი არ აულია...**

- ახლახან, ჩვენ მას სამი თვის დავალიანება გავუსტუმრეთ...

## რატომ ჩაიშალა შვედებთან შეხვედრა?

ახლა ჩვენი ნერილის მეორე ნაწილი. როგორც გავიგეთ, ოქტომბერში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შვედ თანატოლებთან უნდა ეთამაშათ. თუმცა მატჩი ჩაიშალა. უგულავას ამაზეც ვკითხეთ...

**- როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შვედეთში ოქტომბრისთვის დაგეგმილი შეხვედრა ჩაშალა. შვედური წყაროების ინფორმაციით, ქართულმა მხარემ ფინანსური პრობლემები მოიმიზეზა...**

- არა, ფინანსური პრობლემები არაფერ შუაშია. პირდაპირ ვამბობ - ახალგაზრდული ნაკრების გაშვებას აზრი არ ჰქონდა.

**- რატომ?!**

- ჯერ ერთი, ნაკრებს ახლა, ფაქტობრივად, მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს. მეორეც - ამხანაგურ შეხვედრაში გუნდის ახალი ბირთვი ახალმა მწვრთნელმა უნდა ჩამოაყალიბოს. ამას პირდაპირ გეუბნებით.

**- ფაქტია, რომ შვედები უკმაყოფილონი დარჩნენ...**

- უბრალოდ, ჩვენ არ შეგვეძლო, სხვაგვარად მოვქცეულიყავით. შვედეთში ნასვლა შეგრტს უფრო სურდა. მას კი კონტრაქტი უმთავრდება და ამ საკითხს მალე გადავწყვეტთ.

**- როდის უმთავრდება?**

- წლის ბოლოს. კონტრაქტში ენერა, რომ თუ ახალგაზრდული ნაკრები ჯგუფიდან გავიდოდა, მწვრთნელს ხელშეკრულება ავტომატურად გაუგრძელდებოდა. შედეგი როგორიც გვაქვს, კარგად მოგეხსენებათ და ის არავის მოსწონს - არც ფეხბურთის ფედერაციას და არც გულშემატკივრებს.

**- ჟიურესი უაპელაციოდ გაუშვით, შეგრტს კი ასე უფრთხილდებით... რა ხდება?**

- არაფერიც არ ხდება და არც არავის ვუფრთხილდებით...

**- დაბოლოს, ვისარგებლებ შემთხვევით და იქნებ, გვითხრათ - როდის ამუშავდება სახელმწიფო პროგრამა? „მესხეთის" პრეზიდენტ გია მესხელის თქმით, პროგრამა დავიწყებულია და ბევრმა ეს სარწმუნოდაც მიიჩნია...**

- მესმის ბატონი გიას შეშფოთება, მაგრამ პროგრამა აუცილებლად განხორციელდება. სტადიონების რეკონსტრუქციას ჯერ მფლობელის ვინაობის გარკვევა აფერხებდა, შემდეგ ომი დაინყო და ეტყობა, ეს ბევრმა პროგრამის შეჩერებად მიიჩნია. არ არის ასე, კიდევ ვიმეორებ - პროგრამა განხორციელდება.

სპეციფიკური დაპირისპირება

# ორივე გიორგი და ორივე ხიდეშელი...

## ანუ ავთანდილოვიჩი მერაბიჩის წინააღმდეგ

მეცხრე ტურში გორის „ქართლის" სტადიონზე ერთმანეთს ცხინვალის „სპარტაკი" და „ზესტაფონი" დაუპირისპირდნენ. ამ შეხვედრაში მოხდა ფაქტი, რომელიც ყველას გამორჩა მხედველობიდან - ერთმანეთის ნინააღმდეგ თამაშობდნენ გიორგი ავთანდილის ძე („ზესტაფონი") და გიორგი მერაბის ძე („სპარტაკი") ხიდეშელები, ბექა („ზესტაფონი") და ბონდო („სპარტაკი") გოცირიძეები, აგრეთვე, ალალი ბიძაშვილები - შალვა („ზესტაფონი") და მამუკა („სპარტაკი") ლონლაძეები. ხიდეშელები ცენტრალური მცველები არიან და სერგო გაბელაიას ცხინვალელთა კაპიტანი („მერაბიჩი") მოულოდნელად მარჯვენა ფლანგზე რომ არ დაეყენებინა, მისი და „ავთანდილოვიჩის" უშუალო დაპირისპირების მომსწრენიც გავხდებოდით.



გ.მ. ხიდეშელი



გ.ა. ხიდეშელი

### გიორგი მერაბის ძე ხიდეშელი, სპარტაკი

**- გიორგი, მოგვარეს თუ იცნობ?**

- „ავთანდილოვიჩს"? რას ჰქვია, ვიცნობ?! ძალიან კარგი ფეხბურთელია. ჯერ ის, რომ ძალიან მაღალია და ეს ფეხბურთელისთვისაც დიდი პლუსია, თავით კარგად თამაშობს, „მეორე სართულზე" ბრძოლა მშვენივრად ეხერხება. თან, რაც მახარებს, შეტევაშიც იცის ეფექტური გადასვლა და დაცვის საქმეებიც არ ავიწყდება.

**- მის ნინააღმდეგ ადრე რამდენჯერმე გითამაშია. როგორ გაიხსენებ ამ თამაშებს?**

- რთულია მასთან ბრძოლა, რადგან ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ტექნიკურია, ჭკვიანია და ამ უპირატესობებს კარგადაც იყენებს. ამას გარდა, გრძელი ფეხები აქვს და იმ დროს აგართმევს ბურთს, რომ არც ელოდები.

**- ერთმანეთის ნინააღმდეგ ყველაზე დასამახსოვრებელი და უსიამოვნოდ მოსაგონარი რომელი შეხვედრა იყო?**

- ჩემთვის ყველაზე კარგი თამაში გასულ სეზონში იყო, რადგან ორი ბურთი გავიტანე და, რაც მთავარია, „ავთანდილოვიჩი" მხოლოდ ამის შემდეგ შემოიყვანეს მოედანზე და ამდენად, გაშვებული გოლები მას ვერ დაბრალდებოდა. კიდევ კარგი, ასე მოხდა, თორემ ორი გოლის გატანის საშუალებას მომცემდა?!

**- ერთმანეთის ნინააღმდეგ შემთხვევით უხეშად არ გითამაშიათ?**

- არასდროს! ჯერ ერთი, იმიტომაც, რომ „ზესტაფონში" ბევრი მეგობარი მყავს, კარგი ბიჭები არიან. უხეში კი არც მე ვარ და არც გიორგი.

**- შენი აზრით, „ავთანდილოვიჩს" რისი მიღწევა შეუძლია?**

- პირფერობა არ მიყვარს და იმიტომ არ ვაქებ, რომ სეხნია და მოგვარეა. მაგრამ ვიტყვი - აუცილებლად დაბრუნდება ნაკრებში, გახდება შეუცვლელი ფეხბურთელი და დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**- ერთმანეთს თუ ენათესავებით?**

- ნესით, ჩვენ ერთი ძირი უნდა გვქონდეს, რადგან ორივე მოვდივართ რაჭიდან, სოფელ ხიდეშლებიდან. მერე, პაპაჩემის მამა, გიორგი, კახეთში დასახლდა და მას შემდეგ აქეთ ვცხოვრობთ.

### გიორგი ავთანდილის ძე ხიდეშელი, ზესტაფონი

**- „მერაბიჩს" როგორ დაახასიათებდი?**

- პიროვნულად ძალიან კარგად ვიცნობ და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამით ვამაყობ. „მერაბიჩი" უაღრესად ნესიერი ადამიანია. რაც შეეხება მის ფეხბურთელობას, ნიჭიერია და მიმაჩნია, რომ გაცილებით უკეთეს გუნდში თამაშს იმსახურებს. ცხინვალის „სპარტაკის" კაპიტნად ტყუილად არ აურჩევიათ, ლიდერის თვისებების მქონე ფეხბურთელია. მის ნინააღმდეგ რამდენჯერმე მითამაშია და ერთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ, მოედანზე ბოლომდე არ დახარჯულიყო.

**- „მერაბიჩის" გვერდით თამაშს ისურვებდი?**

- რა თქმა უნდა. აბა, ასე კარგად დავახასიათებდი?

**- როგორი მოწინააღმდეგეა?**

- მის ნინააღმდეგ თამაში ძალიან რთულია, სწრაფია, მებრძოლი... ძალიან ძლიერ და ზუსტ დარტყმას ფლობს. მოკლედ რომ გითხრათ, ნამდვილი ხიდეშელია, რა (იცინის)...

**- ესე იგი, ფიქრობ, რომ „სპარტაკი" „მისი" გუნდი არ არის?**

- ამ გუნდში ის აშკარად გამორჩეულია და მჯერა, გაცილებით ძლიერ კლუბში გადავა. მას შეუძლია, ნებისმიერი გუნდი გააძლიეროს, თვით ლიდერიც კი.

**- სეხნია და მოგვარე როდის გაიცანი?**

- სამი წელია, ვიცნობ. სხვათა შორის, კურიოზულ ვითარებაში გავიცანი - თამაში ინყებოდა და გოგი ფიფიამ მიმანიშნა - ეს შენი სეხნია და მოგვარეაო.

**- როგორ, მანამდე არ იცოდი, რომ ასეთი ფეხბურთელი არსებობდა?**

- როგორ არ ვიცოდი, მაგრამ არ ვიცნობდი. ფიფიასთან ერთად ის გერმანიაში, „კაიზერსლაუტერნის" საფეხბურთო აკადემიის გუნდში თამაშობდა. „მერაბიჩზე" სწორედ გოგი მიყვებოდა ხოლმე... მერე გავიცანი მამამისიც - მერაბ ხიდეშელი, რომელიც საოცარი ადამიანია, ფეხბურთის დიდი ქომაგი... თავის დროზე, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი კახეთში იყო, ფეხბურთელებს თავს ევლებოდა და თურმე, დღემდე ასეა. ჩემი თანაგუნდელი ირაკლი ძარია შარშან იჯარით „სპარტაკში" თამაშობდა და მისგან გამიგია - გაჭირვებულ ფეხბურთელებს პატრონობს, ყველანაირად ეხმარებაო. და ამას სპონსორის სახელით და ვინმეს თხოვნით კი არა, საკუთარი ადამიანობითა და კეთილი ნებით აკეთებს. ამიტომაცაა, რომ შვილიც მისნაირი გულიანია...

ახალი თაობა

გიგი ნაქაძე

# დატოვებენ ქართველს ბრაზილიაში?



18 წლის თავდამსხმელი **გიგი ნაქაძე** თვენახევრის ნინ სტაჟირებაზე ბრაზილიურ კლუბ „ატლეტიკო პარანენსეში" გაემგზავრა. ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ხდებოდა ამ ბიჭის თავს, რადგან - ქართველი ბრაზილიაში - თავისთავად მოვლენაა.

„სიმართლე გითხრათ, თავიდან მოთამაშეებისგან უნდობლობას ვგრძნობდი. ეს ფეხბურთის მექაა და ყველა არაბრაზილიელს ეჭვის თვალით უყურებენ, არათუ ქართველს, არგენტინელებსაც კი. თუმცა დავიწყე ვარჯიში, ორმხრივ შეხვედრებში გოლებიც გავიტანე და მიხარია, რომ აზრი შევაცვლევინე" - გვიამბობს ნაქაძე.

ახალგაზრდა მოთამაშე ბრაზილიური კლუბით აღტაცებას ვერ მალავს: „ამ კლუბს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა აქვს. ბალახის რვა თუ ცხრა მოედანია, ერთი ქვიშის - საგანგებოდ მონყობილი. ბაზაშვე კლუბის სასტუმრო, რესტორანი, გასართობი ცენტრები... მოკლედ, ბაზას ლამის ერთი სოფლისხელა ტერიტორია უკავია. შეუძლებელია, ჩახვიდე ბრაზილიაში და ფეხბურთის თამაშის სურვილი არ გაგიძლიერდეს. გარემოა ისეთი, სულ ფეხბურთზე ვფიქრობ და ეს ძალიან მახარებს. მეხალისება თამაშიც, ვარჯიშიც, თითოეული აქაური დღე, რადგან ეს ჭეშმარიტად ფეხბურთის ქვეყანაა".

18 ნლის თავდამსხმელი საქართველოში „ნორჩ დინამოელსა" და **კარლო მჭედლიძის** საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა.

„ბავშვობაში საქართველოს გამორჩეულ საფეხბურთო სკოლებში ვვარჯიშობდი. სწორედ მაშინ ჩაიყარა საფუძველი, რომ ბრაზილიაში ჩვენი ქვეყანა არ შემერცხვინა. „ატლეტიკო პარანენსეში" უნიკალური სამედიცინო ცენტრია, საგანგებოდ აუზსა და ქვიშაზე გვავარჯიშებენ. აუზი კოორდინაციას აუმჯობესებს, ქვიშაზე თამაში კი ფეხის კუნთებს აძლიერებს და საერთოდ, ფიზიკურად უფრო ამტანი ხდები. ბრაზილიელები იმიტომაც არიან ლონიერები, სწრაფები და ტექნიკურები, რომ პლაჟზე იზრდებიან. საგანგებოდ დამინიშნეს მწვრთნელი, რომელიც სტანდარტულების უკეთ შესრულებას მასწავლის. ასევე არიან მწვრთნელები, რომლებიც ტექნიკას, სირბილს და ათასგვარ ნიუანსს გასწავლიან. ვისაც რა პრობლემა აქვს, იმ კუთხით ავარჯიშებენ. პირადად მე, ამ ვარჯიშების შედეგი უკვე ვიგრძენი - ფეხებისა და მხრების კუნთები გამიძლიერდა, დამებერა და ამის გამო ორი კილოგრამიც მოვიმატე. აშკარაა, ფეხზე უკეთ ვდგავარ, ორთაბრძოლებშიც უფრო თავდაჯერებული და ნარმატებული გავხდი. ამიტომაცაა, ბრაზილიელებისგან მეტ პატივისცემას რომ ვგრძნობ. სამი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ და 5 გოლი გავიტანე" - გვითხრა ნაქაძემ.

ახალგაზრდა ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ 6-თვიანი სტაჟირების შემდეგ კლუბში დარჩება: „მწვრთნელი უკვე მელაპარაკა. მითხრა, რომ პროგრესი შემატყო და შესაძლოა, დაგტოვოთო, დამაიმედა. აქ არაბრაზილიელებს თითქმის არ უფორმებენ კონტრაქტს, მაგრამ მწვრთნელის ამ სიტყვებმა სერიოზული იმედი მომცა".

ნაქაძე ერთადერთი ქართველი მოთამაშეა, რომელსაც ბრაზილიაში, ამ დონის კლუბში ვარჯიშის პატივი ხვდა ნილად. მანამდე, გასული ნლის შემოდგომაზე ბრაზილიაში ნახევარმცველი **თორნიკე ხაჩიძე** ვარჯიშობდა, რომელიც ნელს მოსკოვის „სპარტაკში" გასინჯეს, ახლა კი თბილისის „დინამოს" დუბლებში ვარჯიშობს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული

ლეგიონერი



## ცხადაძე დასაჯეს

აზერბაიჯანის პფლ-ის სადისციპლინო კომიტეტმა მკაცრად დასაჯა ბაქოს „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე**, რომელიც 4 მატჩის განმავლობაში ვერ დაჯდება გუნდის სათადარიგოთა სკამზე. მიზეზი ცხადაძის მიერ მსაჯის შეურაცხყოფაა. დაისაჯა კლუბიც, რომელიც პფლ-ის სასარგებლოდ 4 ათას მანათს გადაიხდის (დაახლოებით 5 ათასი დოლარი). მაგრამ „სტანდარდი" მხოლოდ ცხადაძის გამო არ დასჯილა - კლუბის სხვა წარმომადგენელთა უსაქციელობის გამო კლუბის ხაზინა დამატებით 5 ათასი მანათით გალარიბდება. შეგახსენებთ, რომ „სტანდარდი"-"სიმურგის" მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს შორის შელაპარაკება მოხდა, პრესკონფერენციის დროს იკამათეს მთავარმა მწვრთნელებმაც.

*„შესაძლოა, ცოტა გადავამეტე კიდეც, მაგრამ მსაჯობა მართლაც ძალზე არაკვალიფიციური იყო, რამაც გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე. რაც შეეხება, „სიმურგის" თავკაცთან უთანხმოებას, ჩვენ თავად მოვაგვარებთ ამ ინციდენტს",* - განუცხადა ცხადაძემ „სტანდარდის" ოფიციალურ ვებგვერდს.

პირველი წრის დასრულებამდე 3 ტურილა დარჩა. გამოდის, რომ ცხადაძე ერთ მატჩს უკვე მომავალ წელს გამოტოვებს. თუმცა სხვაგვარად მსჯელობს „აზერი ფუტბოლი":

*„კახა ცხადაძის გადადგომაზე ხმები ლამის სეზონის დასაწყისიდან დადის, ასე რომ, არ გამოვრიცხავთ, მისი დისკვალიფიკაცია გაცილებით ხანმოკლე გამოდგეს".*

ბაქოს „ნეფთჩი" უკვე ეძებს **გიორგი ადამიას** შემცვლელს. კლუბში ორი ლეგიონერი ისინჯება - რუსი და ჰოლანდიელი. თავად ქართველი კი, ორ შერისხულ თანაგუნდელთან ერთად, „ნეფთჩი 2-ში" ვარჯიშობს. ადამიამ მეორე გუნდში ითამაშა კიდეც. მართალია, „ნეფთჩის" დუბლებმა 9-თვიანი წაუგებელი სერია შეწყვიტეს, მაგრამ ქართველს კარგად უთამაშია.

*„ადამია მომეწონა, ძლიერ მონდომებული იყო. ერთ ეპიზოდში მან ბურთი ძელს გაარტყა. საერთოდ, პირველი გუნდიდან გადმოყვანილი სამეული სამაგალითოდ იქცევა, კლუბის განაწესს ზედმიწევნით ზუსტად იცავს"* - აღნიშნა დუბლების მწვრთნელმა **არიფ ასადოვმა**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## რა თქმა უნდა, მუჯირი სიმბოლურში...

ლოკომოტიველ **დავით მუჯირს** მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ სანაქებო თამაში (გამარჯვების გოლი) დაუფასდა და პირველად მოხვდა championat.ru-ს სიმბოლურ ნაკრებში. ქართველი სიმბოლურში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზეა.

*„დავით მუჯირის გოლმა „ლოკომოტივს" 3 ქულა მოუტანა. მატჩის დარჩენილ ნაწილშიც ქართველი კარგად უძღვებოდა გუნდის შეტევებს"* - ასე ხსნის აღნიშნული ვებგვერდი საკუთარ არჩევანს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფრაგმენტი ჩემი კარიერიდან

რევაზ ძოძუაშვილი

**საშიში** და ბოროტი ქვეყანა - საბჭოთა კავშირი, რომლის ნაკრებში ქართველი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ და არც თუ პატარა წარმატებებს აღწევდნენ...

1972 წელს საბჭოთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე (ბელგია) მოხვდა, სადაც სულ ოთხი გუნდი იყო. საბჭოელებმა ნახევარფინალში უნგრეთი დაამარცხეს 1:0, ფინალში (ბრიუსელი) კი გერმანიის ფედერაციულ ნაკრებს გადაეყარნენ...

მაშინ გერმანიას ისეთი ნაკრები ჰყავდა, მიხაელ ბალაკი თუ ლუკას პოდოლსკი იქ ნაღდად ვერ მოხვდებოდნენ. ზეპ მაიერი, ფრანც ბეკენბაუერი, გიუნტერ ნეტცერი, პაულ ბრაიტნერი, გერდ მიულერი... ასეთ გუნდთან დამარცხდა (0:3) საბჭოთა კავშირი, რომლის შემადგენლობაში ორი ქართველი იყო - მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი.

მას მერე, ასეთი რანგის ტურნირის ფინალში ქართველ ფეხბურთელს აღარ უთამაშია. საბჭოთა ნაკრებმა კი 1972 წლის შემდეგ 1988-შიც მიაღწია ევროფინალამდე, თუმცა ჰოლანდიასთან 0:2 უქართველოდ წააგო...

მაშ ასე, 1972 წელი, მიუნხენიდან და ბრიუსელამდე. მაშინდელ ამბებს რევაზ ძოძუაშვილი იხსენებს...

დავით თავართქილაძე

# ნოკდაუნი, ნოკაუტი და პირველი კუკლა

## ორი კომპლექტი და მორიგი ასდოლარიანი გასვლა მიუნხენში

1972 წელს დასავლეთი გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალამდეც ვეთამაშეთ, ის შეხვედრა მიუნხენში გაიმართა - ოლიმპიური სტადიონის გახსნა გფრ-სსრკ-ის მატჩით მოეწყო. ეს საბჭოთა ნაკრების პირველი გასვლა იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში... თამაშამდე და თამაშის შემდეგაც ბანკეტზე დაგვპატიჟეს, სადაც გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებიც იყვნენ. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რათა ლამაზად ეთქვათ - გერმანიის გაერთიანებას წინ ვერაფერი დაუდგებაო. მოკლედ, მიუნხენში ჩვენს მიწვევას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა...

მიუნხენში თამაშამდე ერთი დღით ადრე ჩავედით. გერმანელებს ძალიან უნდოდათ, მათ გუნდს სასტიკად დაეჩაგრა საბჭოთა ნაკრები, რაც გამოუვიდათ კიდეც და საამისოდ მუშაობა მოედნის მიღმაც გააჩაღეს. ნაკრების ფეხბურთელებს BMW-ს უახლესი მოდელის რამდენიმე მანქანა გამოგვიყვეს და ასე დაგვათვალიერებინეს მიუნხენი, თითქმის ყოველი კუთხე-კუნჭული მოგვატარეს, კარგად დაგვღალეს... ისე, სიმართლე გითხრათ, ჩვენც გვაინტერესებდა, როგორი იყო დასავლეთი გერმანია. ერთი სიტყვით, თამაშისთვის 50 პროცენტითაც ვერ მოვემზადეთ. ფეხბურთელებმა მატჩის წინა დღით ორი საათიც კი ისე რომ არ გაატარონ, როგორც ეს საქმეს სჭირდება, ჩათვალეთ, რომ უკვე მორყეულია მისი სათამაშო კონდიცია...

იყო კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორიც - ჩვენს მთავარ მწვრთნელ **ალექსანდრ პონომარიოვს** კუჭზე სიმსივნე ჰქონდა. მას თანაშემწეები, **ნიკოლაი გულიაევი და გერმან ზონინი** ცვლიდნენ. მოკლედ, პონომარიოვი რიგიანად ვერ ხელმძღვანელობდა ნაკრებს და, რა თქმა უნდა, ამით საქმე ფუჭდებოდა...

თამაშზე ბევრი ხალხი მოვიდა, ოლიმპიური სტადიონი გაივსო. პირველად ვნახეთ ისეთი სტადიონი, რომელიც ბეტონის კონსტრუქციით კი არა, მინითა და ლითონით იყო გადახურული, ეს გენიალურად მოგვეჩვენა მაშინ, გერმანელთა პირველი „კუკლა" ასეთი იყო. რუსები ამბობენ, თეატრი კარგი გარდერობით იწყებაო და ასეა აქაც - ფეხბურთი კარგი სტადიონით იწყება.

გერმანელები სამი ფორვარდით თამაშობდნენ - ცენტრალური თავდამსხმელი და გარემარბები. მარცხენა ფლანგზე **ერვინ კრემერსი** ჰყავდათ, ეროვნულ გუნდში ახალწვეულად ითვლებოდა და ყველას ძალიან აინტერესებდა, თუ როგორ წარიმართებოდა მისი სანაკრებო კარიერა. 1:4 წავაგეთ, მთელმა გუნდმა სუსტად ითამაშა, კრემერსს კი თავი არაფრით გამოუჩენია, საგოლე გადაცემაც კი არ გაუკეთებია. მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა კრემერსზე რომ მკითხეს, ვუთხარი - კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელი უნდა იყოს-მეთქი. ჟურნალისტების შემდეგ კი „პუმას" წარმომადგენელი **დასლერი** შემხვდა და მანაც კრემერსზე ჩამომიგდო სიტყვა. მას უკვე პირდაპირ მივახალე - ევროპის ჩემპიონატის ფინალში ალბათ გერმანიას შევხვდებით და კრემერსი მოედანზე ვერ გამოჩნდება-მეთქი. კამათს ნიძლავი მოჰყვა - თუ მე გამოვდგებოდი მართალი, დასლერს „პუმას" ორი კომპლექტი უნდა მოეცა ჩემთვის, ხოლო თუ წავაგებდი, ერთი ყუთი ქართული კონიაკი უნდა მეკისრა...

ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ბრიუსელში, ფინალის შემდეგ, დასლერი ჩემთან „პუმას" ორი ჩანთით მოვიდა და მითხრა - კრემერსი დღეს მოედანზე არ ყოფილაო. კრემერსი მერეც თამაშობდა ნაკრებში, თუმცა იქ ფეხი ვერ მოიკიდა...

რაც შეეხება ფინალის ძირითად პერიპეტიებს, გერმანელებმა პირველ რიგში ტაქტიკურად მოგვიგეს, ისეთნაირად ითამაშეს, ჩვენს ნაკრებში მთელი 90 წუთი გაურკვევლობა იყო. როგორც ჩანს, მიუნხენის მატჩში **ჰელმუტ შიონის** გუნდს ჩვენთვის ყველაფერი არ უჩვენებია. გერმანელებმა ხუთი მცველით ითამაშეს. **ფრანც ბეკენბაუერი** „სტოპერის" უკან დადგა, „სტოპერის" წინ კი **გიუნტერ ნეტცერი**, ხოლო დანარჩენი ორი მცველი - ფლანგებზე. ნეტცერი დროდადრო უკან იხევდა და ბეკენბაუერის ადგილს იკავებდა, ბეკენბაუერი კი წინ მიდიოდა და დისპეტჩერობდა. ამან ძალიან დაგვაბნია. გამთამაშებლობას და შეტევაში გაჭრას ნეტცერისგან ველოდით, რომელსაც **ვლადიმირ ტროშკინის** სახით პერსონალური მეურვე მივუჩინეთ. ნეტცერი უკან რომ მიდიოდა, ტროშკინიც მიჰყვებოდა, წინ წამოსულ ბეკენბაუერს კი სივრცე ეხსნებოდა.

ჩვენს დაცვაზეც გეტყვით. არ გვყავდა **ალბერტ შესტერნიოვი** და მის ნაცვლად „ლიბეროს" ფუნქციის შესრულება **ვლადიმირ კაპლიჩნის** დაავალეს. ის „სტოპერი" გახლდათ და ახალ დავალებას თავი ვერ გაართვა, რითიც დაცვის ცენტრი მოყანყალდა. არადა, **მურთაზ ხურცილავას** ორივე შეეძლო - „სტოპერობაც" და „ლიბეროობაც" და უპრიანი იქნებოდა, ის გაემწესებინათ უკანა მცველად.

**გერდ მიულერმა** პირველი გოლი ასე გაიტანა - ჩვენმა მეკარე **ევგენი რუდაკოვმა** დარტყმა მოიგერია, დამატებაზე მიულერმა ბურთი ხელით გაასწორა და მერე შეაგდო. ასე გამოვიდა - ნოკდაუნში შიონმა ჩაგვაგდო, ნოკაუტში კი მიულერმა.

იყო ასეთი ვარიანტიც. რაკი მეხერხებოდა პერსონალური მეურვეობა, მიულერი მე უნდა ამეყვანა. 1970 წლის მუნდიალზე ურუგვაისთვის რომ მოგვეგო, მერე ბრაზილიას შევხვდებოდით და უკვე მამზადებდნენ პელეს წინააღმდეგ სათამაშოდ... ბრიუსელის ფინალში კი მწვრთნელებმა ვერ გარისკეს და ჩვეულ პოზიციაზე, მარჯვენა ფლანგზე გამამწესეს. თუ მიულერის მეურვეობას დამავალებდნენ, უკვე ვიცოდი, რა პროგრამით უნდა მოვმზადებულიყავი ამისთვის. მიულერის ტიპის ფორვარდები ასე თამაშობენ - უცბად მოწყდებიან ადგილიდან და თუ მათთან სტარტი წააგე, დამარცხდები.

როცა მეკითხებიან, ყველაზე მეტად ვინ მომეწონა გერმანიის იმ ნაკრებიდან, ასე ვპასუხობ: მომეწონა შიონი, მერე ნეტცერი და ბეკენბაუერი. შიონი მართლაც გამორჩეული სპეციალისტი იყო...

გფრ-ს მაშინ დიდებული გუნდი ჰყავდა, მაგრამ საბჭოთა ნაკრებში ყველაფერი ნორმალურად რომ ყოფილიყო, ასეთ მეტოქესთანაც კი უშანსოდ არ ვიქნებოდით. საბჭოთა ნაკრებს ყოველთვის ჰქონდა კარგი შანსი ნებისმიერი რანგის მოწინააღმდეგესთან, მაგრამ ამ ქვეყანაში არ უნდოდათ, რომ ჰყოლოდათ ბევრი მესხი, მეტრეველი, იაშინი და სტრელცოვი... არც ის უნდოდათ, რომ ისინი ძალიან შორს წასულიყვნენ. როცა ფეხბურთელი 30 წელს მიაღწევდა, კარიერა უნდა დაესრულებინა, ახალგაზრდებისთვის უნდა დაეთმო ადგილი - ასეთ წნეხში აქცევდნენ ჩვენს პლეადას, ხელოვნურად ახდენდნენ თაობათა ცვლას. თუმცა თავდადებული სპორტსმენები მაინც პოულობდნენ ნაპრალებს ამ სისტემაში და ეს რომ არა, ალბათ, ვერ მოვახერხებდი **ბესტისა და ჯაირის** წინააღმდეგ თამაშს...

ყოველივე ამის გამო, 1972 წლის ფინალში საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელების მხოლოდ 30-მა პროცენტმა მოიყარა თავი. **ლოვჩევი, ტროშკინი, ბანიშევსკი, ონიშჩენკო, ისტომინი...** ისინი, ფაქტობრივად, არ იყვნენ ძირითადის ფეხბურთელები. სტრელცოვი, ვორონინი, ასათიანი... ისინი კი ამ ტურნირის მიღმა დარჩნენ...

ალბათ, ისიც გაინტერესებთ, რას მივიღებდით ევროპის ჩემპიონატის მოგების სანაცვლოდ - მხოლოდ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას. ჩემპიონები ვერ გავხდით და ეს წოდებაც არ მაქვს - საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობის მეტი ჩემთვის არაფერი გაიმეტეს. უცხოეთში ყოველ წასვლაზე კი 100 დოლარს გვაძლევდნენ, ნაკრებში სხვა ჰონორარი არ გვქონია...



1972 წელი. ფინალის წინ. საბჭოთა ნაკრები. მარცხნიდან: იური ისტომინი, ვლადიმირ ონიშჩენკო, ანატოლი ბაიდაჩნი, ანატოლი ბანიშევსკი, ვლადიმირ ტროშკინი, რევაზ ძოძუაშვილი, ვიქტორ კოლოტოვი, ანატოლი კონკოვი, ვლადიმირ კაპლიჩნი, ევგენი რუდაკოვი, მურთაზ ხურცილავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატლეტიკო

# აგირე მშვიდადაა



## არანაირი გადაყენება?

რაც დრო გადის, "ატლეტიკოს" არასახარბიელო შედეგებიდან გამომდინარე **ხავიერ აგირეს** შესაძლო გადაყენების შესახებ სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ. "ოსასუნასთან" მატჩში მიღწეული ფრე "როხიბლანკოს" ხელმძღვანელებმა ძალიან მტკივნეულად აღიქვეს. უკმაყოფილება პრეზიდენტმა ღიად დააფიქსირა. აგირემ მწვრთნელი და ფეხბურთელები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. ამის გამო მექსიკელი სპეციალისტის შესაძლო გადაყენებაზე თითქმის ყველა გაზეთი ალაპარაკდა. ამის პარალელურად სენიორ ხავიერმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და აბსოლუტურად საპირისპირო რამ განაცხადა: *"ვიცი, ჩვენგან გაცილებით უკეთეს თამაშსა და რაც მთავარია, შედეგებს ელოდებიან. სამწუხაროდ, მრავალი ქულა დავკარგეთ, რის გამოც ლიდერს სოლიდური სხვაობით ჩამოვრჩით. მიუხედავად ყველაფრისა, საზოგადოებაში პესიმიზმი არ სუფევს. პირიქით, კლუბში საოცარი ოპტიმიზმია. ფეხბურთელები უსიტყვოდ მენდობიან. ისინი აცხადებენ, რომ ჩემთან მუშაობით დიდ გამოცდილებას იძენენ. რა თქმა უნდა, ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ვიცი, პრესაში ჩემს შესაძლო გადაყენებაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერჯერობით საამისო წინაპირობა არ არსებობს. ხელმძღვანელობას პირადად ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ ისინი ჩემს გადაყენებაზე არ ფიქრობენ. რა თქმა უნდა, თუ შედეგები არ გამოსწორდება, სიტუაცია შეიცვლება, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენს გუნდში სრული სიმშვიდეა."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ფარდის მიღმა



# რაული კალჩოზე გაზრდილა

„გაძეტა დელო სპორტში" **რაულ გონსალეს ბლანკოსთან** დაკავშირებით საინტერესო სტატია გამოქვეყნდა. აპენინელი ჟურნალისტი „რეალის" ცოცხალ ლეგენდას იტალიურ ფეხბურთზე ესაუბრა და ბევრ, აქამდე უცნობ ამბავს ახადა ფარდა. თურმე, რაულს სწორედ კალჩომ შეაყვარა სპორტის უპირველესი სახეობა და ეს გრძნობა მას დღემდე მოჰყვება: *„ჩემს ბავშვობაში ევროპას „მილანი" აზანზარებდა, არიგო საკის გუნდმა ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. მართლაც უდიდესი გუნდი იყო, რომელშიც უდიდესი ფეხბურთელები თამაშობდნენ. რა გასაკვირია და მაშინ სწორედ „მილანის" მაისურის მორგებაზე ვოცნებობდი".*

ჟურნალისტი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა რაულს შანსი კარიერა „როსონერიში" გაეგრძელებინა: *„თავიდანვე გადავწყვიტე, რომ კარიერას სამეფო კლუბში დავასრულებდი და მას შემდეგ, აზრი ერთი წუთითაც არ შემიცვლია. მქონდა კონკრეტული წინადადებებიც და ყველა მათგანზე კატეგორიული უარი ვთქვი. თუმცა გამოვტყდები, რომ არაერთხელ მიოცნებია „მილანის" შავწითელ მაისურზე და მარკო ვან ბასტენის მხარდამხარ თამაშზე. დამეთანხმეთ, ჩვენგან ურიგო დუეტი არ გამოვიდოდა. მახსოვს, საკის ფორმაციის „მილანში" ფრანკ რაიკაარდი, რუდ გულიტი და რობერტო დონადონი ასპარეზობდნენ, აბა მათ გვერდით თამაშზე ვინ იტყოდა უარს"?*

რაულს იმაზეც ჰკითხეს, თუ რომელმა ფეხბურთელმა დატოვა მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება: *„ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეები მართლაც გამორჩეულად მახსოვს, მაგრამ არ შემიძლია ერთი ფეხბურთელი განსაკუთრებულად არ გამოვყო. ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი რობერტო ბაჯო გახლავთ. მისი თამაში ჩემთვის სამაგალითო იყო და ყოველთვის ვცდილობდი რომ მიმებაძა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მცდელობა ყოველთვის უშედეგოდ სრულდებოდა. რობი ერთადერთი და განუმეორებელი იყო".*

სულ ბოლოს, რაული **პაოლო მალდინის** შეეხო და მისი მისამართითაც ქებად დაიღვარა: *„ბავშვი ვიყავი, როდესაც პაოლომ ჩემპიონთა თასი პირველად აღმართა. დღეს უკვე 31 წლის ვარ, ის კი კვლავაც უმაღლეს დონეზე თამაშობს. მალდინიმ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა. საერთოდ, იტალიაში დიდი ფეხბურთელები ყოველთვის იყვნენ და პაოლო მათ შორისაც გამორჩეულია. მსურს ისეთივე დაფასებული ვიყო ჩემს გუნდში, როგორიც მალდინი გახლავთ „მილანში".*

**ლაშა ნიკლაური**

ბარსელონა

# ჩავის ხელფასს გაუზრდიან



"ბარსელონაში" საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. როგორც ჩანს, კატალონიურმა გრანდმა დიდი ფული იშოვა. ამაზე უამრავი საქველმოქმედო და სამოქალაქო აქცია მეტყველებს. "ბარსას" ხელმძღვანელებმა ქველმოქმედების ხარჯები 10 პროცენტით გაზარდეს. ეს დიდი საქმეა, მაგრამ **ჟოან ლაპორტა**, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საკუთარი კლუბის კეთილდღეობაზე ფიქრობს. შემთხვევით არ გვითქვამს, რომ "ბარსელონამ" დიდი ფული იშოვა, თავად განსაჯეთ, სრულიად მოულოდნელად, დირექტორატმა **ჩავი ერნანდესს** ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება და ხელფასის გაზრდა შესთავაზა. ბუნებრივია, ესპანურ გიგანტს დამატებითი შემოსავალი რომ არ მიეღო, ასეთ სულგრძელ წინადადებას არავინ წამოაყენებდა. ჩავი მოულოდნელი შეთავაზებით ძალიან კმაყოფილი დარჩა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ მას ხელფასს 1.5 მილიონით უზრდიან. როგორი საქმეა? სრული შთაბეჭდილება რომ შეგექმნათ, **ჩიკი ბეგირისტაინის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ჩავი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და სიმბოლოა. ერნანდესი რომ არ გვყავდეს, არ ვიცი, რა გვეშველებოდა. "ბარსელონის" ხელმძღვანელები თავდადებულ ფეხბურთელებს შრომას ყოველთვის უფასებენ. მზად ვართ, ჩავის კონტრაქტი ორი წლით გავუხანგრძლივოთ, ხელფასად კი წელიწადში შვიდი მილიონი ევრო გადავუხადოთ."*

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მედიაში ჭორების უდიდესი ტალღა აგორდა. ჭორების წყარო, რა თქმა უნდა, ტაბლოიდები იყვნენ. ყვითელი პრესის მტკიცებით, ჩავი 9 მილიონ ევროს ითხოვს და კონტრაქტის გაფორმება ამიტომაც ჯანჯლდება. ბეგირისტაინი ინფორმაციას არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ჩავის წლიური ცხრა მილიონი ევრო არასოდეს მოუთხოვია.

გუშინ ერნანდესის მოკლე განცხადებაც გამოქვეყნდა. "ბარსელონის" ვარსკვლავის თქმით, "კამპ ნოუდან" წასვლა არასოდეს უფიქრია და არც ხელფასის მომატების მოთხოვნით მოუკლავს თავი.

**ილია ნიკოლაიშვილი**

შალკე

# შალკეს მაგარი ათიანი სჭირდება!

## რაკიტიჩი იმედებს ვერ ამართლებს. ეს ყენიასთვის შანსია



ივან რაკიტიჩი

„ბაიერნისა" და „შალკეს" დაპირისპირების დროს მიუნხენელი ფანების ტრიბუნებიდან ყოველთვის ისმის ხოლმე შემდეგი შეძახილი: *„თქვენ ვერასდროს გახდებით გერმანიის ჩემპიონები!"* კვირასაც ასე იყო, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ „შალკეს" ფანები ამ შეძახილმა ამჯერად უფრო მეტად დაამწუხრა, ვიდრე ოდესმე. გელზენკირხენელებმა 18 კუთხური ჩააწოდეს, ბავარიელებმა კი მხოლოდ 1; საჯარიმოში ჩაწოდებები 47:7 იყო ასევე „შალკეს" სასარგებლოდ და **ლევან კობიაშვილის** გუნდმა რეკორდმაისტერი ბურთის ფლობაშიც დაჯაბნა: 66%-44%. მიუხედავად ამისა, „შალკე" „ბაიერნთან" დამარცხდა.

ამ თამაშმა გამოაჩინა, რომ რაც უნდა თავზეხელაღებით შეუტიონ „ხუმარებმა", გრანდებთან მოგება ძალიან გაუჭირდებათ, რადგან მათ შეტევებს უმთავრესი ასპექტები აკლია: ეფექტურობა და იდეები. **ივან რაკიტიჩი** შეიძლება პერსპექტიული ფლეიმეიქერია, მაგრამ ფაქტია, რომ მან დღემდე ვერ მიაღწია თუნდაც იმ დონეს, რა დონეზეც მისი წინამორბედი, ბრაზილიელი გამთამაშებელი **ლინკოლნი** იყო.

**ფრედ რუტენს** ნახევარდაცვაში ყველაზე მეტი ფეხბურთელი ჰყავს და „შალკეს" შუა ხაზში მართლაც უდიდესი კონკურენციაა. რუტენს ჰყავს მორბენალი **ჯოუნსი**, აგრესიული **ერნსტი**, აყლაყუდა მებრძოლი **ენგელაარი** და ჰყავს რბილი **რაკიტიჩი**, რომელიც კარგად მხოლოდ მაშინ თამაშობს, როცა კარგ ხასიათზეა. სამაგიეროდ, გელზენკირხენელებს არ ჰყავთ ისეთი შუახაზელი, რომელზეც თავიანთ შეტევებს ააგებენ, რომელიც თავდამსხმელებს ჭკვიანური პასებით მოამარაგებს, რომელიც საჭირო მომენტში თამაშს თავის თავზე აიღებს. შარშან „ხუმარებმა" სწორედ ამ მიზნით იყიდეს ურუგვაელი **კარლოს გროსმიულერი**, რომელმაც ოდნავადაც ვერ გაამართლა იმედები. თანაც, გროსმიულერი მეტად უდისციპლინო ფეხბურთელი გამოდგა – ახლაც დასჯილია და მოყვარულებთან ერთად ვარჯიშობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „შალკეს" **ანდრეას მიოლერის** შემდეგ მაღალი კლასის ფლეიმეიქერი აღარ ჰყოლია. ლინკოლნიც არ იყო დიდი გამთამაშებელი, მაგრამ რაღაცას ახერხებდა, რასაც რაკიტიჩზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

*„სულ იმას ამბობენ, რომ მაღალი კლასის ათიანი არ გვყავს. მაპატიეთ, მაგრამ მარადონას კალიბრის ნახევარმცველები აღარ არსებობენ და რომც არსებობდნენ, ჩვენ ასეთ მოთამაშეს ხელფასს ვერ გადავუხდით. „ბაიერნთან" ერთი წაგების გამო განგაშის ზარებს ნამდვილად არ შემოვკრავთ. რუტენი თავისი გუნდით სწორ გზას ადგას. ამ გუნდს ნამდვილად შეუძლია საუკეთესო სამეულში მოხვედრა და სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი,"* – აცხადებს „შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**.

შაბათს „შალკეს" კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს – „ხუმარები" ლიდერ „ლევერკუზენს" სტუმრობენ. ფაბიან ერნსტის თქმით, ლევერკუზენიდან სამი ქულის წაღება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეულში კი არა, ხუთეულში მოსახვედრად მოგვიწევს ბრძოლაო. ეს კი „შალკესთვის" კატასტროფის ტოლფასი იქნება. თუკი „ხუმარები" ზედიზედ მეორედ ვერ მოხვდებიან ჩემპიონთა ლიგაში, მერე წამყვანი ფეხბურთელების დათმობა მოუწევთ. „შალკეს" პირველი გუნდის სახელფასო ფონდი 50 მილიონ ევროს შეადგენს, რაც ამ გუნდისთვის ყველა დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. გელზენკირხენელები უეფას თასიდან ვერ მიიღებენ ისეთ შემოსავალს, რომ მომავალში ხელფასების ნორმალურად გადახდა შეძლონ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელი ეს დისკუსია იმის თაობაზე, რომ „შალკეს" არ ჰყავს მაღალი კლასის გამთამაშებელი, ჩვენებური **ლევან ყენიას** შანსია. მან უნდა დაუმტკიცოს რუტენს, მიულერს და „შალკეს" ფანებს, რომ სწორედ ის არის ის ფლეიმეიქერი, რომელიც გელზენკირხენულ კლუბს ასე ძლიერ აკლია...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ

ხოაკინ სანჩესი

# რონალდ კუმანი ბრიყვი მწვრთნელი და ადამიანია

## ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ვალენსია ორი წლით უკან დახია



**პრიმერა დივიზიონის** წინა ტურში ხოაკინმა "ხეტაფეს" ლამაზი გოლი გაუტანა, რომლის წყალობითაც ანდალუსიელმა გარემარბმა ესპანურ ლიგაში რიგით მესამე გამარჯვება იზეიმა. აღსანიშნავია, რომ ხოაკინმა ბოლო ორ ტურში საკმაოდ ეფექტური ბურთები შეაგდო. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ "ვალენსიის" ვარსკვლავი არაჩვეულებრივ ფორმაშია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კლუბს ამბიციური ამოცანების გადაჭრაში დაეხმაროს. გულშემატკივრები სანჩესის ერთგულებას დიდად აფასებენ. მართალია, გასულ ზაფხულში მას უამრავი შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ ბოლოს დარჩენა გადაწყვიტა და პირობა დადო, რომ "ვალენსიას" კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა. საერთო ძალისხმევით "ღამურებმა" ეს კრიზისი მართლაც დაძლიეს და ახლა არაჩვეულებრივ ხასიათზე არიან. სამომავლო გეგმებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე ხოაკინს "დიარიო ასის" კორესპონდენტი ესაუბრა.

**-"ხეტაფესთან" ულამაზესი გოლი გაიტანეთ. როგორ ფიქრობთ, ის ერთ-ერთი საუკეთესოა თქვენს კარიერაში?**

- ვერ გეტყვით საუკეთესოა თუ არა, მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ ეს გოლი არასოდეს დამავიწყდება. ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება, მას ლამაზი გოლები არ ავიწყდება. ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ და ამ გამარჯვებაში ჩემი წვლილი შევიტანე. თუ გნებავთ, გოლსაც გავიხსენებ, ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს ერთი შეხებით ძლიერად დავარტყი და მეკარეს შანსი არ დავუტოვე. მართლაც შთამბეჭდავი გოლი გამოვიდა.

**- ყოველთვის მაინტერესებს ხოლმე, როცა ფეხბურთელები ლამაზ გოლს იტანენ, ამ დროს რაზე ფიქრობენ?**

- სხვის ნაცვლად ვერ ვილაპარაკებ, პირადად კი ძალიან უცნაური გრძნობა დამეუფლა. ერთი მხრივ უდიდესი სიხარული ვიგრძენი, ამავდროულად საკუთარ თავსა და მთელ სამყაროზე გავბრაზდი. მოგეხსენებათ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში სერიოზულ პრობლემებს ვებრძოდი. გოლები ვერ გამქონდა. "ვალენსიაც" ღრმა კრიზისში იმყოფებოდა. ამ ყველაფრის გამო პრესა დაუნდობლად გვაკრიტიკებდა. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მეტად მე მლანძღავდნენ. რამდენჯერ უთქვამთ, "ვალენსიამ" ხოაკინის სანაცვლოდ გადახდილი 25 მილიონი ევრო, ფაქტობრივად, წყალში გადაყარაო. დამეთანხმებით, ასეთი შეფასების მოსმენა ნებისმიერი პროფესიონალისთვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია. ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი თამაში მეპოვნა და სკეპტიკოსები დროებით მაინც დამედუმებინა. იმედია, ამ გოლის შემდეგ თავხედურად აღარ ილაპარაკებენ (იცინის).

**- დაახლოებით ერთი თვეა, რაც ფანტასტიკურად ათამაშდით. ჩემი კოლეგები ხუმრობით იმასაც ამბობენ, ხოაკინი "ვალენსიის" ლოკომოტივად მოგვევლინაო. რა შეიცვალა თქვენს თამაშში?**

- პირველ რიგში იმის თქმა მინდა, რომ ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. რაც მთავარია, ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას ვიღებ. შესაძლოა, პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ გასულ სეზონში თამაშისგან სიამოვნებას ფაქტობრივად ვერც ერთ შეხვედრაში ვერ ვიღებდი. მადლობა ღმერთს, სიტუაცია შეიცვალა და არა მარტო მე, არამედ "ვალენსიამაც" თვალებში გამოიხედა. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, უნაი ემერის დამსახურებაა. ამასწინათაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, როგორც იქნა, ნამდვილი მწვრთნელი გველირსა.

**- ისე ლაპარაკობთ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვილაცის დაკნინებას ცდილობთ...**

- ძალიან კარგად ვხვდები რასაც გულისხმობთ. არა, სენიორ, მე არავის დაკნინებას არ ვაპირებ. ყველას შესრულებული სამუშაოს მიხედვით აფასებენ. თუ რონალდ კუმანზე ვილაპარაკებთ, ჩემს აზრს გულწრფელად ჩამოვაყალიბებ და ვიტყვი, რომ მას ბრიყვ მწვრთნელად და რაც უფრო ცუდია, ასევე ბრიყვ ადამიანად მივიჩნევ.

**- რა ბრძანეთ?**

- გაგიკვირდათ? დიახ, რონალდ კუმანი ბრიყვი მწვრთნელი და ადამიანია. კარგი იქნებოდა, ის ჩვენს მწვრთნელად არ დაენიშნათ. ჩემი აზრით, კუმანმა მინიმუმ ორი წლით უკან დაგვხია. საუბედუროდ, ახლა იმ საქმეების კეთება გვიწევს, რაც ზუსტად შარშან უნდა გაგვეკეთებინა. გაისად კი წლევანდელი საქმის კეთება მოგვიწევს. რას ვიზამთ, შეცდომისგან ფეხბურთში მოღვაწე ადამიანებიც არ არიან დაზღვეული. ეს სფერო პოლიტიკას ჰგავს. თამამად ვიტყვი, რომ ჩვენმა წინა ხელმძღვანელობამ გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა, როცა კუმანი მოიწვია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მაშინ მათ ჰოლანდიელი სპეციალისტის ამაზრზენ მუშაობაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ.

**- გასაგებია, რომ კუმანის დროს ძალიან ცუდი შედეგები გქონდათ. სეზონის დაწყების წინ ჩემპიონობას გეგმავდით, მაგრამ ისე მოხდა, რომ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდით. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მაინტერესებს, კუმანს კიდევ რის გამო ერჩით?**

- კუმანის მთავარი პრობლემა ასოციალურობა იყო. მას ფეხბურთელებთან, კლუბის ხელმძღვანელებთან, გულშემატკივრებთან და ზოგადად საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება უჭირს. ამ კომპლექსის დასაფარავად ის ათას სისულელეს იგონებდა. მოთამაშეებს ადამიანურად არ ელაპარაკებოდა და ამით თითქოს ორიგინალურობას ამტკიცებდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეგონა, თუ ვარჯიშზე ცხვირაბზუებული მოვიდოდა, ამით მის ნიჭიერებასა და განუმეორებლობას გაუსვამდა ხაზს. ამ მარაზმით შეშფოთებულს ვარჯიშზე მისვლა არ მინდოდა ხოლმე, მაგრამ რა უნდა მექნა? ვვარჯიშობდი, თუმცა მინიმალური ხალისიც არ მქონდა. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ მას სათქმელიც ბევრი არაფერი ჰქონდა. თითქოს, მწვრთნელობაც არ იცოდა. მოკლედ, რონალდ კუმანის ხანის გახსენებაც არ მინდა. საუბედუროდ, "ვალენსიამ" სრული კატასტროფა გამოიარა.

**- როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა დააკლო კუმანმა "ვალენსიას"?**

- გული! ის უგულოდ მუშაობდა. კუმანმა ვერ შეიყვარა "ვალენსია". აშკარა იყო, რომ მას არც ქალაქი მოსწონდა და არც კლუბის ტრადიციები. ჩემი აზრით, როცა მწვრთნელი მხოლოდ ფულის გამო მუშაობს, ის წარმატებას ვერ მიაღწევს, ალბათ, გამონაკლისებიც არსებობს, თუმცა კუმანი აშკარად წარუმატებელი სპეციალისტია. არ ვიცი, მომავალში რას მიაღწევს, მაგრამ ამ ადამიანს საკუთარ თავზე ძალიან ბევრი სამუშაო აქვს. თუნდაც ალბელდას, ანგულოსა და კანისარესის ისტორია რად ღირს. ამ ბიჭებმა ისტორია შექმნეს, მაგრამ ორი დღის წინ მოსულმა მწვრთნელმა ფეხებზე დაიკიდა და ეგოცენტრიზმის გამო სიტუაცია საშინლად არია.

**- თქვენი ძალიან კარგად მესმის. შეუძლებელია, შარშანდელი სეზონის გამო სასოწარკვეთილება არ გეგრძნოთ, მაგრამ მაინც მეჩვენება, რომ სუბიექტურად მსჯელობთ. გამორიცხულია, კუმანს ფეხბურთი არ ესმოდეს და მართლაც ამდენად ასოციალური ადამიანი იყოს.**

- თქვენი ნებაა როგორ განსჯით, მაგრამ ჩემი აზრით, სუბიექტურად თქვენ მსჯელობთ, რადგან კუმანთან არ გიმუშავიათ. მარტო მისი სახის დანახვით შეწუხდებოდით. მაპატიეთ ვულგარული შედარებისთვის, შეიძლება, ვინმემ უზრდელობა დამწამოს, მაგრამ კუმანი ისე იქცეოდა, თითქოს კრიტიკული დღეები ჰქონდა. ფსიქოლოგი რომ ვიყო, მისი პიროვნებისა და ფსიქოლოგიის შესწავლას წლებს შევალევდი. იცით, რატომ? იმიტომ, რომ უდიდეს აღმოჩენებს გავაკეთებდი.

**- კარგი, არ მიწყინოთ, მაგრამ ჩვენმა საუბარმა ძალიან მძიმე ხასიათი შეიძინა და თემა შევცვალოთ. უნაი ემერისგან რას ელით?**

- პირობას გაძლევთ, ემერიმ რამდენი შეცდომაც არ უნდა დაუშვას, მასზე აუგად არ ვილაპარაკებ, რადგან ეს კაცი გულით მუშაობს. ის ფეხბურთელებს ძმებად აღიქვამს და ყველაფერზე გულწრფელად ელაპარაკება. მაგალითად, კუმანს რამეს რომ ვკითხავდი ან პასუხს არ მცემდა, ან მეუბნებოდა, მე ბავშვთა მწვრთნელი არ ვარ, რომ საფეხბურთო გაკვეთილი ჩავატაროო. ემერის კი რაც არ უნდა ჰკითხო, ვარჯიშს გააჩერებს და ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნის. აი, ეს არის თანამედროვე მწვრთნელის სახე.

**- ამ სეზონისგან რაღას ელით?**

- ბოდიშს გიხდით, მაგრამ ისევ კუმანი უნდა ვახსენო. შარშანდელი წარუმატებლობა წელსაც გვიშლის ხელს. ამიტომ, გარკვეული სირთულეები ამ სეზონში ხშირად შეგვექმნება. მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე სეზონში ძალიან ბევრ წარმატებას მივაღწევთ. ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.

**- რეალურად როდის შეძლებთ ჩემპიონობისთვის ბრძოლას?**

- კუმანის სასოწარკვეთილებისგან მთლიანად გათავისუფლებას, ჩემი აზრით, კიდევ ორი წელი დასჭირდება. ამიტომაც ვთქვი, ჩვენმა ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ორი წლით დაგვხია უკან-მეთქი.

**- პრიმერა დივიზიონის უპირველეს ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- ძნელი სათქმელია, უპირველესი ფავორიტი რომელი გუნდია, თუმცა მე იმის თქმა შემიძლია, რომ "ბარსელონა" ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. კატალონიური გრანდის მთავარი ღირსება, რა თქმა უნდა, ბურთთან უბადლო ურთიერთობაა. ინიესტას თამაშს დააკვირდით და ყველაფერს მიხვდებით. ანდრესი გენიოსია!

# ობამას თეთრ სახლში ფეხბურთი შეაქვს

ამერიკის საზოგადოება თეთრი სახლიდან **ჯორჯ ბუშის** წასვლასა და **ბარაკ ობამას** ინაუგურაციას ელის. შავკანიანი პოლიტიკოსი ხელისუფლებაში საინტერესო სლოგანით მოვიდა, ცვლილება, რომელიც გვჭირდება. ამის გათვალისწინებით ამერიკელები ძალიან ბევრ ცვლილებას ელოდებიან. საინტერესოა, რომ ცვლილება თავად საპრეზიდენტო ცხოვრებასაც შეეხება. გეცოდინებათ, რომ ჯორჯ ბუშის გატაცება ბეისბოლი იყო. აი, ობამას ოჯახის საყვარელი სპორტი კი ფეხბურთი, ამერიკულად რომ ვთქვათ, სოკერია. როგორც გაირკვა, ობამას ქალიშვილები **საშა** და **მალია** ფეხბურთის თავგადაკლული ფანები არიან. ისინი "ნიუ იორკ მეტროსტარზს" გულშემატკივრობენ და ქომაგთა ლიგაშიც არიან გაწევრიანებული. მართალია, ისინი მცირეწლოვნები არიან, მაგრამ თავისუფლად დროს ქომაგთა ლიგაში დიდი სიამოვნებით დადიან ხოლმე. ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამერიკელები მომავალი წლის იანვრიდან თეთრი სახლის ეზოში ხშირად დაინახავენ საფეხბურთო ბურთით მოთამაშე პრეზიდენტის შვილებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ MLS-ის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ ობამას პრეზიდენტობის განმავლობაში ამერიკაში ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მომგებიანი სპორტი გახდება.

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

# მიატოვიჩი არშავინს ყიდულობს

## რუსი ფორვარდი ზენიტის ხელმძღვანელობას ულტიმატუმს უყენებს

რამდენიმე დღის წინ **ანდრეი არშავინმა** "სპორტ-ექსპრესს" ინტერვიუ მისცა, სადაც ის "ზენტიდან" წასვლის სურვილზე საუბრობდა. რუსმა ფორვარდმა ხმამაღლა განაცხადა, პეტერბურგულ კლუბში დარჩენა აღარ მინდა და ხელმძღვანელობას კატეგორიულად ვუყენებ საკითხს ან გამიშვით, ან ვარჯიშზე უარს ვიტყვიო. "ზენიტის" მესვეურები არშავინს გასაყიდად ვერა და ვერ იმეტებენ, თუმცა ანდრეი უკან დახევას არ აპირებს. ის დარწმუნებულია, რომ მრავალი სირთულის მიუხედავად, იანვარში "ზენიტს" დატოვებს და რომელიმე გრანდში გააგრძელებს კარიერას...

გრანდში გადასვლის სურვილი უტოპია სულაც არ არის. გუშინ ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ძალიან საინტერესო ამბავი გაახმაურეს. "დიარიო ასი" და "დიარიო მარკა" სრული სერიოზულობით წერენ, რომ არშავინის მენეჯერს **პრედრაგ მიატოვიჩის** თანაშემწე დაუკავშირდა და რუს ფორვარდს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლა შესთავაზა. ეს ინფორმაცია უტყუარი რომ არის, პირენეული გიგანტის გენერალური დირექტორის პრედრაგ მიატოვიჩის განცხადებაც მეტყველებს: *"არშავინი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. მე მისი ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ და რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ "ზენიტის" ვარსკვლავმა "სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშოს. რამდენადაც ვიცი, რუსებს მისი გაყიდვა არ უნდათ, მაგრამ რაც მთავარია, თავად ფეხბურთელს გუნდის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი. ეს კი გადამწყვეტი ფაქტორია. უახლოეს მომავალში ინტენსიურ მოლაპარაკებებს დავიწყებთ. აქამდე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ იანვარში არავინ შეგვეძინა, მაგრამ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე სტრატეგია შევცვალეთ. ახლა რომ არ ვიაქტიუროთ, დაგვასწრებენ და არშავინს სხვები წაიყვანენ."*

"დიარიო ასის" კორესპონდენტი **ხესუს სანჩო** ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ არშავინს ტელეფონით დაუკავშირდა და თარჯიმნის დახმარებით ფეხბურთელს რამდენიმე კითხვა დაუსვა. ანდრეი "რეალის" გენერალური დირექტორის განცხადებით უაღრესად ბედნიერი დარჩა: *"სამეფო კლუბში დაუფიქრებლად გადავალ. თუ კონტრაქტს შემომთავაზებენ, იმავე დღეს ჩემოდნებს ჩავალაგებ და მადრიდში გავფრინდები. ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა და თუ ამ შანსს ხელიდან გაუშვებ ცხოვრების დარჩენილ წლებს ღრმა სინანულში გაატარებ. მოკლედ, ჩემი პასუხი ნათელია, მე "რეალში" თამაში მინდა."*

როგორც მოგახსენეთ, არშავინის გაშვებას "ზენიტის" ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ეწინააღმდეგება, თუმცა პეტერბურგული კლუბის მთავარი მწვრთნელი **დიკ ადვოკაატი** ამბობს, რომ არშავინს წასვლის უფლება უნდა მისცენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დონოვანი, არშავინი და ტიმოშჩუკი მიუნხენში?

## პოდოლსკის და ვან ბომელს უშვებენო, ბავარიიდან კროოსიც გარბის...



მარჯვნივ ლენდონ დონოვანი


ანდრეი არშავინი


ანატოლი ტიმოშჩუკი

**მიუნხენის „ბაიერნი" კრიზისიდან გამოვიდა - ფეხბურთელები, მწვრთნელი, ხელმძღვანელები და გულშემატკივრები კმაყოფილები არიან. შესაბამისად, რეკორდმაისტერის ბოსებს უკვე აქვთ იმის დრო, რომ სხვა საკითხებზე გადაერთონ. ახლოვდება ზამთრის სატრანსფერო პერიოდი და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბავარიელები იანვარში ბაზარზე ძალიან გააქტიურდებიან.**

### დონოვანი ბაიერნში?

გუშინ დილას, როდესაც **იურგენ კლინსმანმა** თავის შეგირდებს მოედანზე სავარჯიშოდ უხმო, ბავარიული გრანდის მთავარი მწვრთნელი ერთ მეტად საინტერესო სტუმარს მიესალმა: 26 წლის ამერიკელ ფეხბურთელ **ლენდონ დონოვანს**. შემტევი ნახევარმცველი, რომელსაც თავდამსხმელის ფუნქციების შესრულებაც კარგად ეხერხება, მიუნხენში აშშ-დან ჩავიდა და ერთი კვირის განმავლობაში რეკორდმაისტერთან ერთად ივარჯიშებს.

ამერიკის ჩემპიონატის ცოტა ხნის წინათ გასრულებულ სეზონში დონოვანმა „ლოს ანჯელეს გალაქსის" რიგებში 24 მატჩი ჩაატარა და 20 გოლი გაიტანა (9 საგოლე პასი), ახლა კი, ამ ერთი კვირის განმავლობაში ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კლინსმანს და მის ასისტენტებს თავი მოაწონოს. აშშ-ის ნაკრებში დონოვანს 105 მატჩი აქვს ჩატარებული და 37 გოლი გატანილი. აქედან, ორი გოლი მან 2002 წლის მუნდიალზე შეაგდო.

დონოვანისთვის გერმანია და ბუნდესლიგა ძალიან კარგადაა ნაცნობი. 1999 წლის თებერვლიდან 2001 წლის მარტამდე ის ლევერკუზენის „ბაიერის" ღირსებას იცავდა, რის შემდეგაც „ფარმაცევტებმა" „სან ხოსეში" გაანათხოვრეს. 2005 წელს დონოვანი „ლევერკუზენში" დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ 3 თვით – ამ ხნის განმავლობაში მან „ბაიერის" რიგებში 7 მატჩი ბუნდესლიგაში ჩაატარა, 2 კი ჩემპიონთა ლიგაში, გოლი არ გაუტანია.

წინა ხაზში დონოვანს ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. თავის დროზე ის ძალიან ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნეოდა, რომელსაც დიდი მომავალი უნდა ჰქონოდა. მართალია, ამერიკელი არც ახლაა ისეთ ასაკში, რომ ველარაფერი შეძლოს და კარიერის ნახევარი წინ აქვს, მაგრამ მაინც: გერმანიაში ყველას ახსოვს, რომ „ლევერკუზენში" ყოფნის დროს ლენდონი მწვრთნელების მოხიბვლას მხოლოდ ვარჯიშებზე ახერხებდა, თამაშებში კი ფაქტობრივად ვერაფრით გამოირჩეოდა. თუმცა, კლინსმანს სჯერა, რომ დონოვანს შეუძლია, დიდი ფეხბურთელი გახდეს. სწორედ ამიტომ დაპატიჟა იურგენმა ლენდონი მიუნხენში.

*„ბაიერნი" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ჩემთვის რეკორდმაისტერში თამაში უდიდესი პატივი იქნება. თუკი „ბაიერნის" მწვრთნელებს მოვეწონები, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იარსებებს,"* - აცხადებს დონოვანი. კაცმა არ იცის, ჩაირიცხება თუ არა ის მიუნხენურ გრანდში და თუ ჩაირიცხება, რა დონით შეძლებს კლინსმანის გუნდის გაძლიერებას, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ დონოვანს მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია არ ექნება, როგორც ეს **ლუკას პოდოლსკის** შემთხვევაშია. ჯოკრის რანგში კი, ვინიცობაა, პოლდიზე მეტი გააკეთოს და რაც მთავარია, ხელმძღვანელებსაც არ აუშლის ნერვებს, გინდათ თუ არა, სასტარტოში უნდა ვთამაშობდეო. თანაც, მკითხველმა იცის, რომ დიდი შანსია, პოდოლსკიმ ზამთარში მიუნხენი დატოვოს. კითხვაზე, რამდენად მაღალი კლასის ფეხბურთელია დონოვანი იმისათვის, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელად ინოდებოდეს, კლინსმანი ასე პასუხობს: *„ის გაცილებით მაღალი კლასისაა, ვიდრე ზოგ-ზოგიერთები!"* თანაც, კლინსი ამბობს, დონოვანის გადმობირება ზაფხულშიც მინდოდაო...

### არშავინსაც ბაიერნში უნდა!

„ზენიტისა" და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელ **ანდრეი არშავინს**, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე თავისი თამაშით ყველა გააკვირვა, კლუბთან პრობლემები აქვს და ორიოდ დღის წინ „სპორტ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ამ გუნდში თამაში აღარ მინდა და აღარც ვითამაშებო. პარალელურად, არშავინმა გერმანულ გაზეთ „ბილდ ამ ზონთაგს" უთხრა, რომ მიუნხენის „ბაიერნი" მისთვის საოცნებო გუნდია, სადაც უდიდესი სიამოვნებით გადავიდოდა.

არშავინის გადაბირება ბავარიელებს ზაფხულშიც სურდათ. ანდრეის „ზენიტთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს და თუ პეტერბურგელები მას არ გაყიდიან, რუსული ფეხბურთის ვარსკვლავს წლის ბოლომდე ტრიბუნაზე მოუწევს ჯდომა. არშავინი: *„კლუბის პრეზიდენტს ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ ვუთხარი, რომ „ზენიტში" დარჩენა არ მინდა. რაც უნდა სამწუხარო იყოს, მას ჩემი მოსმენა და გაგება არ სურს. ახლა მე ვიცი, როგორ უნდა ვიმოქმედო!"*

სეზონის დაწყებამდე არშავინს „ტოტენჰემიც" ეპატიჟებოდა და ის ის იყო, ტრანსფერი უნდა შემდგარიყო, რომ „ზენიტის" შეფებმა მოლაპარაკებები შეწყვიტეს და ფეხბურთელი ინგლისში არ გაუშვეს. ფაქტია, რომ თავდამსხმელს „ზენიტის" ხელმძღვანელების ხუშტურები ყელში ამოუვიდა და რუსეთიდან გაქცევა უნდა! ასე რომ, დონოვანთან ერთად, არშავინიც რეკორდმაისტერში გადასვლის ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატია. ფეხბურთელის მრჩეველი **დენის ლახტერი** ოფიციალურად არაფერს ადასტურებს, მაგრამ „ბილდის" ცნობით, მან უკვე წამოიწყო მოლაპარაკებები „ბაიერნის" ხელმძღვანელებთან, მენეჯერ **ული ჰიონესთან** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესთან**. გარკვეულია ისიც, რომ არშავინის შეძენა ერთ ესპანურ კლუბსაც სურს. იტალიიდან და ინგლისიდან კი ანდრეის ორი მსურველი ჰყავს. ოღონდ, ამ სიაში აღარ არის „ტოტენჰემი", რომლის შეფებსაც არანაირი სურვილი აღარ აქვთ, რომ ზენიტელ კოლეგებთან მოლაპარაკებები გამართონ.

### ვან ბომელის ნაცვლად ტიმოშჩუკი?

„შალკესთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, „ბაიერნის" კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** გასახდელში საკმაოდ დიდხანს ესაუბრებოდა გელზენკირხენული კლუბის მთავარ მწვრთნელ **ფრედ რუტენს**. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, საუბრის თემა ვან ბომელის „შალკეში" ტრანსფერი იყო. ფაქტია, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველის მდგომარეობა რეკორდმაისტერში კარდინალურადაა შეცვლილი. ვან ბომელს მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და მან ჯერ არ იცის, დატოვებენ თუ არა რეკორდმაისტერში. ული ჰიონესმა კვირას განაცხადა, რომ ვან ბომელს მისი მომავლის შესახებ ზუსტად ერთ თვეში დაელაპარაკება.

დღევანდელი გადასახედიდან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მარკი სეზონის დასრულების შემდეგ „ბაიერნს" დატოვებს. *„ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის პირველ ნახევარში უნდა დაველაპარაკოთ. საჭიროა ყველა დეტალის კარგად გაანალიზება და მერე გაცილებით მეტი მეცოდინება. ახლა კი ვერაფერს ვიტყვი,"* – აცხადებს ჰოლანდიელი საყრდენი ნახევარმცველი.

„ბილდის" ინფორმაციით, ბავარიელები ვან ბომელს პირველ რიგში იმის გამო უშვებენ, რომ „ზენიტის" საყრდენი ნახევარმცველის, **ანატოლი ტიმოშჩუკის** გადაბირება სურთ. აღსანიშნავია, რომ რეკორდმაისტერის შეფებმა 29 წლის უკრაინელს თვალი დიდი ხანია დაადგეს. აგვისტოში ტიმოშჩუკის მიუნხენში ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილად მიიჩნეოდა, მაგრამ მაშინ რუსებმა უკრაინელის ტრანსფერს ვეტო დაადეს. მაშინ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ტიმოშჩუკის ტრანსფერზე „ბაიერნის" ოფიციალური ვებგვერდიც წერდა, ანატოლი რეკორდმაისტერში გადმოდისო. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „ზენიტი" მზადაა ტიმოშჩუკი „ბაიერნს" 15 მილიონ ევროდ მიჰყიდოს. რუსული კლუბი თავის ლიდერის გაშვებაზე მას მერე დათანხმდა, რაც „ზენიტმა" რუსეთის ჩემპიონობის შანსი დაკარგა. თანაც, რუსული კლუბი ჩემპიონთა ლიგიდანაც ვარდება.

*„ტიმოშჩუკი უძლიერესი საყრდენია, 90 წუთის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძვის და თუ საჭიროა, 120 წუთის განმავლობაში წინ და უკან ისე ირბენს, რომ დაღლას ვერ შეატყობ. ანატოლი ნამდვილი გიჟია, ოღონდ პოზიტიური გაგებით. „ბაიერნის" ხელმძღვანელები მასზე უკეთეს საყრდენ ნახევარმცველს ვერსად იპოვიან,"* – ამბობს ტიმოშჩუკის თანამემამულე **ანდრეი ვორონინი**, რომელიც დღეს ბერლინის „ჰერტას" ღირსებას იცავს.

ასე რომ, „ბაიერნსა" და „ზენიტს" შორის დიდი გარიგებებია მოსალოდნელი. ჩვენ კი, უნებურად გვახსენდება გასული სეზონი, როცა უეფას თასის ნახევარფინალში რეკორდმაისტერმა „ზენიტთან" 0:4 წააგო...

### კროოსს სკამი მოჰბეზრდა და წასვლა უნდა

იურგენ კლინსმანს **ტონი კროოსის** სახით გუნდში უკმაყოფილო ფეხბურთელი ჰყავს. ახალგაზრდა ნახევარმცველს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პერსპექტივა არ ხიბლავს, ამბობს, სათამაშო პრაქტიკა მჭირდებაო და თვალი მიუნხენიდან აბარგებაზე უჭირავს. „კიკერი" წერს, რომ ფეხბურთელის მამამ, რომელიც მისი მრჩეველიცაა, „ბაიერნის" ბოსებს უთხრა, რომ ტონის მიუნხენიდან წასვლა სურს.

ირკვევა, რომ „ბაიერნის" ბოსები ახალგაზრდა ფეხბურთელის სურვილს გაგებით ეკიდებიან. კროოსი კიდევ ერთ თვეს მოიცდის და სწორედ ერთი თვის შემდეგ შედგება საუბარი ტონის მამასა და ჰიონესს შორის, რომელიც ფეხბურთელის მომავალს გაარკვევს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბავარიელები 18 წლის ფეხბურთელისთვის კალთების დახევას არ აპირებენ, მაგრამ არც გაყიდიან, რადგან ნიჭიერი ნახევარმცველის დაკარგვა არ უნდათ. „ბაიერნი" ტონის ალბათ სადმე გაანათხოვრებს. კროოსს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# შეუცვლელი არ ვარ!

## ბუფონმა მანინგერი აღიარა...



გუშინ იტალიურ პრესაში „იუვენტუსის" გულშემატკივართათვის ერთობ არასასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა - **ჯანლუიჯი ბუფონს** ტრავმა გაუმიზეზდა და კიდევ კარგა ხანს მოუწევს უქმად ყოფნა. კლუბის ექიმის განმარტებით, ჯიჯი იმაზე სერიოზულადაა დაშავებული, ვიდრე ვარაუდობდნენ და, შესაბამისად, მკურნალობასაც მეტი დრო სჭირდება. დღევანდელი მდგომარეობით, ბუფონი ლაზარეთში კიდევ თვეზე მეტხანს დაყოფს და მხოლოდ იანვრიდან იქნება **კლაუდიო რანიერის** განკარგულებაში. შეგახსენებთ, რომ „იუვესა" და ნაკრების პირველი მეკარე ოქტომბრის დასაწყისში დაშავდა და მას მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა.

ბუფონის არყოფნაში რანიერიმ კარის დაცვა **ალექს მანინგერს** მიანდო. სამართლიანობა მოითხოვს, ალინიშნოს, რომ ავსტრიელი დაკისრებულ მოვალეობას თავს ჩინებულად ართმევს. მისით კმაყოფილია მწვრთნელიც, გულშემატკივარიც და თავად ჯიჯიც, რომელმაც კოლეგა-დუბლიორი ქებით ცაში აიყვანა:

*„მანინგერს რთულ მომენტში მოუნია კარში ჩადგომამ. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოვალეობას თავი ჩინებულად გაართვა. იმაში, რომ „იუვეს" მოგებათა ექვსმატჩიანი სერია აქვს, ალექსის უდიდესი წვლილიცაა. ეს არც გამკვირვებია, რადგან ავსტრიელი მაღალი კლასის მეკარეა. ის თანაბრად ძლიერია როგორც კარის ხაზზე, ისე გამოსვლებზე. მანინგერის გარჯა კიდევ ერთხელ მაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ შეუცვლელი არავინაა, მათ შორის, არც მე. სასტარტოში ადგილი გარანტირებული ნამდვილად არ მაქვს და მინდა, ეს ალექსმაც იცოდეს. აქვე, არ შემიძლია, ორიოდე სიტყვა დელ პიეროს მისამართითაც არ ვთქვა. ალესანდრო დიდებულად თამაშობს და გუნდს სკუდეტოსკენ მიუძღვება. ჩვენ ჩემპიონობის პრეტენდენტები ვართ და ეს, დიდწილად, ალექსის დამსახურებაა. ვიტოვებ იმედს, რომ „პინტურიკიო" ასევე გააგრძელებს".*

ფიორენტინა

# ჩეზარე პრანდელის პრაგმატიზმისკენ მოუწოდებენ

## ვიოლა საკუთარ თავს უნდა გადაახტეს. 2012 წლიდან ახალ სტადიონზე...

„ფიორენტინა" ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებადი გუნდია იტალიაში. კლუბის პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალეს** ხანგრძლივვადიანი გეგმა აქვს, რომელსაც ეტაპობრივად ახორციელებს. თუმცა, ამ გზაზე ბევრი სირთულეა და ამ სირთულეებმა უკვე იჩინა თავი. მიმდინარე სეზონში „ვიოლა" არასტაბილურად ასპარეზობს, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს. „ფიორეს" ჩემპიონთა ლიგაში უწევს თამაში, ორ ფრონტს კი დიდი ძალისხმევა და შესაბამისად, საკადრო რესურსი სჭირდება. **ჩეზარე პრანდელი** ფეხბურთელთა დიდი არჩევანით განებივრებული ნამდვილად არ არის და სრულიად ბუნებრივია, რომ ფლორენციელებს ამ დროისთვის სერია A-ში მხოლოდ მერვე პოზიცია უკავიათ. პრანდელის გუნდი ვერც ლიგაში ბრწყინავს და ფაქტობრივად დაკარგული აქვს ჯგუფური ეტაპის დაძლევის შანსი.

გაგიკვირდებათ და, იტალიელი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ „ვიოლასთვის" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა მისწრება იქნება, რაც შემდეგით აიხსნება. „ფიორენტინა" ძალებს ორ ტურნირზე ანაწილებს და დიდია შანსი, სეზონის ბოლოს ორი კურდღლის მადევრის როლში აღმოჩნდეს. პრანდელიმ აქცენტი იტალიის პირველობაზე უნდა გადაიტანოს, ოთხეულში მოხვდეს, რათა მომავალ სეზონში კვლავ მიიღოს ჩემპიონთა თასზე მონაწილეობის უფლება. ბუნებრივია, ანდრეა დელა ვალემ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე უნდა იაქტიუროს და გუნდის საკადრო რესურსი მკვეთრად გაზარდოს.

საქმისადმი ასეთ პრაგმატულ მიდგომას ფლორენციაში ბევრი ეთანხმება, თუმცა არა პრანდელი. გუნდის თავკაცს სულ სხვა გეგმები აქვს, რომელზეც იტალიურ პრესასთან ღიად საუბრობს:

*„გასულ უქმეებზე გავიმარჯვეთ და ამან დიდად გამახარა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ „ბაიერნთან" დაკარგული დასანანი ქულების შემდეგ, ჩემს ფეხბურთელებს განწყობა არ გაუფუჭდებოდათ და „ატალანტასთან" ასე კარგად ითამაშებდნენ. რაც მთავარია, მოტივაციის მხრივ პრობლემებს არ ვუჩივით და თითოეულ შეხვედრაში სამი ქულის აღებას ვცდილობთ. ისე კი, მწვრთნელის ხვედრი ძალიან მძიმეა, შედეგზე მე ვარ პასუხისმგებელი და ყველა დეტალზე მიწევს ფიქრი. ამ სეზონში გუნდს ორი მიზანი აქვს: ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს წასვლა და სერია A-ში ოთხეულში მოხვედრა. ზუსტად ვიცი, რომ ორივე მიზანი შესრულებადია, მთავარია, მოვინდომოთ და ბევრი ვიშრომოთ. გარკვეულწილად ვეთანხმები იმათაც, ვინც საკადრო რესურსზე საუბრობს, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს და თავს ზემოთ უნდა ავხტეთ. მთავარი მწვრთნელი ვერ გააკეთებს არჩევანს ორ ტურნირს შორის, ეს გამორიცხულია. ლიგის ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ არსებობს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ".*



ჩეზარე პრანდელი

მწვრთნელს პრეზიდენტიც ეთანხმება, მეტიც, დელა ვალე უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი: *„ლიგაში არცთუ ისე ცუდად გვაქვს საქმე, როგორც სხვებს ჰგონიათ. საკმარისია, „ბაიერნმა" „ლიონს" ქულები აართვას და ჩვენი შანსები ერთიორად იზრდება. ასეთ შემთხვევაში, დიდია ალბათობა მეორეადგილოსნის ვინაობა „არტემიო ფრანკიზე" „ლიონთან" ჭიდილში გამოვავლინოთ. თუ ასე მოხდა, ჩვენ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ და ფრანგებს აუცილებლად დავამარცხებთ".*

ამასობაში კი იტალიური პრესა დელა ვალეს გრანდიოზულ გეგმებზე წერს და ვარაუდობს, რომ „ფიორენტინა" სულ მალე დაიბრუნებს გრანდის სტატუსს. ფლორენციაში მალე ახალი სტადიონის მშენებლობაც დაიწყება - 2012 წლიდან „ვიოლა" მსოფლიო სტანდარტების თანამედროვე არენაზე ითამაშებს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კრესპოს ბოლო სეზონი ინტერში?

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ **ხულიო კრუსი** „ინტერს" დატოვებს და კარიერას რომელიმე სხვა გუნდში განაგრძობს. არგენტინელ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში ეწურება, ამ დღეებში კი წესით ახალი ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა. პრესა იუწყება, რომ ჯერჯერობით „ინტერის" მესვეურებს კრუსისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებიათ, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

ძაღლის თავი ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის მომხდარ კონფლიქტში ყოფილა დამარხული. ჟურნალისტთა მტკიცებით, **ჟოზე მოურინიო** ჯერაც არ შერიგებია არგენტინელს და მასთან კვლავაც ცივი ურთიერთობა აქვს. არადა, მიუხედავად ასაკისა (34 წლის), კრუსი ფორმას ინარჩუნებს და მაღალ დონეზე ასპარეზობს. გასულ სეზონში არგენტინელმა 19 გოლს მოუყარა თავი.

რომა-ლაციო. დერბის წინ



დელიო როსი

# როსიმ, ფავორიტი რომააო

რომაული გუნდები მიმდინარე ჩემპიონატს აბსოლუტურად განსხვავებულად ატარებენ. „ლაციომ" ბრწყინვალედ დაიწყო სეზონი, მერე მცირე ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ კვლავ შესანიშნავად ათამაშდა და ცხრილში მეოთხე პოზიციაზეა გამაგრებული. „ბიანკოჩელესტესგან" მსგავს შედეგსა და ხარისხს ცოტა ვინმე თუ ელოდა. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ შარშანდელი ფიასკოს შემდეგ „ლაციო" ახლანდელი მარათონის ერთ-ერთი აღმოჩენაა.

„რომამ" კი უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა - სეზონის სტარტიდანვე ღრმა კრიზისშია ჩაფლული. „ჯალოროსი" მე-17 ადგილზეა, რაც, დაგვეთანხმებით, კატასტროფის ტოლფასია. არადა, ბოლო წლებში **ლუჩანო სპალეტის** გუნდი მუდმივად სკუდეტოს პრეტენდენტი იყო.

სერია A-ს მომავალ ტურში რომაული დერბია და დუღილის ტემპერატურა ნელ-ნელა ჩვეულ ნიშნულს უახლოვდება, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი სატურნირო ინტრიგით არ გამოირჩევა. თუმცა დერბი დერბია, მით უმეტეს, რომაული. ბევრს მიაჩნია, რომ მომავალი დაპირისპირების ფავორიტი „ლაციოა" და ეს მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლის სტატუსით (შესაბამისად, სტადიონზე ტიფოზების უმრავლესობა მათი მხარდამჭერი იქნება) „რომა" ისარგებლებს. განსხვავებული მოსაზრება აქვს „ბიანკოჩელესტეს" თავკაც **დელიო როსის.** აი, რა განუცხადა მან „გაძეტა დელო სპორტს":

*„ვფიქრობ, დერბიში ფავორიტი „რომაა". გასული სეზონის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა და თუკი შარშან მოგების მეტი შანსი „ჯალოროსის" ჰქონდა, წესით, წელსაც იგივე პროგნოზი უნდა გაკეთდეს. ის, რომ „ლაციო" მეოთხე ადგილზეა, ხოლო „რომა" გასავარდნი ზონის ზღვარზე, ბევრს არაფერს ცვლის, რადგან ამ ტიპის მატჩებში სატურნირო მდგომარეობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მოიგებს ის გუნდი, რომელიც უფრო მეტად იქნება მობილიზებული. ეს არის და ეს. დერბის წინ ფსიქოლოგიურ განწყობაზე ზრუნვა საჭირო არ არის, ფეხბურთელები ისედაც მოტივირებულნი არიან. მთავარი კონცენტრაციაა და სწორედ ამაზე უნდა ვიმუშაოთ. მჯერა, ჩემი შეგირდების და ვიტოვებ იმედს, რომ მატჩი საჩვენო შედეგით დასრულდება".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ფეხბურთი და ფინანსები

# საფეხბურთო კლუბები და მსოფლიო კრიზისი

## პრემიერლიგა ხელუხლებელი ვერ დარჩება



პრემიერლიგაში ჩელსის ყველაზე დიდი ვალი აქვს. რას აპირებს აბრამოვიჩი?

**"პრემიერლიგის კლუბები თავს საფრთხეში იგდებენ, როცა ბანკებიდან ამხელა კრედიტები გამოაქვთ. ჩემი ინფორმაციით, მათი საერთო ვალი 3 მილიარდ გირვანქას აღწევს, თუმცა ეს არ არის ზუსტი თანხა," - ამბობს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელი დევიდ ტრისმანი. დიახ, ეს არ არის ზუსტი თანხა. აუდიტორული კომპანია "დელოიტ ენდ ტუში" სხვა მონაცემებს აქვეყნებს. მისი გაანგარიშებით, პრემიერლიგელთა საერთო დავალიანება 2.5 მილიარდს აღწევს. განსხვავება ამ თანხასა და ტრისმანის მიერ დასახელებულს შორის 500 მილიონი გირვანქაა.**

**პრემიერლიგის აღმასრულებელ დირექტორ რიჩარდ სკუდემორს მოვლენების დრამატიზება ზედმეტად მიაჩნია. ის აღიარებს, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს, მაგრამ მიაჩნია, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა სავსებით შესაძლებელია. სკუდემორის თქმით, ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება. საინტერესოა, ვინ არის მართალი - ტრისმანი თუ სკუდემორი? ემუქრებათ თუ არა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში პრემიერლიგის კლუბებს გაკოტრების საფრთხე...**

*"სისულელეა იმაზე ლაპარაკი, რომ ფინანსური კრიზისი, ფეხბურთის გარდა, ყველაფერს დააზარალებს. ფეხბურთიც ხომ მსოფლიოს ფინანსური პირამიდის ნაწილია. თუ შენობის საძირკველი ირღვევა, ზიანდება მთელი შენობა. ფეხბურთი ვერ დარჩება თავისთვის მშვიდად, სადღაც კუთხეში მიყუჟული,"* – ამბობს ტრისმანი. ეს ის სიმართლეა, რომელსაც კლუბები უკვე საკუთარ ტყავზე გრძნობენ.

ყველაზე მძიმე ვითარებაშია "ვესტ ჰემი". ამ კლუბს ქრონიკულად არ უმართლებს. გახსოვთ, რომ "ჩაქუჩებს" ჯერ 30 მილიონის გადახდა მოუხდათ "ტევესის საქმის" გამო, შემდეგ გაკოტრდა კლუბის სატიტულო სპონსორი, ავიაკომპანია XL. სერიოზულად დაზარალდა ისლანდიური "ლანდსბანკი", რომლის მთავარი მეწილე კლუბის მესაკუთრე **ბიორგოლფურ გუდმუნსონია**. ამ უკანასკნელმა გასაგებად აუხსნა **ჯანფრანკო ძოლას**, რომ იანვარში ფეხბურთელების შესაძენად ფულს ვერ მიიღებს. მას შესაძლოა, აქეთ მოუწიოს წამყვან მოთამაშეებთან გამოთხოვება. იტალიელი დათანხმდა, რომ გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვას. "ვესტ ჰემს" მრავალრიცხოვანი შემადგენლობა ჰყავს. მის განაცხადში 35 ფეხბურთელია.

XL-თან კონტრაქტის გაწყვეტით კლუბმა წელიწადში ოთხი მილიონი გირვანქა დაკარგა. "ჩაქუჩების" მენეჯერები იტყობინებიან, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე კომპანიასთან, მაგრამ ჯერჯერობით სასიხარულო არაფერი ისმის. უახლოეს ხანებში კლუბმა რამდენიმე ბანკთან ანგარიში უნდა გაასწოროს და საერთო ჯამში, 52 მილიონი გირვანქის დავალიანება გადაიხადოს.

ისეთი ფინანსური მონსტრი, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედია", არცთუ იოლ სიტუაციაშია ჩავარდნილი. კლუბს უზარმაზარი ვალი აქვს. "იუნაიტედი" ყოველთვის მომგებიანი კანტორა გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის გაიყიდა...

ალბათ, მოგეხსენებათ, რაშიცაა საქმე. **მალკოლმ გლეიზერმა** კლუბის შესაძენად მრავალმილიონიანი სესხი აიღო. აღნიშნული ვალის გადახდა, რასაკვირველია, "მანჩესტერ იუნაიტედს" დაეკისრა. კრედიტი აღებულია წლიური 11 პროცენტით. "ეშმაკებს" კიდევ ერთი მხრივ დაემუქრათ საფრთხე: უმძიმეს ფინანსურ კრიზისშია კლუბის სატიტულო სპონსორი კომპანია AIG (American International Group). უმსხვილესი ამერიკული სადაზღვევო კომპანია ერთ დროს ტრილიონი დოლარის აქტივებს ფლობდა, ცოტა ხნის წინ კი გაკოტრების პირას იყო და რომ არა ამერიკის მთავრობის უპრეცედენტო დახმარება, გაკოტრდებოდა. სახელმწიფომ კომპანიის აქციების 80%-ში 85 მილიარდი გადაიხადა. თუკი ამერიკული მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებას, ეს ტრაგედია არ იქნება, რადგან "მანჩესტერი" სპონსორს ყოველთვის იშოვის. ოღონდ დიდი ეჭვია, რომ მანკუნიანელებს ბევრად მოკრძალებულ თანხაზე მოუწევთ დათანხმება.

"ლივერპულს" მოუწევს, ახალი სტადიონის მშენებლობაზე დროებით უარი თქვას. სამშენებლო ხარჯებისთვის 350 მილიონი გირვანქაა გათვალისწინებული. ყველა ქაღალდი ხელმოწერილია, მაგრამ ცნობილმა პრობლემებმა გეგმის განხორციელება შეაფერხა. მერსისაიდული კლუბის მფლობელები - **ტომ ჰიკსისა** და **ჯორჯ ჯილეტი** მიიჩნევენ, რომ დღესდღეობით ასეთ მასშტაბურ პროექტებთან შეჭიდება სარისკოა. თვით ასეთ გავლენიან ადამიანებსაც კი არ შეუძლიათ ბაზარზე საჭირო თანხის შოვნა. "ლივერპულის" დავალიანება 350 მილიონ ფუნტს აღწევს. კლუბის მომავალთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული პროგნოზები კეთდება. ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ ამერიკელებს კლუბის გაყიდვა მოუწევთ.

პრემიერლიგაში ყველაზე დიდი ვალი "ჩელსის" აქვს. "არისტოკრატების" დავალიანება 736 მილიონ გირვანქას უკაკუნებს. საშიში არაფერია, რადგან კლუბს ერთადერთი კრედიტორი ჰყავს **– რომან აბრამოვიჩი**. დიახ, ეს სრული სიმართლეა. რომან არკადიჩმა კლუბში ჩადებული ფული გააფორმა არა როგორც დოტაცია, არამედ – კრედიტი. ისე, ყოველი შემთხვევისთვის... თუკი ოდესმე ის კლუბს გაეყრება, "ჩელსი" ვალდებული იქნება, 18 თვის განმავლობაში დაფაროს დავალიანება. მართალია, კრედიტი უპროცენტოა, მაგრამ... რამდენჯერმე უკვე გაცნობეთ, რომ "ჩელსიშიც" კი მოხდა კადრების შემცირება. ესე იგი, კრიზისმა ვერც ლონდონურ გრანდს აუარა გვერდი.

"არსენალს" "ემირიტს სთედიუმის" ასაშენებლად უზარმაზარი კრედიტის აღება მოუხდა. დღეს "მეთოფეთა" დავალიანება 268 მილიონამდეა ჩამოსული. არაფერი საპანიკო არ ხდება. ვალის გადახდის გრაფიკი არსებობს და ის პედანტურად სრულდება. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, სწორედ სტადიონის წყალობით, კლუბი ბრიტანეთის ყველაზე მომგებიან კანტორად სახელდება. ამ ორ წელიწადში „ემირიტს სთედიუმმა" „არსენალის" ბიუჯეტს დამატებით 100 მილიონი გირვანქა მოუტანა.

გასათვალისწინებელია, რომ "ჰაიბერის" ადგილას შენდება საცხოვრებელი კორპუსები, რომლის განმკარგველი "არსენალია". ბინების გაყიდვით მიღებული შემოსავალი კრედიტის დაფარვას მოხმარდება. მართალია, ბინების რეალიზაცია ბოლო დროს შეფერხდა, მაგრამ უახლოეს ხანებში რომ ყველაფერი გაიყიდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. თანაც "მანჩესტერისგან" განსხვავებით, "მეთოფეები" ვალის სანაცვლოდ წელიწადში 6%-ს იხდიან და არა 11-ს.

მართალია, რუსი მილიარდერი **ალიშერ უსმანოვი** სულ ცდილობდა, კლუბის საკონტროლო პაკეტი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, მას არსებულ წილთან გამოთხოვებაც მოუწევს, რადგან რუსეთში მისმა ბიზნესმა არნახული ზარალი ნახა. ეს კლუბის აქციებს ცოტა დაბლა დასწევს, მაგრამ საშიში არაფერია. რუსი მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი აქციონერი გახლავთ და "არსენალი" მის ფულზე არასდროს ყოფილა დამოკიდებული. კრიზისი კლუბს მაინც დაატყობს ხელს, მაგრამ სერიოზულად რომ ვერ შეარყევს, ამას ყველაზე პესიმისტური პროგნოზიც კი ადასტურებს.

კრიზისია "ნიუკასლშიც". მოგეხსენებათ, **მაიკ ეშლის** კლუბის გაყიდვა უნდა, რადგან გულშემატკივრებთან საერთო ენა ვერ გამონახა. მაიკი "კაჭკაჭებს" 280-300 მილიონად ყიდის. ეს არ არის ის თანხა, რომელსაც ჯიბეების მოქექვით იშოვი. ამხელა თანხის გადასახდელად საჭიროა კრედიტი, თუმცა ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ხდება საკრედიტო ბაზარზე. „ნიუკასლის" შეძენის მსურველი ბევრია, მაგრამ თანხის შოვნას ვერავინ ახერხებს.

პრემიერლიგის ამ სეზონში ერთი უჩვეულო შემთხვევა მოხდა. 13 სექტემბერს, მე-4 ტურის მატჩში "ვესტ ბრომვიჩმა" "ვესტ ჰემს" უმასპინძლა. შეხვედრა იმით იყო გამორჩეული, რომ მეტოქეებს სატიტულო სპონსორები არ ჰყავდათ. პრემიერლიგას ასეთი რამ 1992 წლის შემდეგ არ ენახა.

სპორტული სამოსის მწარმოებელმა JJB Sports-მა უკვე გამოაცხადა, რომ "ვიგანთან" გაფორმებული ხელშეკრულების გაგრძელებას არ აპირებს. დღეს მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს, ივნისში იწურება. რატომ აღარ სურს კომპანიას „ვიგანთან" თანამშრომლობა? მიზეზი ბანალურია: იმიტომ, რომ JJB Sports-ს ფული არ აქვს. მხარეები ერთმანეთს მშვიდად, პრეტენზიების გარეშე დაშორდებიან.

ზოგადად, კლუბებს შემოსავლის სამი ძირითადი წყარო გააჩნიათ - სატიტულო სპონსორი, ტელეუფლებების გაყიდვა და გულშემატკივარი. პირველზე უკვე ვილაპარაკეთ. რაც შეეხება ძირითად მასაზრდოებელ წყაროს, ეს ტელევიზიები და მათ მიერ ტრანსლაციისთვის გადახდილი თანხებია. პრემიერლიგის ჩვენების უფლებაში ტელეკომპანიები კოლოსალურ თანხას იხდიან და ამით რეკლამის შემკვეთებს შოულობენ. ეკონომიკური კრიზისის შედეგად, მსოფლიოში უამრავი კომპანია გაკოტრდა, ბევრს გაკოტრებამდე ცოტაღა უკლია, ხოლო მათ, ვისაც საფრთხე არ ემუქრება, რეკლამისთვის აღარ სცხელათ. გამოდის, რომ ტელევიზია რთულ ვითარებაში ვარდება და წაგებაზე იწყებს მუშაობას.

ზოგი შეგვეკითხება, ფეხბურთს ხომ ფასიან საკაბელო ტელევიზიებზე აჩვენებენ და მათი მდგომარეობა კი რეკლამის შემკვეთებზე დამოკიდებული არ არისო. გასაგებია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საკაბელო ტელევიზია საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. უკვე არსებობს მოსახლეობის სოლიდური ნაწილი, რომელმაც უარი თქვა კომფორტის ამ სახეობაზე. შესაბამისად, ზარალს განიცდის საკაბელო ტელევიზიაც. ადამიანები, რომლებმაც უარი თქვეს საკაბელო არხებზე, უარს ამბობენ სტადიონზე წასვლაზეც, რადგან საშუალო ოჯახს ეს სიამოვნება შეიძლება რამდენიმე ასეული გირვანქა დაუჯდეს. ბოლტონის "რიბოკ სთედიუმზე" უკვე გამოაცხადეს, რომ პირველი ათასი ადამიანი, ვინც სტადიონზე გამოცხადდება, ლუდს უფასოდ მიიღებს, მაგრამ არც ამ ნაბიჯმა გაჭრა.

ამბობენ, რომ ფეხბურთს მისი უსაზღვრო პოპულარობა გაუწვდის დახმარების ხელს. მართალია, რადგან ხალხს გარდა "პურისა" ყოველთვის დასჭირდება "სანახაობაც", მაგრამ პესიმისტები აცხადებენ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ აისბერგის მწვერვალია და მომავალში კრიზისი გამწვავდება. **არსენ ვენგერმა** სათქმელი ლაკონიურად ჩამოაყალიბა: *"ვინმეს ჰგონია, რომ პრემიერლიგა ხელუხლებელი დარჩება? კი მაგრამ, რანაირად უნდა მოხდეს ეს? გულშემატკივრებს ნაკლები ფული ექნებათ, ტელევიზიებს - ნაკლები რეკლამა და ასეთი პრობლემების გამო, ყველაზე მეტად ფეხბურთი დაზარალდება."*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიგილაშვილმა**

[illegible] ბიბლიოთეკა

## პორტსმუთი იყიდება

უახლოეს ხანებში „პორტსმუთს" ახალი მფლობელი ეყოლება. რუსული წარმომავლობის ბიზნესმენი **ალექსანდრ გაიდამაკი** კლუბის აქციებს ყიდის. მყიდველი სამხრეთაფრიკული კომპანიაა, რომელიც ოქროს მოპოვებასა და გასაღებაზე მუშაობს. კომპანიის ხელმძღვანელია ვინმე **გრეგ ჯეიმსი**. საფეხბურთო წრეებში ამ პიროვნების სახელი არავის სმენია. "ტაიმსი" იუწყება, რომ ჯეიმსი გაიდამაკს 70 მილიონ გირვანქას მიუთვლის. ეს თანხა კლუბის სტადიონს, 21-ათასიან "ფრეტონ პარკსაც" მოიცავს.

„პორტსმუთს"არცთუ ულრუბლო ფინანსური მდგომარეობა აქვს. ძველებურად ხელგაშლილად ვეღარც გაიდამაკი ცხოვრობს. ასე რომ, მის მიერ კლუბის გაყიდვა არავის გაჰკვირვებია. მოლაპარაკების პირველი რაუნდი გასულ უქმეებზე გაიმართა. მხარეებმა შეხვედრას ძალიან პროდუქტიული უწოდეს. როგორც ჩანს, ხელშეკრულება მალე გაფორმდება.

მაგრამ „პორტსმუთს" კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა. კლუბის შეძენა სურს ცნობილ ებრაელ საფეხბურთო აგენტსა და ბიზნესმენს **პინი ზაჰავის**. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს გაიდამაკმა „პორტსმუთი" სწორედ ზაჰავის დახმარებით შეიძინა. მათ ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა აკავშირებთ. პინი ზაჰავიც მზადაა, კლუბში 70 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

## ენდი კოული წავიდა

ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელი **ენდი კოული** ფეხბურთიდან წავიდა. ეს ინფორმაცია „დეილი მეილმა" გაავრცელა. აი, კოულის კომენტარიც: *"მინდოდა, კიდევ მეთამაშა, მაგრამ სამწუხაროდ, სერიოზული კონტრაქტი არავის შემოუთავაზებია. მართალია, "ნოტინგემ ფორესტის" ხელმძღვანელობაზე ნაწყენი ვარ, მაგრამ კლუბს მაინც ვემადლიერები. არ მინდოდა კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ იმიტომ, რომ ხელფასი ამეღო. მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც დაუმსახურებელ ფულს ხელს მოჰკიდებს. თამაში მაინტერესებდა, მაგრამ ნოტინგემში ამის საშუალება არ მომეცა. ყოველთვის ვცდილობდი, პატიოსნად მეცხოვრა და მეთამაშა. ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, ჩემს კარიერაში არაფერს შევცვლიდი. მე დიდი ხანი ზღაპარში ვცხოვრობდი"*. აქვე თვალით გადავავლოთ ენდი კოულის სახელოვან კარიერას - "არსენალი" (1989–1992), "ბრისტოლი" (1992–1993), "ნიუკასლი" (1993–1995), "მანჩესტერ იუნაიტედი" (1995–2001), "ბლექბერნი" (2001–2004), "ფულჰემი" (2004–2005), "მანჩესტერ სიტი" (2005–2006), "პორტსმუთი" (2006–2007), "სანდერლენდი" და "ნოტინგემ ფორესტი" (2008).

## სავიოლა: ოსასუნა თუ რივერი?

მადრიდის „რეალის" თადარიგში ჩაკარგული **ხავიერ სავიოლა** სამსახურის შეცვლას აპირებს. ესპანური სააგენტოების ცნობით, 26 წლის თავდამსხმელით „ოსასუნა" დაინტერესდა. პამპლონელებს სურთ, იანვარში ფეხბურთელს ექვსთვიანი საიჯარო ხელშეკრულება გაუფორმონ. თუ თანამშრომლობა წარმატებული აღმოჩნდება, „ოსასუნა" სავიოლას გამოსყიდვას შეეცდება და ფეხბურთელს ხანგრძლივ ხელშეკრულებაზე მოუწერს ხელს. არგენტინის ნაკრების ვარსკვლავი სულ რაღაც 5 მილიონი ევრო ღირს. სავიოლას სამშობლოდანაც რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს. ყველაზე მეტად ხავიერის ყოფილი კლუბი „რივერ პლეიტი" აქტიურობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობა

# ქვიტი გვარზე ხტის

გასულ უქმეებზე გორს ვესტუმრე. გულმა არ მომითმინა და საჭიდაო დარბაზშიც შევიხედე. ოფლში გახვითქული ჭაბუკები მონდომებით ვარჯიშობდნენ - ხალიჩაზე ელვისებური ფანდების კორიანტელი დაეყენებინათ. ვიცოდი, ასეც იქნებოდა, რადგან საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ნუგზარ სხირელს**, ჩვეულებრივ, გამოსასვლელი დღეები იშვიათად აქვს, ისიც განსაკუთრებული შემთხვევებისთვის.

- როგორი ბიჭები არიან? - მკითხა სიამაყით ბატონმა ნუგზარმა მოსალმების შემდეგ და ისევ ხალიჩისკენ გაიხედა.

წუნს, მართლაც, ვერავის დასდებდი, თუმცა გამორჩეულად ერთმა ყმაწვილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება - მისი ილეთები უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი მეჩვენა.

- ეს ჩვენი ახალი ჯილაა - ლადო ხინჩეგაშვილი, მამის ალი-კვალია, - ამიხსნა მასპინძელმა. - გიორგის ჭაბუკობამაც ჩემ თვალწინ გაირბინა. ახალგაზრდებში ორჯერ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიოს პირველობებზე ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურა. დიდ იმედებს ვამყარებდით მასზე, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა... სამაგიეროდ, შვილი განაგრძობს მამის გზას.

**ლადო ხინჩეგაშვილი** 1991 წლის 18 აპრილს დაიბადა გორში. ჭიდაობა 10 წლისამ **არკადი ხინჩიკაშვილთან** დაიწყო. ხუთი წელიწადია, ნუგზარ სხირელი ავარჯიშებს. პირველ წარმატებას ორი წლის წინათ მიაღწია - **ზარბეგ ბერიაშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. საქართველოს ჩემპიონმა შარშან ჭაბუკებში ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. წლევანდელი სეზონი კი უფრო წარმატებული აღმოჩნდა: ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ჯერ საქართველოს პირველობაზე აჯობა ყველას, მერე ორივე ასაკში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიო პირველობაზე კი მესამე ადგილს დასჯერდა.

- განსაკუთრებით ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობაზე გამარჯვებამ გამახარა, - მითხრა ლადომ. - ორი-სამი წლით უფროსებს ვეჭიდავებოდი. ნახევარფინალში თურქ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ აჰმეთ პეკერს შევხვდი. მეორე წუთზე ჩოქბჯენში ორთაბრძოლისას მოულოდნელად ხელი ჩამიკეტა და სამჯერ დამატრიალა. ის პერიოდი 0:6 წავაგე. სამაგიეროდ, მეორე რაუნდში 7:5 ვძლიე, მესამეში კი სრული რევანში ავილე - ჩოქბჯენში გადავიყვანე და შვიდი ქულა ავართვი. გადამწყვეტ პაექრობაში რუს ივას ბულბატოვს ვაჯობე და ჩემპიონი გავხდი.

- ლადო მსოფლიოს პირველობაზეც დაიპყრობდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს, შეჯიბრება სტამბოლში რომ არ გამართულიყო, - ჩაერია საუბარში ნუგზარ სხირელი. - არბიტრებმა მეოთხედფინალში აშკარა მიკერძოება გამოიჩინეს თურქი აჰმეთ პეკერის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, წინასწარვე ვიცოდით, ევროპის პირველობაზე ძლევას თურქები არ გვაპატიებდნენ. ისინი ხომ მსაჯებთან საქმის მოკვარახჭინებას საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კარგად ახერხებენ. ამიტომაც აჰმეთი ჩემპიონი გახდა, ლადომ კი მესამე ადგილი დაიკავა. თუმცა, უფროსებთან პაექრობაში მოპოვებული „ბრინჯაოც" არ არის ურიგო. შრომისმოყვარე, ნიჭიერი ყმაწვილია და მომავალ შეჯიბრებებშიც არაერთხელ გაგვახარებს.

- ვარჯიში მართლაც არ მეზარება, - წამოწითლდა ლადო. - სიზარმაცის უფლებაც არ მაქვს - ჩემ გვერდით ხომ სახელოვანი ფალავნები - გიორგი გოგშელიძე, ოთარ თუშიშვილი, დავით პოღოსიანი და ბესიკ გუჩაშვილი ღვრიან ოფლს. ისინი ახალგაზრდებს ყურადღებას არ გვაკლებენ და ჩვენც ვცდილობთ, მათ შევბაძოთ.

წლეულს, ზაფხულს, გორში ომი რომ დაიწყო, დედამ მე და ჩემი და ხაშურში წაგვიყვანა. იქ ვუყურე პეკინის ოლიმპიადას. დილაუთენია ვდგებოდი, რომ ჭიდაობები არ გამომპარვოდა. ძალიან გამახარა ირაკლი ცირეკიძის, მანუჩარ კვირკველიას და რევაზ მინდორაშვილის ჩემპიონობამ. უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, გიორგის, ოთოს და ბესოსაც ოქროს მედლები რომ აელოთ. ომის მიუხედავად, აუ, რა ზეიმი იქნებოდა გორში?!

**- ლადო, ჭიდაობის გარდა, რა გიტაცებს?**

- ფეხბურთი. იტალიის „ინტერსა" და არგენტინის ნაკრებს ვქომაგობ. ჰო, მართლა, ცურვაც მიყვარს, უფრო ჩემი დის - გვანცას გამო. იგი 14 წლისაა და თანატოლებში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. უკეთესი შედეგები ექნებოდა, მაგრამ ჩვენთან ზამთრობით აუზი არ მუშაობს. ფიზიკურ მომზადებაში რომ არ ჩამორჩეს, ყოველდღე ჩემთან ერთად დარბის. მტკვართან ახლოს ვცხოვრობთ და ზაფხულობით მდინარეზეც დავდივართ საბანაოდ. დედა გვეხმარება ძალიან, რომ საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებით გამოვიდეთ. გვანცას სათანადო პირობები რომ ჰქონდეს, დარწმუნებული ვარ, ცურვაში ლონდონის ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებდა.

**- შენ თავად რას აპირებ?**

- უკვე ჩვიდმეტი წლის ვარ და ოლიმპიურ თამაშებზე მეც ვოცნებობ, თუმცა საქართველოს პირველ ნაკრებში მოსახვედრად ძნელი გზა მაქვს გასავლელი. გაისად 17-18 იანვარს მეორედ ვიასპარეზებ ეროვნულ ჩემპიონატში - ძალიან მინდა, უფროსებთან პაექრობებში გამოვცადო შესაძლებლობები, მერე კი მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე თანატოლებთან საჭიდაოდ მოვემზადები. ვეცდები, მნიშვნელოვანი შეჯიბრებებიდან უმედლოდ არ დავბრუნდე.

ვაჟა დანელია



ლადო ხინჩეგაშვილი ჩოქბჯენში მორიგი ფანდის ჩატარებას ცდილობს

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" საჩუქრად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" ან აირჩიეთ გამომცემლობა „პალიტრა L-ის" ამ სამი ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„ვეფხისტყაოსანი"

„დიდი საოჯახო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"




მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ისკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

T: 38 26 73; 38 26 74

elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.

რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

ჭადრაკი



# ოლიმპიადისკენ გზა დაულოცეს...

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში მოჭადრაკეთა ეროვნულ ნაკრებებს საჭადრაკო ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა დაულოცეს. შეხვედრა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში შედგა და საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. მასპინძლების რანგში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **გრიგოლ ვაშაძე,** სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** იყვნენ. შეგახსენებთ, რომ დღეს გერმანიის ქალაქ დრეზდენში საჭადრაკო ოლიმპიადა აიღებს სტარტს. ეს შეჯიბრება ერთ-ერთი უდიდესი ფორუმია სპორტულ სამყაროში და შესაბამის ინტერესსაც იწვევს. წლეულს 160-მდე ქვეყანა მიიღებს ოლიმპიადაში მონაწილეობას. ქართული საჭადრაკო სკოლა რომ ძლიერია, ყველასთვის ცნობილია, ამიტომ გამარჯვებებსაც ველით. განსაკუთრებით ქალთა ნაკრების იმედი გვაქვს, რომელთა რიგებში კვლავაც თამაშობს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე.**



სპორტის დეპარტამენტში — ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტოები

შეხვედრა ერთობ მოულოდნელად დაიწყო: ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელებთან და მოჭადრაკეებთან გულღია საუბრის მიზნით, მათთან ახლოს დაჯდომა მოისურვა, მაგრამ ტელეჟურნალისტების თხოვნით ჩვეულ ადგილზე, პრეზიდიუმში მოკალათებამ მოუწია. მისალმებისა და რამდენიმე ტრადიციული პასაჟის შემდეგ მინისტრმა სიტყვა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს **გიორგი გიორგაძეს** გადასცა, რომელმაც აღნიშნა: *„ჩემი პრეზიდენტობის სამი თვის განმავლობაში გადაიჭრა მთავარი პრობლემა – ქართული საჭადრაკო ოჯახი გამთლიანდა და დავიწყებას მიეცა შიდა დაპირისპირებები. ამან ხელი შეუწყო ფედერაციის მიზანმიმართულ მუშაობას. სახელმწიფო გვერდში დაგვიდგა და ოლიმპიადისთვის დამატებით გამოგვიყო თანხები, რის მეშვეობითაც ბაკურიანში ძალზე ნაყოფიერი შეკრება გაიარეს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ნაკრებებმა. შევიძინეთ ერთიანი ფორმა, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია. რაც შეეხება მოსალოდნელ შედეგებს, წარმატების იმედი ნამდვილად გვაქვს, განსაკუთრებით გვეიმედება ქალების – მათ მედლებისთვის ბრძოლა ძალუძთ. მამაკაცთა ნაკრებს კი ათეულში მოხვედრის შესაძლებლობა გააჩნია და თუ ასე მოხდა, წარმატებად ჩაგვეთვლება“.*

ამის შემდეგ ბატონმა მინისტრმა თავდაპირველი ჩანაფიქრი განახორციელა, პრეზიდიუმიდან ჩამოვიდა და პუბლიკასთან ახლოს დაჯდა; მერე კი პრობლემებზე საუბარი შესთავაზა სტუმრებს, რათა შეძლებისდაგვარად დახმარებოდა. გუშინდელი დღისთვის უმთავრესი პრობლემა დელეგაციის ორ წევრზე გერმანიის საელჩოს მიერ ვიზის გაუცემლობა იყო: ვაჟთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, **ლევან ფანცულაიას** მეუღლის და ფედერაციის თანამშრომლის, **ლელა თანდაშვილის** სანდოობა დააყენა კონსულმა ეჭვქვეშ. არადა, ლევანი რამდენიმე დღის შეუღლებულია და მისი ფსიქოლოგიური განწყობისთვის მეუღლის თანხლება უცილებელია. თანდაშვილს კი ოლიმპიადაზე მსაჯის რანგში უწევს ჩასვლა. ასეთი ფორუმის მსაჯობა დიდი პატივია ნებისმიერი ქვეყნისთვის. მსაჯებს კი ორგანიზატორები არჩევენ. ბატონი გრიგოლი იქვე შეუდგა ამ პრობლემის მოგვარებას და იმედია, როცა „ლელოს“ დღევანდელი ნომერი მივა მკითხველამდე, ქართული დელეგაცია სრული შემადგენლობით იქნება ჩასული დრეზდენში.

სხვა სახის პრობლემებზეც ისაუბრეს, მაგრამ ამჯერად ჟურნალისტების დასწრება არ მიიჩნია მინისტრმა აუცილებლად და გვთხოვეს, დარბაზი დაგვეტოვებინა. პრივატული საუბარი საკმაო ხანს გაგრძელდა. ბევრი რამ თქმულა, მაგრამ დაკონკრეტებისგან, ცხადია, ყველამ თავი შეიკავა. ფაქტია, რომ მჭიდრო და საქმიანი თანამშრომლობა გაგრძელდება და იმედიც აქვს მინისტრს, რომ ჭადრაკი ძველ დიდებას დაიბრუნებს ჩვენში. მოვლენათა ასეთი განვითარების სურვილი ყველას გვაქვს და ვნახოთ, იქცევა თუ არა დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადა ქართული ჭადრაკის აღორძინების ათვლის წერტილად.

ქალთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია (დაფების მიხედვით): **მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი.** კაპიტანი - **ნინო გურიელი;** მწვრთნელი - **თორნიკე სანიკიძე.**

ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა: **ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, დავით არუთინიანი.** კაპიტანი - **ზურაბ სტურუა;** მწვრთნელი - **ხვიჩა სუპატაშვილი.** დელეგაციის ხელმძღვანელი - საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი გიორგაძე.**

**ზვიად შათირიშვილი**

ჭიდაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაშ, ქართველებს რა?!

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FILA) საჭიდაო სამყაროს გაკვირვებისგან პირი დააბჩენინა – 2008 წლის საუკეთესო მოჭიდავედ სამი ისეთი სპორტსმენი დაასახელა, რომლებიც ოლიმპიური ჩემპიონები არ გამხდარან. FILA –ს წლის საუკეთესო მოჭიდავის შერჩევის კრიტერიუმი განსაზღვრული აქვს – მოჭიდავე კონტინენტის პირველობის მოგებისთვის იღებს 9 ქულას, გრანპრიში გამარჯვებისთვის – 10-ს, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებისთვის – 11-ს. განსაზღვრულია პრიზიორთა ქულებიც. მოსალოდნელი იყო, რომ ოლიმპიურ წელს FILA ოდნავ მაინც შეცვლიდა წესს, მაგრამ ოლიმპიადის მოგება მხოლოდ 12 ბალით შეფასდა. სწორედ ამან გამოიწვია, რომ არც ერთ ნომინაციაში (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ქალთა ჭიდაობა) არ გაუმარჯვია პეკინის ოლიმპიადის მომგებ მოჭიდავეს.

თავისუფალი სტილით მოასპარეზეებში 2008 წლის საუკეთესო ფალავნად უკრაინელი **ვასილი ფედორიშინი** (60 კგ) დასახელდა. ფედორიშინმა 30 ქულა დააგროვა: ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მოიგო ევროპის ჩემპიონატი და ოქროს გრანპრი. ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში გაიმარჯვა აზერბაიჯანელმა ანტიკოსმა **როვშან ბაირამოვმა** (55 კგ). მანაც 30 ქულას მოუყარა თავი: ოლიმპიური ვერცხლი, ევროპის ჩემპიონობა და ოქროს გრანპრის პირველი ადგილი. ქალთა შორის საუკეთესო გახდა ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ბულგარელი **სტანკა ზლატევა** (72 კგ). რჩეულთა დაჯილდოების ცერემონია გაისად, ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე გაიმართება. როგორც ხედავთ, **მანუჩარ კვირკველია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და **რევაზ მინდორაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა) ტიტულს ვერ შესწვდნენ.

FILA-ს გადაწყვეტილებამ კრიტიკის ქარ-ცეცხლი გამოიწვია საჭიდაო სამყაროში. განსაკუთრებით კი რუსები აქტიურობდნენ. *„სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი უკვე აბსურდს ემსგავსება. დიდ პატივს ვცემ ყველა გამარჯვებულს, მაგრამ მათ ხომ წლის უმთავრესი სტარტი წააგეს - ოლიმპიადა“,* - განაცხადა რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის თავკაცმა **მიხეილ მამიაშვილმა.** სხვათა შორის, მოსკოვში ივან იარიგინის საიუბილეო ტურნირზე ორგანიზატორებმა მთავარი პრემია (Золота борцовка), „წლის საუკეთესო მოჭიდავეებს“, **ბუვაისა საიტიევს** (თავისუფალი ჭიდაობა) და **ასლანბეკ ხუშტოვს** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) გადასცეს. რუსებმა თავიანთი ფალავნები გამოარჩიეს და ქართველები, რა თქმა უნდა, ჩრდილში დატოვეს, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ რუსული ვერსია ობიექტურობასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ნატრიუმფალი მარცხით დაბრუნდა

ორთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ **ირაკლი ლაბაძის** (541) დაბრუნება ჩოგბურთში მარცხიანი გამოდგა. გუშინ, საქართველოს პირველმა ჩოგანმა დნეპროპეტროვსკის „ფიფლ ნეტ კაპის“ ტურნირის პირველ წრეში ორ სეტში წააგო რუს **მიხაილ ელგინთან** (133). შეხვედრა მეორე კორტზე გაიმართა, პირველი სეტი 38 წუთს გაგრძელდა და ელგინის გამარჯვებით დასრულდა. მეორე სეტის დასაწყისში ქართველმა მეტოქის მოწოდება მოიგო, თავისაზე დაწინაურდა და, რომ გვეგონა მატჩის მსვლელობის შემოტრიალებას შეძლებდა, ზედიზედ ორჯერ წააგო საკუთარი მოწოდება. მეორე სეტს 31 წუთი დასჭირდა – 4:6, 3:6. ტურნირის საპრიზო ფონდი 125 ათასი დოლარია. შეგახსენებთ, რომ პირველად „ფიფლ ნეტ კაპი“ ხუთი წლის წინათ გაიმართა, მაშინ ტურნირი სწორედ ირაკლი ლაბაძემ მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ირაკლი ლაბაძე

# შაფაქიძემ შაფათავამდე ვერ მიაღწია

საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი, **ანა ტატიშვილი** (168) კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოში, საერთაშორისო ტურნირში მე-6 ნომრად განთესეს. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. შეჯიბრება ჰარდის საფარის კორტებზე გაიმართება. პირველ წრეში ჩვენს ჩოგბურთელს ამერიკელი **ნიკოლ ჯიბსი** (522) შეხვდება. ჯიბსი მხოლოდ 15 წლისაა, მიუხედავად ამისა, დიდებში უკვე აქვს მოპოვებული წარმატებები, რისი წყალობითაც ის სან-დიეგოში „უაილდ ქარდით“ დააჯილდოეს. ანა წყვილთა თანრიგშიც ცდის ბედს, ოღონდ ახალ მეწყვილესთან ერთად – ამჯერად, ტატიშვილთან ერთად ამერიკელი **ლორენ ალბანეზე** (203) ითამაშებს. ვერ ვიტყვით, რომ კენჭისყრამ მათ გაუმართლა – პირველ წრეში ანა და ლორენი პირველ ნომრად განთესილებს, **ედინა გალოვიცს** (რუმინეთი, 84) და **ჯული დიტის** (აშშ, 120) დაუპირისპირდებიან.

მინსკში 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ვერ გააღწია **მანანა შაფაქიძემ** (686). საქართველოს ჩემპიონმა მეორე წრეში მე-2 ნომრად განთესილ რუს **ვარვარა გალანინასთან** (300) წააგო – 3:6, 3:6 და ბელარუსის დედაქალაქს დაემშვიდობა. მინსკის ტურნირის ძირითად ბადეში **სოფიო შაფათავა** (255) ითამაშებს, რომელიც პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ ერთ-ერთ ჩოგბურთელს შეხვდება. შესაძლებელი იყო ის ერთ-ერთი მანანა შაფაქიძეც ყოფილიყო, რომ არა მარცხი. მალიორკაში, კალა მილორის კორტებზე იწყება მორიგი საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი), რომელშიც 16 წლის **ეკა გორგოძეც** (703) მონაწილეობს. პირველ წრეში ეკა 19 წლის რუს **მარინა მელნიკოვას** (489) ეთამაშება.

ირანში, კუნძულ ქიშზე საერთაშორისო ტურნირის (15 ათასი დოლარი) პირველ წრეში დამარცხდა 18 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** (925). ლაზარემ პირველ ნომრად განთესილ რუს **პაველ ჩეხოვთან** (275) წააგო ორ სეტში – 2:6, 4:6. ამერიკულ ჰონოლულუში 10-ათასიან ტურნირში გამოჩნდა **ლადო ჩიხლაძე.** პირველ წრეში მისი მეტოქე ამერიკელი **შეევა პარბჰუა** (974).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

ნოემბრის ბაშო

# იორიკირი, ქართველთა ჭირი კიუშუზე

ნოემბრის ბაშოზე დაუმარცხებელ რიკიშთა რიცხვი რვამდე შემცირდა. სამწუხაროდ, მათ შორის აღარ არის **ლევან ცაგურია** – გუშინ, კოკაიმ ტურნირზე მარცხის გემო გაიგო. ქართველი მე-12 მაეგაშირა **კასუგანიშიკისთან** დამარცხდა ყველასთვის მოულოდნელად. იაპონელმა იორიკირის ილეთით მოიგო. კოკაის 2-1 ბალანსი აქვს და დღეს ბაშოზე ჯერაც დაუმარცხებელ **იოშიკაძეს** შეხვდება. 26 წლის იაპონელი „მსუბუქწონოსანთა“ რიცხვში ითვლება, იგი „მხოლოდ“ 135 კგ-ს იწონის. ბოლო წლის ურთიერთშეხვედრებში კოკაი 1:2-ს აგებს.

გაცილებით ცუდი სტარტი აქვს მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე).** ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია, კვლავ იორიკირით. დაჯახებისთანავე ყოფილმა სეკივაკე **კოტოშოგიკუმ** ქართველის მავაში დაიჭირა და ლევანი დოჰიოდან გააგდო. დღეს ტოჩინოშინს პირველი გამარჯვების მოპოვების კარგი შანსი ეძლევა – მისი მეტოქე მე-8 მაეგაშირა **კაკიძოეა,** რომელიც ასევე 0-3 ბალანსითაა კუნძულ კიუშუს ბაშოზე. ტოჩინოშინი სამჯერ შეხვდა კაკიძოეს და ერთხელ აჯობა.

სამაგიეროდ, ბრწყინვალე სტარტი აქვს მე-3 დივიზიონ მაკუშიტაში მოჭიდავე 21 წლის **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ).** გუშინ მან მეორე ორთაბრძოლაც მოიგო – ამჯერად, **შიმოდა** დაამარცხა ჰიკიოტოშის ილეთით. გაგამარუს 2-0 ბალანსი აქვს, დღეს ქართველი ისვენებს ბაშოზე. შეგახსენებთ, რომ მე-3 დივიზიონიდან ქვემოთ სუმოისტები ბაშოზე 7-7 ორთაბრძოლას მართავენ.

„მატადორი“ **ამინიშიკი** კი ფუკუოკას პუბლიკის გასახარად სასწაულებს სჩადის – 30 წლის კომუსუბის მორიგი მსხვერპლი ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუა.** ბაშოზე მას უკვე ერთი დიდი ჩემპიონის და ორი ჩემპიონი „სკალპი“ აქვს მოპოვებული, შესაშური სტარტია. არც მე-2 მაეგაშირა **ვაკანოსატოა** ჯაბანი. 32 წლის ვეტერანმა ძველი დრო[illegible] იხსენა და ზედიზედ სამი ოძეკი დაამარცხა, დღეს იგი დიდ ჩემპიონ ჰაკუჰოს ხვდება და თუ მასაც მოუგებს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

III დღე. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: ტოჩინოშინი (მ 4)-კოტოშოგიკუ (მ 3) 0:1 (იორიკირი); კოკაი (მ 11)-კასუგანიშიკი (მ 12) 0:1 (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა. 3-0: ამინიშიკი (კ); ვაკანოსატო (მ 2); კისენოსატო (მ 4); დეჯიმა (მ 5); მიაბიამა (მ 7); ტოკიტენკუ (მ 9); იოშიკაძე (მ 12); ტაკამისაკარი (მ 14). ... 2-1: კოკაი (მ 11)... 0-3: ტოჩინოშინი (მ 4).

IV დღე მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი (მ 4)-კაკიძოე (მ 8); კოკაი (მ 11)-იოშიკაძე (მ 12); ჰაკუჰო (ი)-ვაკანოსატო (მ 2); კოტოოშუ (ო)-ტოიონოშიმა (მ 1); კოტომიცუკი (ო)-ფუტენო (მ 1); კაიო (ო)-კოტოშოგიკუ (მ 3); ჩიოტაიკაი (ო)-ჰოკუტორიკი (მ 3); ბარუტო (ს)-ამინიშიკი (კ); ამა (ს)-გოეიდო (კ); კისენოსატო (მ 4)-ტაკეკაძე (მ 8).

განცხადება

2008 წლის 24 დეკემბერს, 14:00 საათზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის საარჩევნო -საანგარიშო სესია.

რეგისტრაციაში გასატარებლად მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი. უზნაძის №:89; ველოდრომი. ტელ: 95 80 48; 899 15 34 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი — ლეგიონერები

# მექოს ლელო და 20 ქულა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების თითქმის ნახევარი მიილია. ქართველ მორაგბეთა კლუბებიდან ლიდერთა შორის „მასი", „შალონი" და „პერიგო" არიან. პლეი ოფში მოხვედრისთვის კი, კიდევ ოთხი - „ექსი", „ნიცი", „ლილი" და „ორლეანი" იბრძვიან.

A ჯგუფში ექვსი ტურის შემდეგ კვლავ დაუმარცხებელია **ბესო უდესიანის** „შალონი". ჩვენებურთა ეს გუნდი ამჯერად აუტსაიდერ „არასს" დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით - 59:3 მოუგო. უდესიანს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

შინ დაამარცხა უშუალო კონკურენტი „დიჟონი" **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილისა და შალვა სუთიაშვილის** „მასიმ" - 35:9. კვირიკაშვილმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, გუნდს 20 ქულა მოუტანა. მის ანგარიშზე ერთი ლელო, სამი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვაა. ერთი ლელო მიითვალა საქართველოს ნაკრების პირველხაზელმა დავით დადუნაშვილმაც. ძირითად შემადგენლობაში იყო ბორჯღალოსანთა მესამეხაზელი სუთიაშვილიც. დადუნაშვილი 68-ე, სუთიაშვილი კი მე-60 წუთზე შეცვალეს.

გასვლით შეხვედრაში დამარცხდა „რუენთან" - 22:24 და სატურნირო მდგომარეობა უკიდურესად გაიუარესა **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა და გიორგი ნემსაძის** „დომონმა". ნემსაძემ და მარგველაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს. მჭედლიშვილი 39-ე წუთზე შეცვალეს.

შინ დამარცხდა მოულოდნელად - 20:27 აუტსაიდერ „ლონსთან" **დავით ბოლღაშვილისა და სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი". ბოლღაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო.

**A ჯგუფი.** ლილი - ლონსი 20:27, მასი - დიჟონი 35:9, რუენი - დომონი 24:22, შალონი - არასი 59:3

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. შალონი - 26 ქულა, 2. მასი - 21, 3. რუენი - 18, 4. დიჟონი - 13, 5. ლილი - 13, 6. ლონსი - 10, 7. დომონი - 8, 8. არასი - 5.

B ჯგუფში ნელ-ნელა გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა". აბუს გუნდმა მეექვსე ტურში **სანდრო ესაკიასა და ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერი" მიიღო და -15:6 დაამარცხა. აბუსერიძემ 62-ე წუთზე შეცვალეს, ელოშვილი - ორმოცდამეათეზე. ესაკიამ კი, მინდორზე 64 წუთი დაყო.

**B ჯგუფი.** ბობინი - მონლუსონი 22:14, ორლეანი - სენ ნაზერი 15:6, ვანი - ნუარი 24:19, ლიმოჟი - ჟენევიე 46:15.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ლიმოჟი - 21 ქულა, 2. ბობინი - 20, 3. ვანი - 19, 4. ორლეანი - 17, 5. მონლუსონი - 14, 6. სენ ნაზერი - 12, 7. ნუარი - 9, 8. ჟენევიე - 2

D ჯგუფში ლიდერობა დაკარგა **ილია ზედგინიძის** „ექსმა". საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის გუნდმა გასვლით შეხვედრაში ვერაფერი გააწყო **დიმა პავლოვის** „ნიცასთან" - 19:29. პავლოვი განაცხადში არ იყო. ზედგინიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 46-ე წუთზე შეცვალეს.

**D ჯგუფი.** ნიცა - ექსი 29:19, ლავორი - კარკასონი 9:12, კარკუირანი - გროლე 12:17.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. კარკასონი - 20 ქულა, 2. ექსი - 17, 3. ნიცა - 17, 4. ლავორი - 16, 5. არგელე - 11, 6. გროლე - 10, 7. კარკუირანი - 8, 8. მარსელი - 5.

E ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, იგორ ბარბაქაძისა და ირაკლი გუნდიშვილის** „პერიგო". ვენებურთა ეს გუნდი მეორეადგილოსან „მოლეონს" 7 ქულით უსწრებს. მეექვსე ტურში პერიგოელებმა შინ სძლიეს „ტიროსს" - 29:12. ზიბზიბაძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა 24-ე წუთზე ლელო გაიტანა. ნინიძე თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო. ბარბაქაძე და გუნდიშვილი განაცხადში არ იყვნენ.

სტუმრად დამარცხდა „მოლეონთან" **შოთა მელიქიძისა და ნიკოლოზ მალალდაძის** „კაორი" - 10:15. მალალდაძე მე-40 წუთზე შეცვალეს. მელიქიძე განაცხადში არ იყო.

**E ჯგუფი.** მოლეონი - კაორი 15:10, მარმანდი - ლურდი 24:3, პერიგო - ტიროსი 29:12, აგეტმო - ოლორონი 6:13.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. პერიგო - 23 ქულა, 2. მოლეონი - 16, 3. ოლორონი - 15, 4. მარმანდი - 14, 5. ტიროსი - 14, 6. კაორი - 12, 7. ლურდი - 9, 8. აგეტმო - 5.

მიმდინარე გათამაშებაში, მეორე გამარჯვება მოიპოვა F ჯგუფში მოასპარეზე **დიმიტრი ბასილაიასა და ირაკლი ჭყონიას** „მორლაამ". ჩვენებურთა ამ გუნდმა აუტსაიდერ „რიბერაკს" სძლია იოლად - 33:3. ბასილაიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჭყონია განაცხადში არ იყო.

**F ჯგუფი.** ტარნო - ლანგონი 19:12, მორლაა - რიბერაკი 33:3, ლე ბუგე - ლანამეზანი 29:33, სენ ჟან და ლუზი - ვალანსი 29:33.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ლანამეზანი - 18 ქულა, 2. ლე ბუგე - 17, 3. სენ ჟან და ლუზი - 17, 4. ვალანსი - 15, 5. მორლაა - 12, 6. ლანგონი - 12, 7. ტარნო - 12, 8. რიბერაკი - 6.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძალოსნობა

# გრიქუროვი რჩება

გუშინ სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად ძალოსნობის სამყაროს წარმომადგენლებს შეხვდა. მათ არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს, რომელთაგან უმთავრესი, რა თქმა უნდა, ლონდონის ოლიმპიადა იყო. ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **გიორგი ასანიძემ,** რომელიც ამავდროულად პარლამენტში სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეა, აღნიშნა, რომ ნაკრების დამრიგებელი **ვანო გრიქუროვი,** რომელიც თავისი საქმის უზადო პროფესიონალია, მწვრთნელობისთვის თავის დანებებას აპირებდა. ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრულიო – მიზეზად ეს სახელდებოდა. თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი დადებითად გადაწყდა - გრიქუროვი ნაკრებში თავის საყვარელ საქმიანობას მინიმუმ კიდევ 4 წელი გააგრძელებს. *„საერთო ძალებით უნდა შევძლოთ უკეთესი შედეგების ჩვენება, ვიდრე ეს დღეს გვაქვს. მომავალი ოლიმპიადისთვის ლიცენზიების მოპოვების სისტემა შეიცვალა და აწი ქულების შეჯამება გუნდის მიერ სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით მოხდება. ჩვენი თავდაპირველი მიზანია, რომ გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე ღირსეულად ვიასპარეზოთ და სალიცენზიო ქულათა რეიტინგში რაც შეიძლება წინ წავიწიოთ. ორი ძირითადი ამოცანაა გადასაწყვეტი: მსოფლიოს ჩემპიონატებზე კარგი ასპარეზობა და ლონდონში ოლიმპიური მედლის მოპოვება. საამისოდ კი კუზილოვი, მაჭავარიანი, ცირეკიძე, კასაბიევი და ა.შ. საკმაოდ ძლიერი ბირთვია. არსენ კასაბიევს, რომელიც ცხინვალში გაზრდილი ბიჭია, პეკინშიც ჰქონდა მედლის მოპოვების რეალური შანსი, თუმცა აგვისტოში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა მასზე ძალზე ნეგატიურად იმოქმედა. ლონდონის თამაშებისთვის კი დღევანდელი გადასახედიდან სპორტის ამ სახეობაში ლიცენზიათა სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრა ჭირს"* - თქვა გრიქუროვმა.

გია ნაცვლიშვილმა ყურადღებით მოისმინა ყველა საკითხი და ძალოსანთა გუნდს მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა.

**კახა ბერიძე**
სეოკ-ის პრესსამსახური

კალათბურთი — ლეგიონერები

# ქართული დუელი ესპანეთში

## დაცვას უნდა მივხედოთ, დაცვას!

კვირას ესპანეთის ჩემპიონატში ერთმანეთის წინაშე წარდგნენ **ვლადიმერ ბოისა და ნიკა ცქიტიშვილი.** მათ ერთურთის მეურვეობამაც მოუწიათ. საბოლოოდ მადრიდში გამართულ შეხვედრაში მასპინძელმა "ფუენლაბრადამ" იმარჯვა (91:80), რომლის რიგებში მეორე მატჩს ატარებდა ცქიტიშვილი.

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მენორკულ გაზეთ "დიარიო მენორკაში" გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ვლადიმერ ბოისა ცქიტოზეც საუბრობს, საკუთარ თამაშზეც და "მენორკას" პერსპექტივებზეც. ვფიქრობთ, ეს პუბლიკაცია ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს.

"დაცვაზე უნდა ვიმუშაოთ", - ასეთია სტატიის სათაური.

*"კვირას "მენორკა" სტუმრობდა "ფუენლაბრადას", რომლის რიგებშიც თამაშობს ასევე ქართველი ნიკა ცქიტიშვილი. მან წინა ტურში "ბარსელონას" კალათში 6 სამქულიანი მოათავსა. აი, რას ამბობს ვლადიმერ ბოისა მადრიდში შემდგარ ქართულ დაპირისპირებაზე:*

*- სკიტა ჩემი მეგობარია. მასთან ერთად საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოედანზე რომელიმე ჩვენგანი რამის დამთმობია. გაიმარჯვა იმან, ვისმა გუნდმაც უკეთესად ითამაშა.*

*ბოისა კუნძულ მენორკაზე ჩამოვიდა,*


ვლადიმერ ბოისა

*როგორც გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე. თუმცაღა, მას ჯერ ის თამაში არ უჩვენებია, რასაც მისგან ელიან.*

*- "მენორკაში" ჩამოსვლის დღიდან ვცდილობ, გუნდს რითაც შემიძლია იმით დავეხმარო. მხოლოდ სტატისტიკას თუ არ დავეყრდნობით, შემიძლია აღვნიშნო, რომ ახლა თავს უკეთ ვგრძნობ, ვიდრე ჩამოსვლის დღეებში. ფორმაშიც ნელ-ნელა შევდივარ. "მენორკასაც" აშკარად ეტყობა წინსვლა – თამაშს დღითიდღე ვაუმჯობესებთ. ეს შედეგს მალე მოგვცემს.*

*შეგახსენებთ, რომ "მენორკას" შვიდი ტურის შემდეგ 1 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილშია. გუნდის მომავალზე ვლადიმერი ასე საუბრობს:*

*- სწორი გზით მივდივართ. მართალია, ჯერ უარყოფითი ბალანსი გვაქვს, მაგრამ, მიმაჩნია, რომ თამაშის სქემებისა და სისტემის შეცვლა არ გვჭირდება. ერთადერთი, რაზეც ყურადღება მეტად უნდა გავამახვილოთ, დაცვაა. მეტი სიხისტე და შეკავშირება გვჭირდება. ამასთან, მეტოქეებს არ უნდა მივცეთ თამაშის ტემპის გაკონტროლების საშუალება. "მენორკას" მთავარი პრობლემა კი ბოლო წუთების სათანადო დონეზე ჩატარებაა. აქამდე არაერთი შეხვედრა წარვმართეთ კარგად, მაგრამ უკანასკნელ წამებზე მოდუნების გამო დავმარცხდით. ასე დაგვემართა "გრან კანარიასთან". თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ესპანეთში არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს და გამარჯვებებიც მალე მოვა."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ობრადოვიჩი: შერმადინს შანსს მივცემ

## გიორგი პანათინაიკოსის განაცხადში შეიყვანეს

**გიორგი შერმადინმა** საბერძნეთის "პანათინაიკოსთან" ოთხწლიანი კონტრაქტი რომ გააფორმა, ნოემბრის დასაწყისში ვწერდით. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ათენის გუნდის ხელმძღვანელობამ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მეშვეობით "მაკაბიდან" გათავისუფლების ფურცელი გამოითხოვა. ქართულმა მხარემ ეს დოკუმენტი დროულად გაგზავნა და "პანათინაიკოსის" მწვრთნელის მიერ შერმადინის განაცხადში შეყვანამაც არ დააყოვნა. ახლა ქართველი ცენტრის მწვანე მაისურით გამოჩენას ევროლიგაზეც შეიძლება ველოდით და საბერძნეთის ჩემპიონატშიც. 13 ნოემბერს ევროლიგაზე "პანათინაიკოსი" იტალიურ "მონტეპასკის" მასპინძლობს. ეს შეხვედრა შეიძლება ქართული კალათბურთის ისტორიაში მსხვილი ("გაბოლდებული") ასოებით შევიდეს. ამისთვის საჭიროა ბერძენთა რიგებში შერმადინის დებიუტი შედგეს, ხოლო "მონტეპასკიში" – **ნიკა მეტრეველის.** ნიკა გასულ კვირას "ბარსელონასთან" საევროლიგო მატჩში "მონტეპასკის" თავკაცმა **სიმონე პიანიჯანიმ** განაცხადში შეიყვანა, თუმცა მოედანზე არ გაუყვანია.

გიორგი შერმადინის "პანათინაიკოსის" განაცხადში შეყვანას ბერძნულ პრესაში გუნდის თავკაცის **ჟელკო ობრადოვიჩის** ინტერვიუს გამოქვეყნება დაემთხვა. იგი საინტერესოდ საუბრობს როგორც გუნდზე, ასევე, კალათბურთელებზე. მათ შორის შერმადინზეც.

ობრადოვიჩის მისამართით დასმული ერთი კითხვა ასე ჟღერდა: *"ყველა საკალათბურთო ჯილდო მოგებული გაქვთ, თქვენი ამბიციები როდის დაკმაყოფილდება?"*

მწვრთნელი პასუხობს: *"ჩემ გარდა "პანათინაიკოსის" არაერთ კალათბურთელს აქვს მოგებული ევროლიგა, საბერძნეთის ჩემპიონატი და სხვა ტურნირები, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში მოხდა. გაცნობიერებული გვაქვს, რომ სამომავლო გამარჯვებები დიდ სიხარულს მოუტანს ჩვენი გუნდის ქომაგს. ამიტომ მოტივაცია არცერთ მატჩსა და ტურნირში არ გვაკლია."*

მკითხველისთვის კიდევ ერთ საინტერესო კითხვაზე ობრადოვიჩის პასუხიც მოვისმინოთ და ამის შემდეგ იგი შერმადინზე "ვალაპარაკოთ".

კითხვაზე, ყოველი მატჩის წინ თითოეულ კალათბურთელს რატომ ართმევს ხელს, "პანათინაიკოსის" მწვრთნელი პასუხობს: *"ამის მიზეზი მარტივია – ყველა კალათბურთელმა უნდა იგრძნოს, რომ გუნდის განუყოფელი ნაწილია და სათამაშოდ ყოველთვის მაქსიმალურად კარგად უნდა იყოს მობილიზებული."*

*"რატომ არ დაიმატეთ ტანმაღალი დანიელ სანტიაგო და რას იტყვით გიორგი შერმადინზე?"* – ასე ჟღერდა მორიგი კითხვა. პასუხი შემდეგნაირი იყო: *"გასულ სეზონში "პარტიზანიდან ნიკოლა პეკოვიჩი დავიმატეთ. როგორ ფიქრობთ, მასზე უკეთესი ვინ უნდა აგვეყვანა? დანიელ სანტიაგო მაღალი დონის ცენტრია და მისი დამატების შემდეგ სათადარიგოთა სკამზე იგი უნდა დამესვა თუ პეკოვიჩი? როცა სანტიაგოს დარ გამოცდილ კალათბურთელს იმატებ, უნდა ათამაშო კიდეც. სხვა ვითარებაა ახალგაზრდის შემატების შემთხვევაში. სწორედ ამიტომ გავაფორმეთ კონტრაქტი ახალგაზრდა ქართველ ცენტრ გიორგი შერმადინთან. მან დაგვანახვა, რომ ნამდვილად ნიჭიერია და შრომა არ ეზარება. შერმადინი ინდივიდუალურადაც თავდაუზოგავად შრომობს. მას დამატებით მეორე მწვრთნელი დიმიტრის პეგიუდისი წვრთნის. გიორგის ვუთხარი – თუ რამის მიღწევა გინდა, ვარჯიშში დიდი დრო უნდა დახარჯო-მეთქი. ეს ჩვეულებრივი ამბავია. სასიამოვნოა, რომ თავად კალათბურთელსაც ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ბევრი ვარჯიში. ჩემი მხრივ, ვაპირებ შერმადინისთვის შანსის მიცემას. როგორ გამოიყენებს, მასზეა დამოკიდებული. ერთადერთი პრობლემა ენის ბარიერია. შერმადინს ინგლისური სიტყვებიდან ზოგი არ ესმის. მართალია, არის მისი თანმხლები მეორე ქართველი (მენეჯერი ლევან მიქელაძე – ავტ.), რომელიც თარჯიმნის როლს ასრულებს, მაგრამ აუცილებელია უშუალოდ კალათბურთელს ესმოდეს ჩემი. გიორგი ნიჭიერია, ყველაფერს სწრაფად ითვისებს და ვიმედოვნებ, რომ ენის პრობლემა მალე აღარ იარსებებს".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

# აფსუს, ერთი სამქულიანი რაღა იყო...

## როცა 24-ქულიანი მოგებაც არაფრისმომცემია


მანუჩარ მარკოიშვილი

გუშინ **მანუჩარ მარკოიშვილმა** თავი არ დაზოგა, ბერძნული „პანელინიოსის" კალათში ქულა-ქულაზე ჩააგდო, მაგრამ „კიევი" ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე მაინც ვერ გაიყვანა. კიეველებმა გუშინ უკრაინაში 96:72 იმარჯვეს, ერთი კვირის წინ კი 69:96 ჰქონდათ წაგებული. ე.ი. ერთი სამქულიანიც რომ ჩაეგდოთ, მატჩი ოვერტაიმში გადავიდოდა, ხოლო ოთხი ქულით მეტი რომ მოეგროვებინათ, ჯგუფურ ეტაპზე გავიდოდნენ.

უკრაინელებმა მატჩი კარგად დაიწყეს და თავიდანვე 17:4 დაწინაურდნენ. თუმცა მეორე პერიოდი უკვე ბერძნებისა იყო -19:11 მოიგეს და სხვაობაც ცოტა შეამცირეს. მესამე ათწუთეული ფრედ, 18:18 დასრულდა. მარკოიშვილსა და მის თანაგუნდელებს გადამწყვეტი იერიშისთვის ძალა შემორჩათ - ბოლო რაუნდში მეტოქის კალათს ბული აადინეს და 36:22 მოიგეს, მაგრამ, როგორც გითხარით, საბოლოო წარმატებამდე 4 ქულა დააკლდათ.

სხვა თანაგუნდელების მსგავსად, „მანუც" მონოდების სიმაღლეზე იყო. მან 22 ქულა ჩააგდო, რასაც 3 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიამატა. სხვათა შორის, 22 ქულა მისთვის მიმდინარე სეზონის რეკორდია. როგორც ჩანს, კოჭის ტრავმის შემდეგ მარკოიშვილმა ფორმა უკვე აღიდგინა და ეს სროლის სიზუსტემაც დაადასტურა - 27 წუთში ცხრიდან 6 ორქულიანი, ხუთიდან 2 სამიანი და ოთხიდან 4 საჯარიმო გამოიყენა. მატჩის სნაიპერი კი მისი თანაგუნდელი, ამერიკელი **ჯეიმს პენი** გახდა - 25 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–ედმონტონი 2:3 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ე. კოული-3 (პიზანი-3, ჰორკოფი-3), 0:2 ბროძიაკი-2 (ვიშნოვსკი-6, სურეი-7), 1:2 მარა-1 (კელეჰანი-2, ნესლუნდი-8), 2:2 დრური-6 (გომესი-10, ჟირარდი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰემსკი (ედმონტონი).

**ვაშინგტონი–ტამპა ბეი 4:2**

3:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 პოტი-2 (ბრაშირი-2, ერსკინი-2), 2:0 მ. გრინი-5 (ოვეჩკინი-7, ბექსტრიომი-6), 3:0 ფერი-1 (ლეიჩი-5, შტეკელი-2), 3:1 გ. რობერტსი-1 (რეკი-7, სენტ ლუისი-8), 4:1 ოვეჩკინი-3 (სიომინი-11, შულტცი-6), 4:2 გ. რობერტსი-2 (ემინგერი-3, რეკი-8).

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის სამივე ვარსკვლავი ერთი ამპლუის მოთამაშეა. ამჯერად თავი მეკარეებმა გამოიჩინეს და ლიგის ხელმძღვანელობას მათი კარგი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენია.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ვარსკვლავის სტატუსი "ვანკუვერ კენაქსის" მეკარემ **რობერტო ლუონგომ** მიიღო. წინა კვირას მან სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და სამივეჯერ "მშრალად" შეინახა საკუთარი კარი. კანადური კლუბის ახალმა კაპიტანმა ჯამში 81 შაიბა მოიგერია.

კვირის მეორე ვარსკვლავი "კოლამბუსის" გოლკიპერი **სტივ მეისონი** გახდა. 20 წლის ჰოკეისტმა "ბლუ ჯეკეტსს" სამი მატჩი მოაგებინა, თავად კი საშუალოდ 2.61 შაიბას უშვებდა. აღსანიშნავია, რომ მეისონს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დებიუტი 29 ოქტომბერს ჰქონდა.

დაბოლოს, მესამე ვარსკვლავად "ვაშინგტონის" მეკარე **ბრენტ ჯონსონი** დაასახელეს, რომელმაც სამ მატჩში მეტოქეთა დარტყმების 95 პროცენტი მოიგერია.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 18 | 11 | 5 | 2 | 24 |
| 2. ბოსტონი | 14 | 8 | 3 | 3 | 19 |
| 3. ვაშინგტონი | 14 | 8 | 4 | 2 | 18 |
| 4. ბაფალო | 14 | 8 | 3 | 3 | 19 |
| 5. მონრეალი | 12 | 8 | 2 | 2 | 18 |
| 6. პიტსბურგი | 14 | 8 | 4 | 2 | 18 |
| 7. კაროლინა | 15 | 8 | 5 | 2 | 18 |
| 8. ნიუ ჯერსი | 14 | 7 | 5 | 2 | 16 |
| 9. ტორონტო | 15 | 6 | 5 | 4 | 16 |
| 10. ოტავა | 14 | 6 | 6 | 2 | 14 |
| 11. ტამპა ბეი | 14 | 5 | 5 | 4 | 14 |
| 12. ატლანტა | 15 | 6 | 7 | 2 | 14 |
| 13. ფილადელფია | 13 | 4 | 6 | 3 | 11 |
| 14. ფლორიდა | 14 | 5 | 8 | 1 | 11 |
| 15. აილენდერსი | 14 | 4 | 8 | 2 | 10 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 16 | 13 | 3 | 0 | 26 |
| 2. დეტროიტი | 13 | 9 | 2 | 2 | 20 |
| 3. ვანკუვერი | 15 | 9 | 6 | 0 | 18 |
| 4. ანაჰაიმი | 17 | 9 | 7 | 1 | 19 |
| 5. მინესოტა | 13 | 8 | 4 | 1 | 17 |
| 6. ჩიკაგო | 13 | 7 | 3 | 3 | 17 |
| 7. ედმონტონი | 15 | 8 | 6 | 1 | 17 |
| 8. კალგარი | 16 | 8 | 7 | 1 | 17 |
| 9. კოლამბუსი | 15 | 7 | 6 | 2 | 16 |
| 10. ფინიქსი | 13 | 7 | 6 | 0 | 14 |
| 11. ნეშვილი | 14 | 6 | 7 | 1 | 13 |
| 12. ლოს ანჯელესი | 13 | 5 | 6 | 2 | 12 |
| 13. კოლორადო | 14 | 6 | 8 | 0 | 12 |
| 14. დალასი | 14 | 5 | 7 | 2 | 12 |
| 15. სტ. ლუისი | 13 | 5 | 7 | 1 | 11 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ალექსანდრ სიომინი (ვაშ) | 22 (11+11) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 22 (4+18) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 19 (9+10) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 19 (6+13) |
| კორი პერი (ანა) | 18 (5+13) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 18 (7+11) |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 17 (8+9) |

| გოლები | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 12 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 11 |
| ალექსანდრ სიომინი (ვაშ) | 11 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 9 |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 9 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 9 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 9 |
| კეიტ ტკაჩუკი (ს-ლუი) | 9 |
| რაიან ქლოუ (ს-ხოს) | 9 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 9 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 18 |
| ფილიპ კუბა (ოტა) | 14 |
| ჯეი პი დუმონი (ნეშ) | 14 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 13 |
| კორი პერი (ანა) | 13 |
| პოლ კარია (ს-ლუი) | 13 |
| მიკო კოივუ (მინ) | 13 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 13 |
| ანდრეი მარკოვი (მონ) | 13 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 13 |

ჩოგბურთი

# ნადალი დევისის თასზეც არ იქნება

21-23 დეკემბერს, არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში დევისის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც ადგილობრივი ნაკრები ესპანეთს უმასპინძლებს. ევროპელებს ოკეანის გაღმა შესუსტებული შემადგენლობით მოუწევთ გამგზავრება. ტრავმის გამო ფინალში ვერ ითამაშებს მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი.**

შეგახსენებთ, რომ ფეხის დაზიანების გამო ესპანელმა ჩოგბურთელმა წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშზე უარი განაცხადა და იმედი ჰქონდა, რომ დევისის თასის ფინალისთვის ჩადგებოდა მწყობრში, მაგრამ მისი პროგნოზი არ გამართლდა და რაფამ ნაადრევად დაასრულა სეზონი.

*"ტრავმით თამაშს მიჩვეული ვარ, მაგრამ ასეთი ტკივილისთვის გაძლება ჩემს ძალებს აღემატება. ვგრძნობ, რომ მზად არ ვარ ფინალში სათამაშოდ. მჯერა ესპანეთის ნაკრები ჩემ გარეშეც მოიპოვებს გამარჯვებას. ჩვენ გვყავს ისეთი დონის ჩოგბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ არგენტინის დამარცხება, თუმცა ამ ამოცანის შესრულება რთული იქნება"*, - განაცხადა ნადალმა სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

რაფას მდგომარეობას ესპანეთის ნაკრების ექიმი **ანხელ კოტოროც** გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ ნადალს ორ კვირაში შეეძლება ვარჯიშების განახლება.

*"ნადალს შეუძლია ორ კვირაში დაიწყოს ახალი სეზონისთვის მზადება. მაგრამ მას აჩქარებას არ ვურჩევ, ვინაიდან საკმაოდ მძიმე ტრავმა აქვს მიღებული"*, - აღნიშნა კოტორომ.



# ანას მორიგი აღიარება



ანა ივანოვიჩი

სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა**, რომელსაც 6 ნოემბერს 21 წელი შეუსრულდა, ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციისგან (WTA) სპეციალური პრიზი მიიღო. ტრადიციისამებრ, ამ ორგანიზაციის მიერ დაწესებული ჯილდო - Diamond ACES Award იმ ჩოგბურთელს ენიჭება, რომელმაც წლის განმავლობაში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის საქმეში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. სხვადასხვა პრომო-აქციებსა თუ ფოტოსესიებში მონაწილეობა, ავტოგრაფების დარიგება და სხვა სპონსორული ღონისძიებები სპორტსმენს გარკვეულ ქულებს ანიჭებს. საბოლოო მაჩვენებლით ივანოვიჩმა მეორე ადგილზე გასულ თავის თანამემამულე **ელენა იანკოვიჩს** 30 ქულით აჯობა.

*"მოხარული ვარ, რომ ამ მხიარულ შეჯიბრში გავიმარჯვე, - განაცხადა ივანოვიჩმა. - პროფესიონალი ჩოგბურთელი - მხოლოდ ბურთის დარტყმას და მატჩების მოგებას არ ნიშნავს. კორტის მიღმა საქმიანობაც მნიშვნელოვანია, რადგან სპორტს მუდმივი პოპულარიზაცია სჭირდება".*

WTA-ის შეფმა **ლარი სკოტმა** აღნიშნა, რომ ანა ივანოვიჩი არამარტო კარგად თამაშობს ჩოგბურთს, არამედ ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს გულშემატკივრებს, ჟურნალისტებსა და სპონსორებს შორის.

Diamond ACES Award 1995 წელს დაარსდა. პრიზს ეს სახელი ასოციაციის ყოფილი შეფის **ჯერი დაიმონდის** ხსოვნის საპატივცემულოდ ეწოდა. სხვადასხვა წლებში ამ ჯილდოს მფლობელები იყვნენ - **არანჩა სანჩესი, გაბრიელა საბატინი, ლინდსი დავენპორტი, მარტინა ჰინგისი...**

2008 წლის მარტში ანამ **კარენ კრანცკეს** პრიზი მოიგო, რომლის მფლობელსაც თავად მოთამაშეები ავლენენ. ივლისში ივანოვიჩმა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრიზი მიიღო - ის "2008 წლის ჩოგბურთელად" დასახელდა. ოქტომბერში სერბი გერმანულმა ჟურნალმა Tennis Magazine-მა დააფასა და მას **მიხაელ ვესტფალის** სახელობის ჯილდო გადასცა. ამჯერად ანა "წლის საჩოგბურთო პერსონა" გახდა.

წელს ივანოვიჩის მორიგი აღიარება კიდევ ერთი გერმანული გამოცემის, Bild-ის სახელს უკავშირდება. ჟურნალის მკითხველთა აზრით, ანას ჩოგბურთელებს შორის ყველაზე ლამაზი სხეული აქვს - ასე ფიქრობს გერმანელთა 51 პროცენტი. ცნობისთვის, მეორე ადგილზე გასულ **მარია შარაპოვას** ხმების მხოლოდ 15 პროცენტი ერგო.

ასე რომ, წელს ანა ივანოვიჩმა კორტის მიღმა უფრო მეტი პრიზი მოიპოვა, ვიდრე უშუალოდ მოედანზე თამაშისას.

# ახალი სახეები

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ წლევანდელი სეზონი შეაჯამა. როგორც გაირკვა, გასული წლის შედეგებთან შედარებით, ATP-ის რეიტინგის საუკეთესო ათეული სანახევროდ გადახალისდა. ამ ჯგუფში ხუთმა ახალმა ჩოგბურთელმა შეაღწია.

| | | |
|---|---|---|
| 4 | ენდი მიურეი (ბრიტ) | 11 |
| 7 | ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 43 |
| 8 | ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 44 |
| 9 | ჟილ სიმონი (საფ) | 29 |
| 10 | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 13 |

*(პირველ და მესამე სვეტებში მოცემულია ჩოგბურთელის ამჟამინდელი და შარშანდელი რეიტინგები)*

სხვათა შორის, **მიურეი, ცონგა, დელ პოტრო** და **სიმონი,** წლის შედეგების მიხედვით პირველად მოხვდნენ რეიტინგის პირველ ათეულში.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში ხუთი ახალი მოთამაშე მოხვდა. აი, რა მდგომარეობა იყო ATP-ის რეიტინგში ამ მხრივ ხუთი წლის წინ:

| | | |
|---|---|---|
| 5 | გილერმო კორია (არგ) | 45 |
| 6 | რაინერ შუტლერი (გერ) | 33 |
| 8 | დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 12 |
| 9 | მარკ ფილიპუსისი (ავსტრა) | 83 |
| 10 | სებასტიან გროსჟანი (საფ) | 17 |

მასტერსის თასი

# ჯოკერი პირველი ნახევარფინალისტია

ჩინეთის ქალაქ შანხაიში მიმდინარე მასტერსის თასზე პირველი ნახევარფინალისტი გაირკვა. ოქროს ჯგუფში მოთამაშე სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და საუკეთესო ოთხეულში დაიბევა ადგილი.

გუშინ, მსოფლიოს მესამე ჩოგნის მეტოქე რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** იყო, რომელსაც ასევე მოგებული ჰქონდა პირველი ტურის შეხვედრა. წელს ეს ჩოგბურთელები ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს - დევისის თასზე „ჯოკერი" სეტებში 2:1-ს იგებდა, მარამ ტრავმის გამო ვერ შეძლო შეხვედრის გაგრძელება.

შეხვედრა დავიდენკოს უპირატესობით დაიწყო. რუსმა პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა და დიდი ხანი ინარჩუნებდა სასურველ ანგარიშს, მაგრამ 5:4-ზე, როცა დავიდენკო სეტზე აწვდიდა, ჯოკოვიჩმა ძალები მოიკრიბა და საპასუხო ბრეიკი გააკეთა. საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც სერბის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა.

მეორე სეტში ჯოკოვიჩმა პაუზის აღება გადაწყვიტა. დავიდენკო გაცილებით მობილიზებული იყო და პარტია მშრალი ანგარიშით მოიგო.

გადამწყვეტ სეტში რუსმა ჩოგბურთელმა ფეხი დაიზიანა და ექიმის დახმარება ითხოვა, თუმცა ამ ფაქტს დავიდენკოს თამაშზე უარყოფითად არ უმოქმედია. ყოველ შემთხვევაში, მეტოქეები სტაბილურად ინარჩუნებდნენ გეიმებს საკუთარ მოწოდებაზე. ასე გაგრძელდა მე-11 გეიმამდე, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩში. დავიდენკომ ბადესთან გასვლისას პირველი შეცდომა დაუშვა და ჯოკოვიჩს შეხვედრაში მეორე ბრეიკის შესრულების საშუალება მისცა. სერბმა საჩუქარი დიდსულოვნად მიიღო და მომდევნო გეიმში წერტილი დაუსვა შეხვედრას - 7:6, 0:6, 7:5.

აღსანიშნავია, რომ ჯოკოვიჩმა მასტერსის თასის შარშანდელ გათამაშებაში ჯგუფში სამივე მატჩი წააგო, თანაც ისე, რომ ერთი სეტიც ვერ აიღო. ასე რომ, წელს სერბმა უფრო მეტი ძალები შეინახა სეზონის ბოლო ტურნირისთვის.

*„ჩემთვის ნახევარფინალში გასვლა - უდიდესი მიღწევაა. მესამე მატჩში ოდნავ მოდუნების საშუალება მომეცემა, თუმცა ისიც ვიცი, რომ ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია და ამიტომაც ცონგას დამარცხებას შევეცდები.*

*„შარშანდელი წელი არც ისე წარმატებული იყო ჩემთვის, მაგრამ საჭირო დასკვნები გავაკეთე. რაც მთავარია, კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ, რაც სეზონის ბოლოს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება",* - აცხადებს ნოვაკ ჯოკოვიჩი.

■ ■ ■

დავიდენკოს ხვალ ურთულესი მატჩი ელის არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან.** სწორედ ამ შეხვედრაში გათამაშდება ნახევარფინალის მეორე საგზური.

დელ პოტრო გუშინ პარიზის მასტერსის ტრიუმფატორ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვდა. ორივე ჩოგბურთელს დებიუტი აქვს წლის შემაჯამებელ ტურნირში და ორივეს წაგებული ჰქონდა პირველი ტურის მატჩი, ამიტომაც ამ შეხვედრას ცონგასთვის და დელ პოტროსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეტოქეებმა სანახაობრივი ჩოგბურთი აჩვენეს და ორივე იმსახურებდა გამარჯვებას. ფრანგმა და არგენტინელმა მატჩში რამდენჯერმე გაცვალეს ბრეიკები და საბოლოოდ, ტაიბრეიკებში გაარკვიეს ურთიერთობა. ცონგა უფრო მეტს უტევდა და შესაბამისად, მეტ შეცდომასაც უშვებდა, არგენტინელი კი მოთმინებით იცავდა თავს და საუკეთესო თვისებებს ტაიბრეიკებზე ავლენდა. სწორედ გადამწყვეტ მომენტებში უკეთესმა თამაშმა მოაგებინა დელ პოტროს ორი ტაიბრეიკი და შესაბამისად მატჩი.

*„ამ გამარჯვებამ უდიდესი სიხარული მომიტანა. მოვუგე პარიზის მასტერსის ჩემპიონს, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. ცონგა ძალიან დამაჯერებლად თამაშობდა, მაგრამ არც მე ჩამოვუვარდებოდი მეტოქეს. მეორე სეტში უმნიშვნელოვანეს მომენტებში უშეცდომოდ ვითამაშე და მატჩის ბედიც ამან განაპირობა",* - განაცხადა ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე დელ პოტრომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ერთი ქულა 4.3 მილიონი ღირს



2008 წლის სეზონის დასრულების შემდეგ, ჟურნალმა Formula Money-მ ტრადიციული გამოთვლები ჩაატარა, რომლის მიხედვითაც წლევანდელ ჩემპიონატში გუნდების მიერ მოპოვებული ქულის საშუალო ღირებულება დადგინდა. ეს გათვლები ძალიან მარტივად ტარდება. ცნობილია საჯინიბოების ბიუჯეტები და მათ მიერ მოპოვებული ქულების რაოდენობა. ამ ორი მაჩვენებლის გაყოფით ვიღებთ, თუ რა თანხა უჯდებოდათ გუნდებს თითო ქულა. ამ ცხრილის მიხედვით კარგად შეგვიძლია იმის გაანალიზება, რომელი გუნდი უფრო ეფექტიანად იყენებდა საკუთარ ბიუჯეტს

შარშანდელთან შედარებით, წელს იტალიურ "ფერარის" ყოველი ქულა უფრო ძვირი უჯდებოდა, მაგრამ საერთო ჯამში, სკუდერია ყველაზე უკეთ იყენებდა გუნდის სახსრებს. მეორე ადგილზე აღმოჩნდა BMW-ზაუბერი. შარშანდელთან შედარებით, ამ გუნდს ნაკლები ბიუჯეტი ჰქონდა, მაგრამ ქულა მეტი დააგროვა.

საერთო ჯამში, წელს ერთი ქულის საშუალო ღირებულებამ 4.3 მილიონი დოლარი შეადგინა.

| გუნდი | ბიუჯეტი | ქულა | ფასი |
|---|---|---|---|
| ფერარი | $414 900 000 | 172 | $2 412 209 |
| BMW-ზაუბერი | $366 800 000 | 135 | $2 717 037 |
| მაკლარენი | $433 300 000 | 151 | $2 869 536 |
| ტორო როსო | $128 200 000 | 39 | $3 287 179 |
| რენო | $393 800 000 | 80 | $4 922 500 |
| რედ ბული | $164 700 000 | 29 | $5 679 310 |
| უილიამსი | $160 600 000 | 26 | $6 176 923 |
| ტოიოტა | $445 600 000 | 56 | $7 957 142 |
| ჰონდა | $398 100 000 | 14 | $28 435 714 |
| ფორს ინდია | $121 850 000 | 0 | - |

ოლიმპიზმი

# გოლფი, რაგბი, სქვოში თუ...

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპროგრამო კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელიც 14 ნოემბერს ლოზანაში უნდა გაიმართოს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას ელიან. სავარაუდოდ, პარასკევს გამოცხადდება ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის ორი ახალი სახეობის შეტანის შესახებ. პრეტენდენტი შვიდი სახეობაა: ბეისბოლი, სოფტბოლი, გოლფი, კარატე, გორგოლაჭებიანი სპორტი, რაგბი და სქვოში.

შეგახსენებთ, რომ 2005 წელს, სინგაპურში ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა 2012 წლის ოლიმპიადის პროგრამიდან ბეისბოლი და სოფტბოლი ამოიღეს და ახლა მათ ნაცვლად სხვა სახეობები უნდა აირჩიონ.

■ ■ ■

კანადის პროვინციის - ბრიტანული კოლუმბიის პრემიერ-მინისტრმა **გორდონ კემპბელმა** განაცხადა, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისი ვანკუვერის 2010 წელს ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადებას ხელს არ შეუშლის. ჩინოვნიკმა აღნიშნა, რომ ყველა ობიექტი დროულად აშენდება და ამისთვის დამატებითი სახსრების მოზიდვა საჭირო არ გახდება.

*"ბევრი რამით ვართ კმაყოფილი. სპონსორულ კონტრაქტებს საფრთხე არ ემუქრება, ასევე კარგად მიდის ოლიმპიადის ბილეთების რეალიზაციის პროცესი. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, შესაძლოა, მხოლოდ მაყურებლების რაოდენობაზე იქონიოს გავლენა. სამაგიეროდ, ტელემაყურებელთა რიცხვი იქნება დიდი. მით უმეტეს, რომ ოლიმპიადების ისტორიაში ტელეტრანსლაციების ყველა ძვირად ღირებული კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული"*, - განაცხადა კემპბელმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ინდიანა-ოკლაჰომა სიტი 107:99**

24:34, 24:17, 30:27, 29:21

ი: ფორდი (24+10 პასი+7 მოხსნა), გრეინჯერი (20+7 მოხსნა), ფოსტერი (15+5 მოხსნა+4 დაფარება), დანიელსი (14), ჯეკი (11+6 მოხსნა).

ო: დურანტი (37+8 მოხსნა+3 დაფარება), გრინი (14+7 მოხსნა), სმიტი (12+5 მოხსნა), კოლისონი (11+8 მოხსნა), უოტსონი (4+9 პასი).

**ორლანდო-პორტლენდი 99:106**

28:36, 26:19, 19:17, 26:34

ო: თურქოგლუ (35), ჰოვარდი (29+19 მოხსნა), ბოგანსი (12), ნელსონი (10+7 პასი+6 მოხსნა).

პ: როი (27), ბლეიკი (20+5 მოხსნა), აუთლო (20+5 მოხსნა), ოლდრიჯი (16+11 მოხსნა), ფერნანდესი (16+3 ჩაჭრა).

**ბოსტონი-ტორონტო 94:87**

18:23, 18:25, 23:17, 35:22

ბ: პირსი (36+9 მოხსნა), გარნეტი (21+10 მოხსნა), რ. ალენი (19).

ტ: ჯ. ო'ნილი (23+11 მოხსნა+5 პასი), პარკერი (15), კაპონო (14+6 პასი), კალდერონი (7+10 პასი).

**მაიამი-ნიუ ჯერსი 99:94**

18:20, 22:22, 21:26, 38:26

მ: უეიდი (33+5 პასი+4 ჩაჭრა), ბიზლი (19+6 მოხსნა), კუკი (15).

ნ-ჯ: იი იანლიანი (24+10 მოხსნა), კარტერი (22), დულინგი (18+5 მოხსნა), ჰეიესი (12), სიმონსი (11).

**ფინიქსი-მემფისი 107:102**

19:19, 25:25, 38:26, 25:32

ფ: ბარბოზა (27), ა. სტაუდმაიერი (18+6 მოხსნა), დიაო (13), ნეში (12+6 პასი), ბელი (10).

მ: მაიო (33+5 პასი+3 ჩაჭრა), გეი (20+7 მოხსნა), მ. გასოლი (15+5 მოხსნა), როსი (11+5 მოხსნა), არტური (10+7 მოხსნა).

### კვირის მოთამაშეები

"კლივლენდის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "ფინიქსის" ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი** დასახელდნენ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად.

ჯეიმსი საშუალოდ მატჩში 34,5 ქულას აგროვებდა, რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო აღმოსავლეთში. ლებრონმა ორ მატჩში შეძლო 41 ქულის აღება (ორივეჯერ "ჩიკაგოს" წინააღმდეგ) და თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა.

დასავლეთის ლაურეატის სტაუდმაიერის სტატისტიკური მაჩვენებლები 28.3 ქულას, 7.0 მოხსნასა და 3.0 დაფარებას შეადგენდა. ამარემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "ინდიანასთან" მატჩში. ცენტრმა თამაშიდან 17 ტყორცნა (21-დან) გამოიყენა, 15-დან 15 ჯარიმა ჩააგდო და 49 ქულა დააგროვა.

კვირის საუკეთესო კალათბურთელის ტიტულზე პრეტენზიას **ჯო ჯონსონი** ("ატლანტა"), **რეი ალენი** ("ბოსტონი"), **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო"), **ლამარკუს ოლდრიჯი** ("პორტლენდი"), **კარლოს ბუზერი** ("იუტა") და **ანდრის ბიედრინში** ("გოლდენ სტეიტი") აცხადებდნენ.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ატლანტა | 5 | 5 | 0 | 100 |
| 2. ბოსტონი | 8 | 7 | 1 | 87.5 |
| 3. კლივლენდი | 7 | 5 | 2 | 71.4 |
| 4. დეტროიტი | 6 | 4 | 2 | 66.7 |
| 5. ნიუ იორკი | 6 | 4 | 2 | 66.7 |
| 6. ორლანდო | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 7. ტორონტო | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 8. მაიამი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 9. ინდიანა | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 10. ჩიკაგო | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 11. მილუოკი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 12. ნიუ ჯერსი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 13. შარლოტი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 14. ფილადელფია | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 15. ვაშინგტონი | 5 | 0 | 5 | 00.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 5 | 5 | 0 | 100 |
| 2. იუტა | 6 | 5 | 1 | 83.3 |
| 3. ფინიქსი | 8 | 6 | 2 | 75.0 |
| 4. ნიუ ორლეანი | 6 | 4 | 2 | 66.7 |
| 5. პორტლენდი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 6. ჰიუსტონი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 7. დენვერი | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 8. საკრამენტო | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 9. მემფისი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 10. დალასი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 11. გ. სტეიტი | 7 | 2 | 5 | 28.6 |
| 12. სან ანტონიო | 5 | 1 | 4 | 20.0 |
| 13. მინესოტა | 6 | 1 | 5 | 16.7 |
| 14. ოკლაჰომა | 7 | 1 | 6 | 14.3 |
| 15. კლიპერსი | 7 | 1 | 6 | 14.3 |

| ქულები | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 28.1 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 27.4 |
| კრის ბოში (ტორ) | 26.7 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 26.4 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 26.2 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 26.0 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 25.6 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.2 |
| ჯო ჯონსონი (ატლ) | 25.2 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 24.4 |

| მოხსნები | |
|---|---|
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 14.1 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.7 |
| ელტონ ბრენდი (ფილ) | 11.8 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 11.6 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 11.6 |
| ზაკ რენდოლფი (ნ-იორ) | 11.5 |
| კარლო ბუზერი (იუტ) | 11.0 |
| კრის ბოში (ტორ) | 11.0 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 10.8 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 10.5 |

| პასები | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.7 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 9.3 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.8 |
| სტივ ნეში (ფინ) | 8.3 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 8.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.0 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 7.0 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 6.7 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 6.7 |
| ალენ აივერსონი (დეტ) | 6.0 |

| ჩაჭრები | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 3.3 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.8 |
| ნეიტ რობინსონი (ნ-იორკ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.7 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.7 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.3 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 2.2 |
| კენიონ მარტინი (დენ) | 2.2 |
| რონ არტესტი (ჰიუ) | 2.1 |
| ტრევორ არიზა (ლეი) | 2.0 |

| დაფარებები | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 4.0 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.8 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 2.7 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.5 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.5 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-ორლ) | 2.5 |
| ტაირუს ტომასი (ჩიკ) | 2.3 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.1 |
| კრის კამანი (კლიპ) | 2.1 |
| ბრენდან რაიტი (გ-სტე) | 2.0 |

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ლესტერი-იეოვილი | 1:0 |

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| არსენალი-ვიგანი | 3:0 |
| დერბი-ლიდსი | 2:1 |
| სტოკი-როტერჰემი | 2:0 |
| სუონსი-უოტფორდი | 0:1 |
| მანჩესტერ იუნ-ქუინზ პარკი | 1:0 |

**ესპანეთის თასი**

**1/16 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| რეალი-რეალ უნიონი | 4:3 (2:3) |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| კაიზერი A-ლოტე | 3:1 |

**საფრანგეთი**

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| სოშო-ლანსი | 0:1 |
| ბორდო-გინგამი | 4:2 |
| მონპელიე-შატორუ | 1:2 |
| ნიცა-კრეტეი | 3:0 |
| ვანი-ოსერი | 2:0 |
| ლიონი-მეცი | 1:3 |

**ჰოლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-დორდრეხტი | 2:3 |
| ექსელსიორი-დენ ბოში | 2:0 |
| ომნივორლდი-ბრედა | 0:1 |
| ნიიმეგენი-რიინსბურგსი | 0:0, დ.დ. 1:0 |
| ვაალვიკი-ახილი | 1:2 |
| ემენი-გრააფსხაპი | 2:4 |
| როდა-ვილემი | 1:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სერკლი-რასინგი | 2:1 |
| დენდერი-დესელი | 3:1 |
| ტურნჰუ-რუზელარე | 1:4 |
| ლოკერენი-დიეგემი | 2:1 |
| მონსი-ლიერსი | 0:2 |
| ოსტენდე-ვარეგემი | 0:1 |
| ანდერლეხტი-ტურნე | 3:1 |
| მუსკრონი-ტუბეკე | 3:1 |
| გენკი-სერესიენი | 6:0 |
| გენტი-ლოივენი | 3:0 |
| კორტრიიკი-ვესტრელო | 1:2 |
| მეხელენი-ველდვეცელტი | 4:2 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| აბერდინი-სტ. მირენი | 2:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ავსტრია (ვ)-რაპიდი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუსტენაუ-სტ. პოლტენი | 2:0 |
| ადმირა-ზალცბურგი A | 3:0 |
| ტიროლი-ავსტრია (ლ) | 2:4 |
| გრატკორნი-ვიენერი | 1:3 |
| ლეობენი-გრიოდიგი | 2:0 |
| ფოკლაბრუკი-ავსტრია A | 1:0 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ბეშიქთაში | 1:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბანგორი-რილი | 0:2 |

**უკრაინის თასი**

| | |
|---|---|
| ოლექსანდრია-შახტარი | 1:2 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| კრაკოვია-არკა | 0:0 |
| პოლონია (ვ)-პიასტი | 1:0 |
| ბელხატოვი-ლეგია | 1:0 |
| რუხი-შლიონსკი | 1:2 |

### კალათბურთი

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ურალი-ჟელეზნიკი | 57:69 |
| კიევი-პანელინიოსი | 96:72 |
| ბუდუჩნოსტი-გალათასარაი | 93:62 |
| ცრვენა ზვეზდა-გმუნდენი | 96:81 |
| პაპოელი (ი)-უნიქსი | 76:73 |
| კახასოლი-ასკ რიგა | 65:68 |
| ოსტენდე-პავრი | 83:88 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| სუმიხიმსპორტი-შიროკი | 91:82 |
| ანტალია-სკაილაინერსი | 65:67 |
| ზაგრები-ცსკ ვვს | 76:69 |
| ასესოფტი-ტულონი | 77:67 |
| აელ-ბანვითსფორი | 89:72 |
| ბორაცი-ოლდენბურგი | 74:74 |
| ამაკი-ეიფელ ტაუერსი | 64:72 |
| ვიში-ლიეჟი | 77:80 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ხიმიკი | 3:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-კლაგენფიურტი | 3:6 |
| ვილახი-ოლიმპია | 2:2 |
| ზალცბურგი-ვენა | 3:3 |
| ლინცი-გრაცი | 5:1 |
| ინსბრუკი-ალბა | 6:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 2:0 |
| ლორენსკოგი-ვოლერენგა | 1:7 |
| სტიორნენი-სტორჰამარი | 2:2 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 4:4 |
| ფურუსეტი-კომეტი | 1:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-კოშიცე | 4:2 |
| კეჟმაროკი-ტრენჩინი | 2:1 |
| მიკულაში-ჟილინა | 3:0 |
| ნიტრა-სლოვანი | 5:3 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 6:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰპკ | 0:6 |
| იოკერიტი-ტაპარა | 1:1 |
| კალპა-იუვიასკიულა | 2:3 |
| პელიკანსი-კიეკო | 0:1 |
| საიპა-ასატი | 3:5 |
| ჰიფკ-ტპს | 1:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 4:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ამბრი | 4:3 |
| კლოტენი-ცუგი | 4:2 |
| ციურიხი-ფრიბურგი | 1:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-მოდო | 7:0 |

### ჩოგბურთი

**ATP. შანხაი**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-ცონგა | 7:6, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-დავიდენკო | 7:6, 0:6, 7:5 |

TV სპორტი

### 12 ნოემბერი. ოთხშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დინამო-არსენალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
15:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბატე-იუვენტუსი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:25 საფეხბურთო პროგრამა.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი-რეალი.
01:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:55 ზუსტი გათვლა.
04:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეკრეატივო.
06:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბატე-იუვენტუსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
11:55 ცურვა. მსოფლიოს თასი. რუსეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის თასი. ჯგუფური ტურნირი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:10 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:35 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
20:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:30 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. II რაუნდი.
21:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:40 ცურვა. მსოფლიოს თასი. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
23:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
01:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. II რაუნდი.
04:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანას თასი. 1/2 ფინალი. ჩივასი-ინტერნასიონალი (LIVE).
06:45 ფეხბურთი.
07:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 ჩოგბურთი. აზიის ჰოფმანის თასი. ასტანა. ყაზახეთი (LIVE).
14:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. IV დღე.
16:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. V დღე (LIVE).
19:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:45 ფიგურული სრიალი. ჩინეთის გრანპრი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მაგიდის ჩოგბურთი. სუპერთასი. 1/2 ფინალი. რუსეთი.
22:00 მაგიდის ჩოგბურთი. სუპერთასი. ფინალი. რუსეთი (LIVE).
23:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. V დღე (LIVE).
00:00 მულტისპორტი.
00:10 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ვერონა. იტალია.
01:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:15 გოლფი. PGA-ის ტური.
02:10 გოლფ-კლუბი.
02:15 აფროსნობა. Volvo Ocean-ის რბოლა.
02:20 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:30 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. V დღე.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროთასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.
15:30 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ევროთასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.
18:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი.
19:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. სუპერმძიმე წონა. ფ. პიანეტა (იტალია)-ს. ჰამერი (ბრიტანეთი). ბერლინი. გერმანია.
00:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:00 ფრისტაილ მოტოკროსი. გერმანია.
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჩაფხუტი ლურსმანზე

**დევიდ კულტჰარდი**

**კარიერა:** 1994–2008
**გუნდები:** უილიამსი, მაკლარენი, რედ ბული
**რბოლა:** 247
**ჩემპიონი:** 0
**გამარჯვება:** 13
**პოდიუმი:** 62
**ქულა:** 535
**პოული:** 12
**სწრაფი წრე:** 18
**პირველი რბოლა:** 1994 (ესპანეთი)
**პირველი მოგება:** 1995 (პორტუგალია)
**ბოლო მოგება:** 2003 (ავსტრალია)
**ბოლო რბოლა:** 2008 (ბრაზილია)
**2008:** მე-16 ადგილი (8 ქულა)

**ჩატარებული ეტაპებისა და ქულების რაოდენობით საუკეთესო ბრიტანელმა პილოტმა დევიდ კულტჰარდმა 15-წლიანი სარბოლო კარიერა დაასრულა. ფორმულა 1-ის საზომით, ეს დროის ძალიან გრძელი პერიოდია. გადავწყვიტეთ გავიხსენოთ, რისი გაკეთება მოასწრო ამ წლებში დევიდმა და რით დაამახსოვრა თავი ფორმულა 1-ის მოყვარულებს.**

ფორმულა 1-ში **დევიდ კულტჰარდის** დებიუტი ურთულეს პირობებში შედგა. მაშინ ჯერ კიდევ „უილიამსის" ტესტპილოტისთვის მძიმე მომენტი იყო დიადი ავტომრბოლის ბოლიდში ადგილის დაკავება და წინამორბედთან გაუთავებელი შედარებები, თანაც, ეს დ ადი **აირტონ სენა** გახლავთ, რომლის ცხოვრებაც ტრაგიკულად შეწყდა იმ მომენტში, როცა ბრაზილიელს კარიერაში მეორე სუნთქვა უნდა გახსნოდა. იმის გასაგებად, რამდენად რთულ მომენტში გამოჩნდა „უილიამსის" პადოკში შოტლანდიელი, საკმარისია გავიხსენოთ აქვითინებული მთავარი კონსტრუქტორი **ადრიან ნიუი** - ასეთი იყო მისი რეაქცია ესპანეთში, როცა **დეიმონ ჰილმა**, როგორც იქნა უკან ჩამოიტოვა **მიხაელ შუმახერი**. 1994 წლის ჩემპიონატში მორალურად გატეხილი გუნდი მონაწილეობდა, მაგრამ ასეთ ურთულეს პირობებშიც კი დევიდმა მოასწრო ყველასთვის ენახვებინა, რომ სწრაფი, ჭკვიანი და რაც ასე მნიშვნელოვანია, პრესასთან და სპონსორებთან ურთიერთობაში სასიამოვნო პილოტია.

კულტჰარდის თვისებებით მოხიბლულმა სერ **ფრენკ უილიამსმა** გარისკა, საპრიზო პილოტის სტატუსი მიანიჭა ახალგაზრდა ბრიტანელს და არც შემცდარა. 1994 წელს დევიდი მხოლოდ ერთხელ ავიდა პოდიუმზე, სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ, თითქმის ყველა ეტაპზე ებრძოდა ლიდერებს - მიხაელ შუმახერსა და დეიმონ ჰილს. ფავორიტების დამარცხება შოტლანდიელმა მხოლოდ ერთხელ შეძლო, მაგრამ პორტუგალიურ „ეშტორილზე" პოულიდან მოპოვებული გამარჯვება სუფთა და დამაჯერებელი იყო. პირველი სრულფასოვანი სეზონი შეცდომებითაც აღინიშნა: იტალიურ მონცაზე პილოტმა გასახურებელ წრეზე მოახერხა ტრასიდან გადავარდნა, არადა, სტარტი პოულიდან უნდა აეღო. ადელაიდაში პიტლეინზე შესვლისას სიჩქარეს გადაამეტა და მორიგი გამარჯვება გაუშვა ხელიდან.

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში დევიდი ასე იხსენებს იმ პერიოდს: *„1995 წელს დეიმონ ჰილთან ერთად ერთ გუნდში ვირიცხებოდი. ის ტიტულისთვის იბრძოდა და არანორმალურ ზეწოლას განიცდიდა, მე კი ახალგაზრდა ვიყავი, სწრაფი და უბრალოდ სიამოვნებას ვიღებდი - ტრასაზე მოვდიოდი, რბოლაში სტარტს ვიღებდი და შინ ვბრუნდებოდი".*

მიუხედავად იმისა, რომ 17-დან მხოლოდ ცხრა რბოლაში მივიდა ფინიშთან, დევიდმა სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა, მაგრამ ფრენკ უილიამსმა თავისი გუნდისთვის სხვა ვარსკვლავი შეიგულა - **ჟაკ ვილნევი** და კულტჰარდი ცხრა წლით „მაკლარენში" წავიდა...

## გუნდური მოთამაშე

„მაკლარენის" MP4-11-ის ბოლიდის თავის ჭკუაზე მოსაყვანად შოტლანდიელს დიდი მოთმინება, ტანჯვა და უამრავი სატესტო სერიის გავლა დასჭირდა. ტექნიკური პრობლემების გარდა, ისეთი ბარიერებიც გაჩნდა, რაც „უილიამსში" მისთვის უცხო იყო. გრანპრის გამარჯვებული და ჩემპიონატის პრიზიორი უცებ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ გუნდი, რომელშიც ის ჩაირიცხა, მხოლოდ ერთ პილოტზე იყო კონცენტრირებული და ეს პილოტი დევიდი არ ყოფილა. *„რონ დენისმა მოგვიანებით აღიარა, რომ მიკა ჰაკინენზე აქცენტი ადელაიდაში მომხდარი ავარიის გამო გაკეთდა, რომლის დროსაც ფინელი კინაღამ სიცოცხლეს გამოეთხოვა. ის მომენტი გუნდის გამაერთიანებელი და მოტივაციის ასამაღლებელი ფაქტორი აღმოჩნდა. ყველას ჰაკინენის გამარჯვების ეიმედებოდა და იმ მომენტში მათთვის სულერთი იყო ვინ იჯდა მეორე ბოლიდის საჭესთან".*

„მაკლარენში" გატარებული წლების დროს, კულტჰარდი ჩამოყალიბებული პილოტი გახდა, რომელმაც 12 ბრწყინვალე, ნამდვილი ბრძოლით მოპოვებული გამარჯვება გამოჭედა. მის განკარგულებაში სწრაფი ბოლიდი იყო და ამიტომაც, ნებისმიერი მეტოქისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. სხვა საქმეა, რომ ეს ხიფათი ხანდახან არაერთგვაროვან ხასიათს ატარებდა. მაგალითად, გვახსენდება 1998 წელს, წვიმიან „სპაზე" მომხდარი ინციდენტი, როცა წრეზე ჩამორჩენილი შოტლანდიელის გასწრებისას, მიხაელ შუმახერი ავარიაში მოყვა და საერთო ჩათვლაში ლიდერობის დაბრუნების შანსი გაუშვა ხელიდან. დევიდმა იგივე 1999 წელს, სუძუკაზე გაიმეორა - მაშინაც წრეს აგებდა შუმისთან, მაგრამ აშკარად დაბლოკა გერმანელი და წინ გასვლის საშუალება არ მისცა. შოტლანდიელის ბრალის დამტკიცება ვერ მოხერხდა, მაგრამ კულტჰარდის კეთილშობილი ჯენტლმენის იმიჯზე ეს ყველაფერი არც ისე კარგად მოქმედებდა.

რა თქმა უნდა, დევიდმა ბრწყინვალე გუნდური მოთამაშის შთაბეჭდილება დატოვა თუნდაც იმიტომ, რომ გუნდის ხელმძღვანელობის ბრძანების შესრულებისას, არასოდეს იქცეოდა ისე, როგორც ბარიკელო ან ჰემილტონი. დიახ, რუბენსს 2002 წელს, ავსტრიაში გამარჯვება მოჰპარეს, მაგრამ ბრაზილიელმა ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა მაქსიმალურად ბევრი ადამიანის ყურადღება მიეპყრო. კულტჰარდს კი გუნდში არსებული უთანხმოება საზოგადოების სამსჯავროზე არ გამოჰქონდა. სწორად იქცეოდა თუ არა შოტლანდიელი? ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სამუშაოს დამკვეთთან ურთიერთობისას, ის სანიმუშო პროფესიონალივით იქცეოდა.

მაგრამ ხანდახან კულტჰარდმაც იცოდა „გადარევა" და მერე როგორი! 1999 წელს, როცა მიხაელ შუმახერი ტრავმის გამო ჩემპიონატს გამოეთიშა, „სილვერსტოუნის" ეტაპის მოგების შემდეგ დევიდი საჩემპიონო რბოლაში ჩაება, მაგრამ უკვე შემდეგ ეტაპზე, ავსტრიის შპილბერგში მან თავის თანაგუნდელს შეუტია და ჰაკინენი ტრასიდან გადააგდო. დევიდს ეტაპი რომ მოეგო, ეს საქციელი ეპატიებოდა, მაგრამ საბოლოოდ, გამარჯვება მის მთავარ კონკურენტს - „ფერარის" პილოტ **ედი ირვაინს** ერგო! ან გავიხსენოთ ჰაკინენთან კიდევ ერთი შეჯახება, ამჯერად „სპას" პირველ მოსახვევში... ამ პირობებში შეგვიძლია მიკას გამართლება, რომელსაც სეზონის ბოლომდე დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა თანაგუნდელთან. მაგრამ დევიდის მდგომარეობაც გასათვალისწინებელი იყო - ის სანიმუშოდ ასრულებდა მეორე პილოტის როლს და ამასთან, იმედს იტოვებდა **რონ დენისისთვის** ლიდერის თვისებები ეჩვენებინა. ხშირად იყო ისეთი მომენტი, რომ მიხაელ შუმახერთან პირდაპირ ბრძოლაში, შოტლანდიელი არაფრით ჩამოუვარდებოდა ლეგენდარულ გერმანელს.

დევიდის წინააღმდეგ მოქმედებდა „მკვლელის ინსტინქტის" დეფიციტი, რომელიც ნამდვილ ჩემპიონებს ახასიათებთ. საუკეთესო წლებშიც კი მას სტაბილურობა აკლდა იმისთვის, რომ სეზონი თანაბრად, ერთი ამოსუნთქვით გაევლო. მას რომ სცოდნოდა მაქსიმალური სარგებლის მიღება იმ სიტუაციიდან, როცა მეტოქეებს პრობლემები ექმნებოდათ, აელო ყველა „თავისი" ქულა, ტრასაზე ზედმეტ გართულებებსა და უსიამოვნებებს მორიდებოდა, „მაკლარენის" ხელმძღვანელობაც ვერ შეუშლიდა ხელს მის გაჩემპიონებას. ამის ნაცვლად, კულტჰარდი დაელოდა, როდის „გადაიწვებოდა" ჰაკინენი და გუნდური ინტერესების პრობლემა თავისთავად გაქრებოდა. მაგრამ უკვე გვიანი იყო - ფორმულა 1-ში „ფერარის" დომინირების ეპოქა დადგა. დევიდის კარიერაში საუკეთესო შედეგი - მეორე ადგილი 2001 წლის ჩემპიონატში, ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან პირველზე გასულმა შუმახერმა თითქმის ორჯერ მეტი ქულა დააგროვა და ხუთით მეტი ეტაპი მოიგო. ამასობაში „მაკლარენი" ტექნიკურად ჩამორჩა და შედეგების დაცემა ამანაც გამოიწვია. შემდეგ გუნდში **კიმი რაიკონენი** მოვიდა და ზუსტად ამ დროს კვალიფიკაციის ახალი ფორმატი შემოიღეს, რომელსაც კულტჰარდმა ვერაფრით აუღო ალღო. მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი უკვე მეორე წელს ჩემპიონობისთვის იბრძოდა, დევიდი კი ქულათა ზონაში შესვლით კმაყოფილდებოდა.

## მშველელი მატეშიცი

შექმნილ სიტუაციაში, 2004 წელს ბრაზილიის გრანპრი ბოლო უნდა ყოფილიყო დევიდისთვის. „მაკლარენთან" მის კონტრაქტს ვადა გაუვიდა და „სამეფო რბოლებში" 175 სტარტის შემდეგ, კულტჰარდი ისე ამთავრებდა სეზონს, რომ ახალი კონტრაქტი და მომავალი წლისთვის დასაქმების პერსპექტივა არ გააჩნდა. შოტლანდიელის კარიერა **დიტრიხ მატეშიცმა** გადაარჩინა და უკვე 2005 წელს, მელბურნის ეტაპზე გაირკვა, რომ ტრასაზე კულტჰარდს მეტოქეებისთვის ბოლომდე არ ჰქონდა ყველაფერი ნათქვამი! ბუნებრივია, არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ ამდენი წელი ტოპგუნდებში ასპარეზობის შემდეგ, მას უცებ მეორე სუნთქვა გაეხსნებოდა და „რედ ბულით" ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. მაგრამ სასიამოვნო იყო იმ ადამიანზე დაკვირვება, რომელმაც „მაკლარენის" სპეციფიკური კორპორატიული ურთიერთობები მოიშორა, თავისი სიამოვნებისთვის დაქროდა ტრასაზე და სირთულეებს არ ურიგდებოდა. ამიტომაც, ყველას უხაროდა, როცა კულტჰარდი ქულათა ზონაში ან პოდიუმზე ასრულებდა რბოლას.

შოტლანდიელს კარგი თვისება ჰქონდა - ყველანაირ უსიამოვნებას ხუმრობად აქცევდა: როცა 2007 წელს, კანადის გრანპრის დროს მას ბოქსებიდან ჰკითხეს - როგორ დადიოდა მისი ბოლიდი, კულტჰარდმა უპასუხა: *„არ მიდის, არ უხვევს და არ ამუხრუჭებს... სხვა მხრივ ყველაფერი კარგადაა, ძალიან ვერთობი!"* დევიდისა და ჟურნალისტების ურთიერთობაზე ლეგენდები დადის. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი შოტლანდიელის უკვე ნახსენები იუმორის გრძნობა იყო, მეორე კი პრესასთან ურთიერთობის ის ფორმატი, რომელიც შოტლანდიელმა აირჩია - ის საკუთარ კრიტიკას არ გაურბოდა და ჟურნალისტებთან პირადად საუბრობდა ამა თუ იმ საკითხზე.

საერთოდ, იმ პილოტისადმი სიყვარული, რომელიც მრავალი წელი საუკეთესო გუნდებში გამოდიოდა და ტიტული მაინც ვერ მოიპოვა, ერთგვარ ფენომენად უნდა ჩავთვალოთ. სინამდვილეში, კულტჰარდის მსგავსი პილოტები ქმნიან ჩემპიონებს. როგორც თეატრში არსებობენ მეორე პლანის მსახიობები, ასევე არიან ავტოსპორტში ისეთი პილოტები, რომელთა გრანპრის ოქმებში დაფიქსირება გამარჯვებულთა შედეგებს ანიჭებს მნიშვნელობას. და ჩემპიონები - ვილნევი, ჰაკინენი, შუმახერი, **ალონსო** ან რაიკონენი ასეთ ავტომრბოლებთან ერთად გვიყვარს. სად იქნებოდნენ ახლა ისინი, რომ არა ის ადამიანები, რომლებსაც ტრასაზე ამარცხებდნენ და ტიტულებს იგებდნენ?!

რაც შეეხება არშემდგარ ჩემპიონობას, ამაზე თავად პილოტი პასუხობს: *„არ ვნანობ იმას, რომ ტიტული ვერ მოვიგე. ჩემპიონად არავინ იბადება, ჩემპიონობას მოპოვება უნდა. მაგრამ მე მრავალი წელი გამოვდიოდი ჩემპიონატში და მივაღწიე წარმატებებს, რომელსაც ვერავინ წამართმევს".*

**გია თვალაბეიშვილი**